ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Institute of Economic Research and Development
Georgian Technical University

ეკონომიკა და ფინანსები

ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი

Economics and Finance

Quarterly International Referred and Reviewed
Scientific Journal

4

2020

UDC(უაკ)050:[33+336] ე-491
ISSN – 2587 – 5000

ეკონომიკა და ფინანსები
Economics and Finance

N 4, 2020 წელი

სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: გიორგი ცაავა
მთავარი რედაქტორი: დავით ჩახვაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ლ. ბახტაძე (თსუ), რ. ბურდიაშვილი (სტუ), ნ. გრიგოლაია (თბილისის ღია უნივერსიტეტი), ს. გოგჩე (აფიონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თურქეთი), მ. ვანიშვილი (სტუ), ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), რ. მარკს-ბიელსკა (ვორმიის და მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ტ. ლიპაი (განათლების ეროვნული უნივერსიტეტი, ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი (სეუ), მ. ნარსია (სეუ), ჯ. რედელშეიმერი (რობინსდეილ ამსტრონგის უმაღლესი სკოლა, აშშ), ნ. სამჭკუაშვილი (სეუ), მ. ტროჯაკი (იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ა. ქუთათელაძე (სტუ), რ. ქუთათელაძე (სტუ), მ. ჭელიძე (სტუ), ნ. ჭიკაიძე (სტუ).

N 4, 2020

Head of the editorial board: Giorgi Tsaava
Editor-in-Chief: David Chakhvashvili

Editorial board:

L. Bakhtadze (TSU), R. Burdiashvili (GTU), N. Grigolaia (TOU), C. Gokce (Afyon Kocatepe University, Turkey), M. Vanishvili (GTU), N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), R. Marks-Bielska (University of Warmia and Mazury in Olsztyn, Poland), T. Lipai (National Institute of Education, Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili (SEU), M. Narsia (SEU), J. Redelsheimer (Robbinsdale Armstrong High School, USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Jagiellonian University, Poland), A. Kutateladze (GTU), R. Kutateladz(GTU), M. Chelidze (GTU), N. Chikaidze (GTU),

---

ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით 2018 წლიდან

Quarterly international referred and reviewed scientific journal „Economics and Finance“ is issued according to the decision of Business Technologies Faculty of Georgian Technical University and Institute of Economic Research and Development from 1918.

საკონტაქო ინფორმაცია:
ტელ.: +995 599 78 90 03
E-mail: eco.fin.geo@gmail.com
www.bpengi.com
www.facebook.com/economics.finance.ge

Contact:
Tel.: +995 599 78 90 03
E-mail: eco.fin.geo@gmail.com
www.bpengi.com
www.facebook.com/economics.finance.ge

გამომცემლობა „დანი“

ს ა რ ჩ ე ვ ი:

ეკონომიკა და ბიზნესი

გიორგი ცაავა, ნათია გორგაძე - პროფესიული განათლების სისტემაში საჯარო-კერძო პარტნიორობის როლი და მისი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე 7

ნათია გორგაძე - პროფესიული განათლების წარმოშობის ისტორია და განვითარების თავისებურებები საქართველოში ……..... 17

ქეთევან შენგელია - ეკონომიკური უსაფრთხოება - ქვეყნის სტაბილურობის და განვითარების გარანტი 24

გიორგი გოგოლაძე - მოსახლეობის სოციალური დაცვის ორგანიზაციის თეორიული ასპექტები 33

ფინანსები და ბანკები

მერაბ ჯიქია, ნანა სრესელი - პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით თვითღირებულების კალკულაციის თავისებურებები და უპირატესობები ……..... 38

გიორგი ცაავა, ვალერი მოსიაშვილი - რისკის საკითხები საბანკო საქმიანობაში: რისკების ანალიზის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები ……..…….. 44

ირინე კოპალიანი - სესხებზე ფასდადების პოლიტიკის გავლენა ბანკთაშორის კონკურენციაზე ……..... 59

ვალერი მოსიაშვილი, მაგდა ხარაიშვილი - მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება და ანალიზი 65

დავით ჯგერენაია - საბანკო სისტემის განვითარებისთვის თანამედროვე ტენდენციები 73

ნათია ახალკაცი, ნანა გულიკაშვლი - საპროცენტო რისკებისა და საკრედიტო პორტფელის ურთიერთკავშირის შესახებ 79

ვაჟა ჯაშიაშვილი - საკრედიტო პორტფელის მართვის სპეციფიკა და ხარისხის ანალიზი 87

მენეჯმენტი და მარკეტინგი

ნინო არაშვილი - თანამედროვე ბიზნესში ოპერაციული მენეჯმენტის გამოწვევები ……..... 92

ტურიზმი

მანანა ვასაძე - აგროტურიზმის განვითარების პერსპერტივები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ……..…… 100

ნინო აქიმიშვილი - კონფლიქტური სიტუაციების მართვა სასტუმრო ინდუსტრიაში ……..... 107

გენდერული საკითხები

დალი სეხნიაშვილი, ლელა ბაქრაძე - ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზები ……..... 113

ლელა ბაქრაძე, ელა სხირტლაძე - სოციალური სტერეოტიპები ოჯახში ძალადობის შესახებ 123

ნობელის პრემიის ლაურეატები

კენეტ ეროუ ……..…..... 130

ლეონტიევი ვასილი 133

Contents:

Economics and Business

Giorgi Tsaava, Natia Gorgadze - Role of Public-Private Partnership (PPP) in Vocational Education System and it's Effect on the Economic Development 7

Natia Gorgadze - Vocational Education Origin History and Characteristics of its Development in Georgia ……..... 17

Ketevan Shengelia - Economic Security - Guarantee for Stability and Development of the Country 24

Giorgi Gogoladze - Theoretical Aspects of the organization of Social Protection of the Population 33

Finance And Banks

Merab Jikhia, Nana Sreseli - Peculiarities and Advantages of Cost Calculation Based on Product Life Cycle ……..... 38

Giorgi Tsaava, Valeri Mosiashvili - Risk Issues in Banking: Important Indicators of Risk Analysis ……..... 44

Irine Kopaliani - The impact of Pricing Policy on Loans in Interbank Competition ... 59

Valeri Mosiashvili, Magda Kharaishvli - Evaluate and analyze the activities of the World Bank Group 65

David Jgerenaia - Modern Trends in the Development of the Banking Systém 73

Natia Akhalkatsi, Nana Gulikashvli - On the Relationship Between Interest Risks and Loan Portfolio …..... 79

Vazha Jashiashvili - The Specifics of Loan Portfolio Management and Quality Analysis 87

Management and Marketing

Nino Aroshvili - Challenges of Operational Management in Modern Business 92

Tourism

Manana Vasadze - Prospects for Agro-tourism Development in Samtskhe- Javakheti Region ……...…… 100

Nino Akimishvili - Management of the Conflict Situations in the Hotel Industry 107

Gender Issues

Dali Sekhniashvili, Lela Bakradze - The Ways to Combat Economic Violence Against Women ……...……..... 113

Lela Bakradze, **Ela Skhirtladze** - Social stereotypes regarding domestic violence 123

laureates of the Nobel Prize

Kenneth Arrow 130

Wassily Leontief 133

პროფესიული განათლების სისტემაში საჯარო-კერძო პარტნიორობის როლი და მისი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე
Role of Public-Private Partnership (PPP) in Vocational Education System and it's Effect on the Economic Development

გიორგი ცაავა - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, g.tsaava@banklabonline.com

ნათია გორგაძე - დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
Natia_gorgadze@yahoo.com

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია პროფესიული განათლება, როგორც უმუშევრობის პრობლემის მოგვარების, სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი. წარმოდგენილია ის ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც 21-ე საუკუნეში საფუძვლად დაედო საერთო ევროპული პროფესიული განათლების სივრცის ფორმირების პროცესს და ხელი შეუწყო ევროკავშირში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას. პროფესიული განათლების სისტემაში საჯარო და კერძო სექტორს შორის არსებული მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები განხილულია საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნების მაგალითზე, როგორებიცაა: გერმანია, შვეიცარია და ნიდერლანდების სამეფო.

საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის აქტიური რეფორმირების პროცესი, რომელიც გრძელდება დღემდე, შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო 2005 წელს, მაშინ, როდესაც დამტკიცდა „პროფესიული განათლების კონცეფცია". თანამედროვე პროფესიული განათლების სისტემა იზიარებს საერთო ევროპულ საგანმანათლებლო ღირებულებებს. დღეისათვის საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე მეტად ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

ამ ეტაპზე პროფესიული განათლების სისტემაში აქტიურად ინერგება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ე.წ. დუალური პროფესიული განათლების მოდელი, რომელიც წინაპირობაა საჯარო-კერძო პარტნიორობის გაღრმავებისა საგანმანათლებლო სივრცეში.

დღეისათვის პროფესიული განათლების სისტემის წინაშე მდგარ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად შეიძლება მივიჩნიოთ კერძო სექტორის როლის გაძლიერება საგანმანათლებლო სივრცეში. პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან საბიუჯეტო დანახარჯების შემცირებას და, მეორე მხრივ, სისტემას მისცემს დამატებითი ფინანსური და არამატერიალური სარგებლის მიღების შესაძლებლობას. კერძო სექტორის ჩართულობის გაღრმავება და სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობათა ნაწილის მათზე დელეგირება კარგი შესაძლებლობაა კვალიფიციური კადრების მომზადების/გადამზადებისა. აღნიშნული ფაქტორი კი სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობის მიღწევის წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ. მაღალ-კვალიფიციური კადრების მომზადება უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარანტიაა.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, საჯარო-კერძო პარტნიორობა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, დუალური განათლება.

Abstract. In the given article, Vocational education is presented as the most important lever for solving the problem of unemployment, overcoming poverty and the socio-economic development of the country. The article reviews major strategic documents that served as the basis for the formation of European

Vocational Education and Training Area and contributed to the development of knowledge-based economy in the EU in the 21st century.
Close partnership relations between the public and private sectors in the vocational education system are discussed based on the examples of the countries with the best practice, such as Germany, Switzerland and the Kingdom of Netherlands.
The process of active reforming of the vocational education system in Georgia, which is ongoing to this day, can be regarded to have started in 2005, when the "Concept of Vocational Education" was approved. Modern vocational education system shares European common values in education.
Today it is vital to take effective steps with the aim to create a vocational education system that is focused more on the country's economic development.
At this stage, work-based learning, the so-called dual vocational education and training (VET) model is being actively introduced into the vocational education system, which is a prerequisite for deepening public-private partnership in the education area.
One of the main challenges the vocational education system faces today is strengthening the role of the private sector in the education area.
Deepening partnership relations will encourage, on the one hand, reduction of the state budgetary expenditures and on the other hand, will allow the system to receive additional financial and non-material benefits.
Increasing involvement of the private sector and delegating part of the responsibilities from the state to the private sector, is a good opportunity to train/retrain qualified personnel. This can be considered as a prerequisite for achieving compliance between the demand and supply of the workforce. Highly qualified personnel represent a guarantee for overcoming unemployment and poverty and secure sustainable economic development of the country.

Keywords: Vocational Education, Public-Private Partnership, Work-Based Learning, Dual Education.

შესავალი. ქვეყნის ეკონომიკის წარმატებული მოდერნიზაცია მიიღწევა კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის მეშვეობით. მსოფლიო ბაზრის გლობალიზაცია და ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსნაციონალიზაცია ამძაფრებს კონკურენტუნარიანობას ქვეყნებსა და მსხვილ კორპორაციებს შორის. სწორედ ადამიანური კაპიტალის საშუალებითაა შესაძლებელი ინოვაციების განხორციელება, ქვეყნის ეკონომიკის ადაპტირება გლობალიზაციის პირობებთან, ეკონომიკის განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება მსოფლიო შრომის ბაზარზე.
საქართველოს შემდგომი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ვექტორი მიმართულია ევროპულ ოჯახთან ინტეგრაციისაკენ, რომელიც საერთო ღირებულებებისა და მჭიდრო კავშირების ქონის აუცილებლობას წარმოშობს. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე.

პროფესიული განათლების სისტემას უდაოდ უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. მიიჩნევა, რომ პროფესიული განათლება ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის მძლავრი ბერკეტია, რადგან აღნიშნულ სისტემას შესწევს უნარი სწრაფი რეაგირება მოახდინოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და მოკლე დროში

უზრუნველყოს კვალიფიციური მუშა ძალის მომზადება. საჭიროა მოქნილი, მდგრადი და ინკლუზიური პროფესიული განათლების სისტემის ფორმირება, რომელიც უნდა ემყარებოდეს საჯარო და კერძო სექტორს შორის მყარ პარტნიორულ კავშირებს და მათ კორდინირებულ მუშაობას.

ძირითადი ტექსტი. 21-ე საუკუნემ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა პროფესიული განათლების სისტემა, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში პირველ პლანზე წამოიწია კონკურენტუნარიანი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბების საკითხმა. აღნიშნულ ფაქტორს დაეფუძნა ევროპულ სივრცეში პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები.

საქართველოში, საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული, პროფესიული განათლების დაბალმა პრესტიჟმა, შემდგომში კი პროფესიული სასწავლებლების დიდი ნაწილის დახურვამ, პოტენციული სამუშაო ძალის მომზადების დაბალმა დონემ, გარკვეული ახალი პროფესიების დაუფლების შესაძლებლობის ბარიერებმა, ბაზარზე არაკვალიფიცირებული/დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის სიჭარბემ და დასაქმების პრობლემებმა, პროფესიული განათლების განვითარების მიზნით დააყენა რეფორმების გატარების საჭიროება. მას შემდეგ, რაც ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო უმუშავრობის პრობლემის გადასაჭრელად ნაბიჯების გადადგმა, პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები დაეფუძნა პროფესიული განათლების განვითარების ძირითად ევროპულ მიმართულებებსა და მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რეფორმებს ჩაეყარა საფუძველი.

2005 წელს დამტკიცდა ,,პროფესიული განათლების კონცეფცია," რომელიც წარმოადგენს ხედვის დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც დაიწყო პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა. 2007 წელს მიღებული იქნა ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი და 2010 წელს დამტკიცდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. 2012-2013 წლებში განხორციელდა ევროკავშირის პროექტი - ,,ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში", რომელმაც ხელი შეუწყო რეფორმების განხორციელებას, მათ შორის პროფესიული განათლების ისეთ სფეროებში, როგორებცაა: პროფესიული სტანდარტების, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2013 წლიდან დაიწყო ,,პროფესიული კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელება, რომლის მიზანია ეკონომიკური განვითარებისა და პიროვნული კარიერული ზრდის ხელშეწყობა, შრომის

ბაზრის მოთხოვნებსა და ტრანსფერული უნარების გადაცემაზე ორიენტირებული ეფექტიანი და მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

2013 წლის დეკემბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა ,,პროფესიული განათლების სტრატეგია (2013-2020)", რომელიც მოიცავს რამდენიმე ეტაპისაგან შემდგარ ციკლს - შრომის ბაზრის კვლევიდან, სტუდენტის მიღწეული კომპეტენციების შეფასებისა და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებამდე. ასევე, 2017 წელს დამტკიცდა ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021)," რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ამოცანას პროფესიული განათლების მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს, ამ კონტექსტში მოიაზრება სოციალური პარტნიორობის გაფართოება საგანმანათლებლო სისტემაში.

სტრატეგია ხაზს უსვამს სოციალური პარტნიორების, როგორც თანასწორი მხარეების ჩართულობის მნიშვნელობას პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში და აქცენტს აკეთებს სოციალური პარტნიორობის გაძლიერებაზე პროფესიული განათლების სისტემის ფორმირების ყველა დონეზე.

სოციალური პარტნიორების აქტიური ჩართულობა ძალზე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესის ყველა ეტაპისათვის. კერძო სექტორის წარმომადგენლებს დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობით შეუძლიათ უკეთ განსაზღვრონ შრომის ბაზრის მოთხოვნები და შეაფასონ ქვეყნის ეკონომიკური სიტუაცია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა პროფესიული სტანდარტებისა და კვალიფიკაციების შემუშავების ეტაპზე. ისინი წარმოადგენენ პოტენციურ დამსაქმებლებს კურსდამთავრებულებისათვის, შესაბამისად, ჯერ კიდევ სწავლების პროცესში დამსაქმებლებთან უშუალო თანამშრომლობით პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის. ამასთანავე, დიდია სოციალური პარტნიორების როლი პროფესიული განათლების სისტემის ფინანსური სუბსიდირების საქმეში.

მოდით გადავხედოთ ევროპის პროფესიული განათლების სისტემას. ვნახოთ, როგორია განვითარებული ქვეყნების გამოცდილება პროფესიული განათლების სფეროში საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორული თანამშრომლობის კუთხით და რა გავლენებს ახდენს აღნიშნული ურთიერთკავშირი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

თანამედროვე ევროპული პროფესიული განათლების სისტემის ფორმირებას შეიძლება ითქვას, რომ საფუძველი ჩაეყარა 2000 წელს, როდესაც მიღებულ იქნა ე. წ. ლისაბონის სტრატეგია, რომელიც ევროკავშირის მინისტრებმა

შეათანხმეს იმ მიზნით,რომ ევროკავშირში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიური გამხდარიყო. 2002 წლის ნოემბერში ევროკომისიისა და ევროპის ქვეყნების პროფესიულ განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების მიერ მიღებულ იქნა დეკლარაცია ,,პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ" (კოპენჰაგენის დეკლარაცია), რომელიც საფუძვლად დაედო საერთო ევროპული პროფესიული განათლების სივრცის ფორმირებას. 2010 წელს მიღებულ იქნა ევროპა 2020 სტრატეგია (გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისათვის), ბრიუგეს კომუნიკე (ევროპა 2020), რომლის მიხედვით ევროპის პროფესიული განათლების სისტემა 2020 წელს უნდა იყოს უფრო მიმზიდველი, რელევანტური, კარიერაზე ორიენტირებული, ინოვაციური, ხელმისაწვდომი და მოქნილი.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები გახდა წინაპირობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებისა, ხოლო რაც შეეხება ევროკავშირის მიღმა არსებულ ქვეყნებს, მათთვის გახდა შთაგონების წყარო.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებში სოციალური პარტნიორები - დამსაქმებლები და პროფესიული კავშირები გვევლინებიან პროფესიული განათლების მთავარ დაინტერესებულ მხარეებად და ასევე პროფესიული სტანდარტების განმსაზღვრელებად. მაგალითად, გერმანიაში ფედერალური მთავრობა ძნელად თუ შეძლებს უზრუნველყოს პროფესიული სტანდარტების შემუშავება და ინიცირება სოციალური პარტნიორების ჩართულობის გარეშე. დამსაქმებლებს და პროფესიულ კავშირებს თითოეული სექტორისათვის განსაზღვრული ჰყავთ ექსპერტები, რომლებიც წარმოადგენენ მათ ინტერესებს და პროფესიული განათლების ფედერალური ინსტიტუტის (BIBB) მიერ ამა თუ იმ პროფესიული სტანდარტის შემუშავების, შეფასებისა და მოდერნიზაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართული. ასევე, სოციალური პარტნიორების მიერ შექმნილია სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ პროფესიულ სტანდარტებზე.

ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა: გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, დანია მიიჩნევენ, რომ ეფექტური პროფესიული სწავლების სისტემის შექმნა შესაძლებელია საგანმანათლებლო და ბიზნეს ინტერესებს შორის მხოლოდ მაქსიმალური წონასწორობის მიღწევის საფუძველზე. დაცულია განათლებასა და ეკონომიკას შორის ბალანსი. შექმნილია ისეთი სწავლების ცენტრები, რომლებიც ორიენტირებული არიან გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობაზე და უკეთ აკმაყოფილებენ რეგიონის შიდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ნიდერლანდების ხელისუფლება ჯერ კიდევ 90-იან წლებში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რეგიონული შრომის ბაზრის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, შეექმნა ისეთი განათლების ცენტრები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საჯარო და კერძო პარტნიორობის განვითარებას და ფოკუსირებული იქნებოდნენ კონკრეტული რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. შედეგად შეიქმნა პროფესიული და ზრდასრულთა განათლების სკოლები. ე.წ. ,,რეგიონული განათლების ცენრები“ (in Dutch: Regionaal Opleidingen Centrum; ROC). სოციალური პარტნიორებისა და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩამოყალიბდა მყარი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების რეგიონულ პოლიტიკას და დაფინანსების საკითხებს. დღეს ნიდერლანდებში მოქმედებს 45 მსგავსი რეგიონული განათლების ცენტრი და სტუდენტების რაოდენობა მერყეობს 20-30 ათას სტუდენტამდე. სწავლება ცენტრებში ეფუძნება თეორიული და პრაქტიკული სწავლების პრინცს და ფოკუსირებულია რეგიონის ინდუსტრიული სექტორების მოთხოვნებზე. სასწავლო პროგრამების შედგენისას გათვალისწინებულია რეგიონის ინდუსტრიული განვითარების პოტენციალი, მოთხოვნა შრომის ბაზრისადმი და ა.შ. აღნიშნულის საფუძველზე განხორციელდა დარგების ვიწრო სპეციალიზაცია და შექმნილია მათზე მორგებული სასწავლო პროგრამები.

რაც შეეხება ევროპის განვითარებულ ქვეყნებში პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელს, იგი ემყარება კერძო სექტორსა და სახელმწიფოს და/ან რეგიონული წარმომადგენლობის ორგანოებს შორის თანადაფინანსების პრინციპს. ძირითად შემთხვევაში სახელმწიფო/რეგიონული ხელისუფლება ფარავს პროფესიულ სკოლებში სწავლების ხარჯებს, ხოლო კერძო სექტორი ფარავს მის ბაზაზე ორგანიზებული პრაქტიკული სწავლების ყველა ხარჯს მ.შ. სასწავლო პრაქტიკის პერიოდში სტუდენტების შრომის ანაზღაურების ჩათვლით.

კერძო სექტორის დაინტერესება, ჩაერთოს საგანმანათლებლო პროცესში, მრავალმხრივია. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის ის, რომ მათ მომავალში ეძლევათ გამოცდილი მუშაკების დაქირავების კარგი შესაძლებლობა. ბოლო პერიოდში განვითარებული ქვეყნების ახალგაზრდობაში, ასაკის მატებასთან ერთად, მზარდია საგანმანათლებლო არჩევანის შეცვლის ტენდენცია, აღნიშნულ პირობებში კერძო სექტორისათვის კვალიფიციური მუშახელის მომზადება და შემდგომ დასაქმება პრიორიტეტულია. სწავლების პერიოდში სტუდენტები მონაწილეობენ მატერიალური დოვლათის შექმნის პროცესში და ამ პროცესში შექმნილი პროდუქციის გაყიდვით მიღებული ამონაგები ხშირ შემთხვევაში ფარავს ხარჯებს. საწარმოები, რომლებიც ჩართული არიან

საგანმანათლებლო პროცესში, იღებენ სასწავლო საწარმოს სტატუსს და ხელისუფლებისაგან საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ.

რაც შეეხება საქართველოს, პროფესიული განათლების მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერებისა და სისტემაში კერძო სექტორის როლის გაზრდის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობით დღეისათვის პროფესიული განათლების სისტემაში დანერგილი ყველა პროგრამა არის მოდულური. 2019 წელს დაიწყო მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება. კურსების განხორციელების უფლების მოპოვება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ პირს (საგანმანათლებლო დაწესებულება, კერძო კომპანია, სატრენინგო ცენტრი, ასოციაცია და სხვა) დამოუკიდებლად ან სხვა დაწესებულებასთან თანამშრომლობით, რომელიც აკმაყოფილებს განსაზღვრულ სტანდარტს. 2019 წლის მონაცემებით პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა ორმა კერძო კომპანიამ, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობით პროცესში ჩაერთო 50-ზე მეტი კერძო კომპანია.

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში დღეისათვის საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში ფუნქციონირებს 3 საგანმანათლებლო დაწესებულება. ესენია: ქალაქ თბილისში არსებული ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, რომელიც დაფუძნდა სახელმწიფოს (განათლების სამინისტრო), სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სს - საქართველოს რკინიგზას შორის თანამშრომლობის საფუძველზე; ქალაქ ზესტაფონში – ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოსა და სამშენებლო კომპანია M2-ს შორის თანამშრომლობით; დაბა გუდაურში – ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოსა და ა(ა)იპ - საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციის თანამშრომლობით.

მისასალმებელია ზემოაღნიშნული თანამშრომლობის მაგალითები, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ თანამშრომლობა წარმოებს რეგიონულ დონეზეც, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან პარტნიორული ურთიერთობებით გამოწვეული დადებითი ეფექტების გასაძლიერებლად საჭიროა მეტი ძალისხმევა.

საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორული ურთიერთობის მყარ ტრადიციებს ეყრდნობა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში სწავლების მეტად აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელი, ე.წ. დუალური საგანმანათლებლო პროგრამებით

სწავლება. აღნიშნული მოდელი გულისხმობს სტუდენტის ორ ადგილას სწავლობს: პროფესიულ სასწავლებელში, სადაც ის მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით თეორიულ კურსს გადის და სწავლებას საწარმოო პრაქტიკის ადგილას, სადაც ეუფლება პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. აღნიშნული მოდელით სწავლება წარმატებითაა დანერგილი ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: გერმანია, შვეიცარია, ავსტრია და სხვა. მიიჩნევა, რომ გერმანიაში სწორედ ამ მოდელით სწავლების დამსახურებაა ახალგაზრდებში უმუშევრობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი.

საქართველოში 2016 წლიდან დაიწყო დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და აღნიშნული პროცესი დღემდე მიმდინარეობს. საგულისხმოა, რომ დუალური განათლების მოდელით სწავლება უმთავრეს წინაპირობად ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას აყენებს. ისეთი ეკონომიკური გარემოს პირობებში, როგორიც დღესდღეობით საქართველოშია, სტაბილურობის მიღწევა კომპანიებისათვის გამოწვევას წარმოადგენს, ხოლო ასეთ პირობებში რთულია სწავლების სრულყოფილი მოდელის დანერგვა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ,,განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ)" პროფესიული განათლების 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში ვკითხულობ, რომ 2019 წლისათვის სისტემაში ხორციელდება 30 დასახელების დუალური პროგრამა. დუალურ პროგრამებზე 2016-2019 წლებში ჩაირიცხა 600-ზე მეტი სტუდენტი და 2019 წლისათვის სწავლა დაასრულა 30-ზე მეტმა სტუდენტმა. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, კურსდამთავრებულთა ძირითადი ნაწილი დასაქმებულია იმავე კომპანიაში, რომლებთან პარტნიორობითაც ხორციელდებოდა დუალური პროგრამა. სამწუხაროდ, ანგარიშში არ არის საუბარი 2016-2019 წელს ჩარიცხული სტუდენტებიდან ამჟამად რამდენი განაგრძობს სწავლას. შესაბამისად, რთულია იმის დადგენა, თუ სტუდენტების რამდენმა პროცენტმა დაასრულა სწავლა, რამდენი განაგრძობს და რამდენმა შეწყვიტა ვადაზე ადრე. აგრეთვე, არ არის სტატისტიკური მონაცემები მაღალია თუ არა კერძო სექტორის დაინტერესება.

2019 წლიდან გამარტივდა დუალურ პროგრამებზე ჩარიცხვის პირობები. აპლიკანტებს აქვთ საშუალება პროფესიული ტესტირების გარეშე, მხოლოდ პარტნიორ, კერძო კომპანიასთან წარმატებით გავლილი გასაუბრების (კონკურსი) საფუძველზე ჩაირიცხონ პროგრამებზე. ერთი მხრივ, აღნიშნული ფაქტი წამახალისებელ გარემოებად შეიძლება მივიჩნიოთ დუალური განათლებით საზოგადოების მეტად დაინტერესების საქმეში. მეორე მხრივ, მსგავსი მიდგომა ხელს უწყობს პოტენციური დამსაქმებლებისა და სტუდენტების მეტად დაახლოებას და კერძო სექტორს აქვს

შესაძლებლობა ადამიანურ კაპიტალზე არსებული მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების.

დუალური განათლების მოდელით სწავლების შემოღება, როგორც ფაქტი, შეიძლება შევაფასოთ ძალზე დადებით ტენდენციად. ახალი კორონა ვირუსის გავრცელების ეტაპზე ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კრიზისული სიტუაცია გაგრძელდება გარკვეული პერიოდი, შესაძლოა დუალური განათლების დანერგვის ეტაპი დიდი საფრთხის წინაშე დააყენოს. მიზანშეწონილი იქნება, თუ სახელმწიფო ან/და პროფესიული განათლების რეფორმირების პროცესში ჩართული საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით ჩატარდება კვლევა, რომელიც დაგვანახებს, რა სირთულეებია დღესდღეობით დუალური სწავლების დანერგვის მოცემულ ეტაპზე, რათა შემდგომ შესაძლებელი გახდეს მათზე დროული და სწრაფი რეაგირება.

ევროპის ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიც არის მაგალითად გერმანია და შვეიცარია, საწარმოები, რომლებიც ჩართული არიან საგანმანათლებლო პროცესში, იღებენ სასწავლო საწარმოს სტატუსს და ხელისუფლების მხრიდან სარგებლობენ გარკვეული სუბსიდიებით და სხვადასხვა ტიპის შეღავათებით მ.შ. საგადასახადო შეღავათებითაც, კერძოდ, ხდება დასაბეგრი შემოსავლიდან სასწავლო ხარჯების შემცირება. მსგავსი საგადასახადო შეღავათების დაწესება საგანმანათლებლო სექტორში ჩართული კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია მათი მეტად დაინტერესების თვალსაზრისით, თუმცა მოითხოვს მყარ ეკონომიკურ საფუძველს, რაც ამ ეტაპზე რთულად მისაღწევია. თუმცა, საერთაშორისო პერტნიორების (UNDP და GIZ) მხარდაჭერით გარკვეულწილად დაწყებულია მუშაობა სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვების კრიტერიუმებისა და პროცედურების შემუშავებაზე. განათლების სამინისტროს მიერ დაანონსებულია აღნიშნული რეგულაციების შემუშავება 2020 წლისათვის და შემდგომ პერიოდში მისი დამტკიცებისა და დანერგვისათვის საჭირო პროცედურების დაწყება.

განათლებასა და ბიზნეს შორის საქმიანი პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავების კუთხით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების შერწყმა სამეწარმეო განათლებასთან. საბაზრო ეკონომიკის პირობებში პიროვნული თვითდამკვიდრებისათვის უმნიშვნელოვანესია, რომ პროფესიულმა განათლებამ ადამიანებს შესთავაზოს არა მხოლოდ დაქირავებული შრომისათვის საჭირო პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, არამედ შეასწავლოს მას საკუთარი ბიზნეს საქმიანობის წამოწყებისა და თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

დასკვნა. პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები, სისტემა იხვეწება

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა არსებობს ახალი გამოწვევები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია საჯარო-კერძო პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება. საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის მოტივაციის ზრდას, რისკების შემცირებასა და ფინანსურ დივერსიფიკაციას. დამატებითი კაპიტალის მოზიდვა შექმნის ახალ შესაძლებლობებს დარგის განვითარების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ,,პროფესიის სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცების კონცეფცია", 2020 წელი. ვებ-გვერდი: http://mes.gov.ge/uploads/profesiis%20standartebis%20SemuSavebisa%20da%20damtkicebis%20koncefcia%20-%2024%20marti.pdf;
2. საქართველოს განათვლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ,,განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ)" პროფესიული განათლების 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2020 წელი. ვებ - გვერდი: http://mes.gov.ge/mesgifs/1584105785_2019-Angarishi-VET.pdf;
3. საქართველოს პრემიერ მინისტრის N300 ბრძანება ,,პროფესიული განათლების სტრატეგია (2013-2020)", თბილისი, 2013 წელი. ვებ - გვერდი: http://mes.gov.ge/uploads/300.pdf
4. Elly de Bruijn; Stephen Billett; Jeroen Onstenk ,,Enhancing Teaching and Learning in the Dutch Vocational Education System" 2017;
5. ,,EUROPE 2020" (A strategy for smart, sustainable and inclusive growth), Brussels, 2010;
6. European Commission ,,Organisation of the Education System and of Its Structure", 2019. https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/norway/organisation-education-system-and-its-structure_en.

პროფესიული განათლების წარმოშობის ისტორია და განვითარების თავისებურებები საქართველოში

Vocational Education Origin History and Characteristics of its Development in Georgia

ნათია გორგაძე - დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
Natia Gorgadze- PhD student, Georgian Technical University,
Natia_gorgadze@yahoo.com

აბსტრაქტი. სტატიაში წარმოდგენილია ისტორიული მიმოხილვა პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ადრეულ, შუასაუკუნეების საქართველოსა და ჩვენს უახლეს წარსულში. განხილულია ხელოსნობა და შეგირდობის ინსტიტუტები, როგორც პროფესიული უნარ-ჩვევების დაგროვებისა და გადაცემის საწყისი ეტაპი პროფესიულ განათლებაში. ასევე, წარმოდგენილია მიმოხილვა მე-19 საუკუნესა და საქართველოს საბჭოურ რეალობაში პროფესიული განათლების სკოლების დაარსებისა და მათი ფუნქციონირების თავისებურებებისა.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, პროფესიულ-ტექნიკური განათლება, სახელობო სწავლება, ხელოსნობა, ამქარი, შეგირდი.

Abstract. The article presents overview of the history of vocational education formation and its development in Georgia during its early and midcenturies as well as in its nearest past. Article surveys institutions of craftsmanship and apprenticeship as the initial level for accumulating work-related skills and implementing them in the vocational education. Article considers the characteristics of the foundation and functioning of vocational educational institutions as well.

Keywords: Vocational Education, Technical And Vocational Education, Industrial Teaching, Craftsmanship, Companion, Apprentice.

შესავალი. შესავლის სახით გერმანელი ფილოსოფოსის, მათემატიკოსისა და გამომგონებელის გოტფრიდ ვილჰელმ ლეიბნიცის აზრს მოვიშველიებ: „აწმყო — შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“.

დღეს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე. იმისათვის, რომ ჩამოვაყალიბოთ მოქნილი, მდგრადი და ინკლუზიური პროფესიული განათლების სისტემა, აუცილებელია ვიცნობდეთ მისი განვითარების ისტორიას. აღნიშნული კუთხით აქტუალურია პროფესიული განათლების სისტემის წარმოდგენილი ისტორიული მიმოხილვა.

ძირითადი ტექსტი. ადრეულ ეპოქაში პროფესიული ცოდნა ძირითადად მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა და მამიდან შვილს გადაეცემოდა, შემდგომ უკვე, ოსტატთა სახელოსნოებში ხდებოდა შეგირდთა დახელოვნება პროფესიაში. შუა საუკუნეებიდან დაიწყო სპეციალური დაწესებულებების დაარსება, სადაც პროფესიული ცოდნის მიღება გახდა შესაძლებელი.

საქართველოს მდიდარი ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ ქართველები უბადლო ოსტატები იყვნენ ლითონის, სახელდობრ რკინისა და სპილენძის მადნის, მოპოვება-გადამუშავების და შემდეგ მათგან იარაღისა და ჭურჭლის დამზადების საქმისა. აღნიშნული ფაქტი გვაძლევს საშუალებს ვივარაუდოთ, რომ საქართველოს პროფესიული ცოდნის დაგროვების ისტორია ბრინჯაოს ხანიდან იწყება. ელინისტურ ეპოქაში ხალიბური ფოლადი საუკეთესოდ ითვლებოდა. ასევე, მეთუნეობაც უძველესი დროიდანაა ცნობილი საქართველოში.

ადრეულ საუკუნეებში ხელოსნობა და რელიგია მჭიდროდ იყო ერთმანეთთან გადაჯაჭვული. ქრისტიანულმა რელიგიამ საქართველოში განავითარა ხუროთმოძღვრება, რასაც მოწმობს დღემდე შემონახული უძველესი არქიტექტურული ძეგლები. იგივე ითქმის საეკლესიო-სამონასტრო ნაგებობებთან განუყოფლად დაკავშირებულ ხელოვნების სხვადასხვა დარგზე. ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ქვასა თუ ხეში ნაკვეთი ჯვრები და ხატები, კედლის მხატვრობა, საეკლესიო ჭურჭელი, ავეჯი და ღვთისმსახურთა შესამოსელი, მდიდრულად მორთული ხელნაწერი წიგნები და სხვ. ამ ნივთებში კარგად ჩანს ხელოსანთა: ოქრომჭედელთა, კალიგრაფთა, მხატვართა, ხისა და ქვის ოსტატთა პროფესიული განვითარების მაღალი დონე.

საქართველოში ხელოსანთა პირველი გაერთიანებები, ამქრული კორპორაციები, ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში ჩამოყალიბდა. საუკუნეების განმავლობაში მას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებდნენ: ,,ასნაფი“, ,,ოფიქალი“ ,,თაბუნი“ და სხვ. აღნიშნულ ორგანიზაციებში გაერთიანებული იყვნენ ერთი პროფესიის ადამიანები. გაერთიანებებს ჰქონდათ გერბი, ბიუროკრატიული სტრუქტურა და წარმოადგენდნენ გარკვეული ტიპის სოლიდარობის საფუძველზე წარმოქმნილ კორპორაციებს. ქართული ამქარი ერთგვარი ჩანასახი იყო პირველი ქართული საერო საგანმანათლებლო ინსტიტუციისა. ამქარს ხელმძღვანელობდა ,,უსტაბაში“ (ოსტატების თავი. ირნ.). ოსტატები იყვნენ ე.წ. ,,მასწავლებლები“, რომლებიც უშუალოდ წარმართავდნენ შეგირდის წვრთნის პროცესს. შეგირდად აყვანა თავდაპირველად ზეპირი შეთანხმებით ხდებოდა, მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს დაიწყეს წერილობითი შეთანხმების გაფორმება. შეთანხმების შემდგომ შეგირდი ოსტატის სახლში გადადიოდა საცხოვრებლად. ოსტატი კი მას უზრუნველყოფდა სამოსითა და საკვებით, ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ შეგირდი ხელობას არ დაეუფლებოდა და უკვე ქირით არ დაუდგებოდა ოსტატს მოჯამაგირედ. შეგირდად მიბარების ასაკი 8-9 წლიდან 16 წლამდე მერყეობდა იმისდა მიხედვით, რა ტიპის უნარებს საჭიროებდა ესა თუ ის ხელობა. ხელობის სწავლას საშუალოდ 4-5 წელი სჭირდებოდა, ზოგიერთი პროფესიის შემთხვევაში შეიძლება უფრო მეტიც ყოფილიყო. ტფილისურ

ამქარში შეგირდობა ყველას შეეძლო, ვინც ოსტატთან საშეგირდო ხელშეკრულებას დადებდა. შესაბამისად, სოციალური წარმომავლობით, ოსტატი შეიძლება ყოფილიყო რიგითი ყმის შვილი, ოსტატის შვილი (ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ბევრი იყო) ან უბრალოდ ქალაქში მცხოვრები ვაჭრისა თუ მღვდლის შთამომავალი. სწავლის დასრულება განსაკუთრებული რიტუალით - ,,ოსტატად დალოცვით“ სრულდებოდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ამქარი ძირითად საქმიანობასთან ერთად წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროფესიული დაწესებულების ჩანასახს, საგანმანათლებლო ინსტიტუციას, რომელიც ასრულებდა პროფესიული ცოდნის გადაცემის ფუნქციას თაობიდან თაობაზე. მთელ ამიერკავკასიაში ამქრული წყობა ფორმალურად მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაიშალა, ხოლო არაფორმალურად არსებობა განაგრძო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

მე-19 საუკუნემ ახალი მოთხოვნები დააყენა ქვეყნისა და ერის წინაშე. ქართველი განმანათლებლები ხვდებოდნენ, რომ ქვეყნის განვითარება გადაუდებლად აყენებდა კვალიფიციური საწარმოო ძალის მომზადების საკითხს. აუცილებელი იყო ქვეყნის სამეურნეო-ტექნიკური განვითარება და ამ საქმეში პროფესიული განათლების წვლილის წინა პლანზე წამოწევა. შესაბამისად, ყურადღება გამახვილდა ქვეყნის პროფესიული განათლების არსებულ მდგომარეობაზე, დღის წესრიგში დადგა პროფესიული განათლების დონის ამაღლება და ზრუნვა მის გავრცელებაზე. სახელოსნო და სასოფლო-სამეურნეო საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებას და განვითარებას საქართველოში ბევრი წინააღმდეგობა ხვდა წილად. უპირველეს ყოვლისა, ამ საქმეს წინ ეღობებოდა ცუდი მატერიალური პირობები – მუდმივი უსახსრობა და ცარიზმის პოლიტიკური შეხედულებები კავკასიის მიმართ.

იმ დროის პროგრესულად მოაზროვნე ქართული საზოგადოების წარმომადგენლები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამ მეტად საშურ საქმეში. ქართველი განმანათლებლები თავიანთ პუბლიცისტურ წერილებში, რომლებიც პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა, აქტიურად საუბრობდნენ პროფესიული განათლების როლსა და მნიშვნელობაზე. ილია ჭავჭავაძე წერდა: ,,...საქმე ის არის, ის აზრი გამოინასკვოს ჩვენში, რომ სახელოსნო და სპეციალურ-სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარი ჩვენის ღონემიხდილი ქვეყნის გაღორძინებისათვის“.

თბილისში 1868 წელს გაიხსნა რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება და შემდგომ ხელოსნობის გამავრცელებელი მუდმივი კომისია. ორგანიზაციებს დაეკისრათ ზრუნვა სახელოსნო სკოლების გახსნასადა მათ შემდგომ მეურვეობაზე. უსახსრობის გამო სახელოსნო სკოლების დაარსების პროცესი ძალზე ნელა მიმდინარეობდა, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, აღნიშნული უწყებები და ქართული ინტელიგენცია ეძებდა გზებს პროფესიული სკოლების

გახსნისათვის. ასეთ გზად თავდაპირველად გამოინახა სახალხო სკოლები, რომელთა ბაზაზე დაიწყო სახელოსნო კლასებისა და განყოფილებების გახსნა. 1869 წელს საზოგადოების ფულადი შემოწირულობით გორში სამაზრო სასწავლებელთან გაიხსნა სახელოსნო კლასი. ასევე, მსგავსი კლასები გაიხსნა თბილისში ნიკოლოზის სახელობის დაწყებით სკოლასთან, ფოთში, პატარძეულსა და დუშეთში. 1871 წელს ავლაბრის დაწყებით სკოლას გამოეყო სახელოსნო განყოფილება და ჩამოყალიბდა სკოლა-სახელოსნოდ, რომელმაც იფუნქციონერა 7 წელი და შემდეგ რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებლად გადაკეთდა.

თბილისის მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებელი იყო პირველი დამოუკიდებელი სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც თავდაპირველად ელემენტარული სკოლის სახით დაარსდა, ხოლო შემდეგ, 1880 წელს, გადაკეთდა სახელოსნო სასწავლებლად. სტუდენტებისათვის სწავლება უფასო იყო და სასწავლებელს ფინანსურად ინახავდა ქალაქის თვითმმართველობა. აქ ხდებოდა ზეინკალ-მჭედლების; დურგალ-მოდელისტების; თუჯისა და სპილენძის ჩამოსხმის სპეციალობებში სტუდენტთა მომზადება. სწავლების კურსი იყო ორწლიანი. სასწავლებელი იმ დროის კავკასიაში ყველაზე კეთილმოწყობილ საგანმანათლებლო დაწესებულებად ითვლებოდა, ჰქონდა სახელოსნოები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. სასწავლებელმა 25 წელი იარსება და სულ 447 სპეციალისტი - მუშა მოამზადა.

თბილისში მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის გახსნას მოჰყვა სასწავლებლებისა და სკოლების გახსნა ბათუმში (1889წ.), ბორჯომში (1891წ.), ხონში (1898წ.), ფოთში (1892წ.) და სხვ. სოფელ მეჯვრისხევში არსებობდა სასოფლო-სახელოსნო სასწავლებელი.

საქართველო სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად განიხილებოდა და ბუნებრივია, მეტი მოთხოვნა არსებობდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადებაზე. ,,სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების“ ძალისხმევით თბილისსა და ქუთაისში გაიხსნა ბაღოსნობის სკოლები. სკოლებში ისწავლებოდა მებაღეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, არითმეტიკა და სხვ. დისციპლინები. სკოლაში 14-17 წლის ახალგაზრდებს იღებდნენ, სწავლის კური 4-წლიანი იყო. მოსწავლეები, რომლებიც ,,სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების“ ხარჯზე სწავლობდნენ, ვალდებული იყვნენ სასწავლებლის დასრულების შემდგომ 10 წელი ემუშავათ კავკასიაში თავისი ხარჯით.

ქართული ეროვნული სკოლების ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დუშეთის მაზრაში წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნა. აღნიშნული სკოლის დამაარსებელი იყო ილია წინამძღვრიშვილი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს იმ დროის უდიდეს მეცენატად, მან პროფესიული განათლების განვითარების ისტორიაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა. ამ სკოლის წესდებაში, რომელიც 1882 წელს დაიბეჭდა, ვკითხულობთ, რომ ილია წინამძღვრიშვილი კისრულობდა ვალდებულებას, გამოეყო სკოლისათვის 50 დესეტინა მიწის ნაკვეთი, აეშენებინა შესაფერისი შენობა, მოეწყო იგი ავეჯითა და უზრუნველეყო სათვასოებით. 6-წლიანი

სკოლა წარმოდგენილი იყო 3 კლასით. პირველი კალსი 4-წლიანი იყო და მის ამოცანას ზოგადი ცოდნის დაუფლება წარმოადგენდა, ხოლო მეორე და მესამე კლასები თითოწლიანი იყო და სპეციალურ მომზადებას ითვალსწინებდა. სკოლის პირველ განყოფილებაში იღებდნენ 10 წლის ასაკის ბავშვებს, ხოლო მეორე განყოფილებაში ასაკი განსაზღვრული არ იყო. სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მიწის დამუშავების შესწავლას, ბოსტნეულის, ხეხილისა და ვაზის მოვლას, ფუტკრის გაშენებას, პირუტყვის მოვლასა და მკურნალობას, სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნასა და ტექნოლოგიას, გარდა ამისა, მოსწავლეები სწავლობდნენ ხელოსნობას და დურგლობას.

ასევე, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის კონსტანტინე (კოსტა) ამირეჯიბს. მან განათლება ევროპის წამყვან სასწავლებლებში მიიღო. 1897 წელს დაბრუნდა მშობლიურ სოფელ ავლევში და 1907 წელს გახსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ახალგაზრდები სწავლობდნენ სხვადასხვა ხელობას, სკოლას ჰქონდა საცდელი მეურნეობა, სამჭედლო და სადურგლო. მოგვიანებით, 1909 წელს, ავლევის სკოლაში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო საშუალო პროფესიული ქართულენოვანი ტექნიკუმი, სადაც ასწავლიდნენ ლითონის ცივ და ცხელ დამუშავებას, სახარატო საქმეს, ხის დამუშავებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დაშლა-აწყობას.

საქართველოში მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ყურადღება მიექცა ქალთა პროფესიული განათლების საკითხს. ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ეკატერინე გაბაშვილმა ილია ჭავჭავაძის მხარდაჭერით გახსნა ჭრა-კერვისა და ქარგვის სკოლა. მსგავსი სკოლები მოგვიანებით გაიხსნა ქუთაისსა და ფოთშიც.

მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, რომლებიც გამოიხატა განათლების კერების გახსნით მე-19 საუკუნეში, უნდა აღინიშნოს ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც ახასიათებდა იმ დროის პროფესიული განათლების ქსელს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების ქსელი საკმაოდ ვიწყო დარჩა და სასწავლებლების სიმცირის გამო პროფესიის დაუფლების მსურველ ახალგაზრდებს არ ჰქონდათ თავიანთი უნარებისა და მისწრაფებების მიხედვით პროფესიის არჩევის საშუალება. ხშირად მსურველები სასწავლებლის გარეთაც კი რჩებოდნენ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის ლიმიტის სიმცირის გამო. სუსტი იყო კავშირი ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სახელობო საგნების სწავლებას შორის. თეორიული და პრაქტიკული სწავლება არ იყო ერთმანეთთან ორგანულ კავშირში.

მას შემდგე, რაც ინტერვენციის შედეგად დაემხო დემოკრატიული ხელისუფლება და საქართველოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, საგანმანათლებლო პოლიტიკა საბჭოთა კავშირის ერთიანი საგანმანათლებლო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა. საბჭოთა ხელისუფლების მოსვლისთანავე ყველა კერძო სასწავლებელმა და სახელოსნო სკოლამ შეწყვიტა ფუნქციონირება და პროფესიული

განათლების სისტემა საბჭოთა პერიოდში მხოლოდ სახელმწიფო სასწავლებლების ქსელით შემოიფარგლა.

ახალი ცხოვრების წესმა საბჭოთა საქართველოში ისე, როგორც მთელ სსრ კავშირში დღის წესრიგში დააყენა ,,შრომა-სწავლის“ პრინციპით სწავლება, დაიწყო საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოწყობა მსხვილ საწარმოებთან. საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ასწავლიდნენ შრომის ძირითად პრინციპებს და უმარტივეს იარაღების გამოყენებას, სწავლების ვადა 2-3 წლით განისაზღვრებოდა.

დაწყებითი განათლების მქონე მუშებისათვის დაარსდა მასობრივ პროფესიათა სკოლები, სადაც შედარებით მოკლე დროში ამზადებდნენ მუშებს საფეიქრო, ლითონდამამუშავებელი, სამთო და სხვ. დარგებისათვის. კოლმეურნე ახალგაზრდებისათვის დაარსდა საღამოს სკოლები, სადაც იღებდნენ 17-30 წლის ასაკის კოლმეურნეებს.

კვალიფიციურ კადრებზე არსებულმა მზარდმა მოთხოვნამ დღის წესრიგში დააყენა მოკლევადიანი გადამზადების კურსების შემოღების საჭიროება. მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაიწყო 6-თვიანი მომზადების კურსების გახსნა და ფაბრიკა-ქარხნებში შემოღებულ იქნა ბრიგადული სწავლების მეთოდები.

1926 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გატარდა ნაწილობრივი სპეციალიზაცია და შემოღებულ იქნა განხრები, ანუ ზოგად განათლებასთან ერთად სკოლებს მოსწავლეებისათვის უნდა გამოემუშავებინა პრაქტიკული უნარ-ჩვევები რომელიმე პროფესიაში.

საბჭოური პერიოდის პროფესიულ განათლებაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემა. აღნიშნული სისტემა შეიქმნა იმ პერიოდში, როცა ქვეყანა მოახლოებული ომისგან თავდაცვითი პოტენციალის შესაქმნელად ემზადებოდა. შრომითი რეზერვების სასწავლებლებსა და სკოლებში მოსწავლეთა მიღება ოფიციალურად დაწესებული იყო როგორც ნებაყოფლობითი, ისე გაწვევითი (მობილიზაციის) წესით. ყოველწლიურად განისაზღვრებოდა სასწავლებლებში ჩასარიცხთა რაოდენობის გეგმა. ქვეყნის მესვეურთა მიერ 40-იან წლებში პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში გაწვევით კონტინგენტის მიღების გადაწყვეტილება აუცილებლობით განპირობებულ ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ქვეყანა საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სამწუხაროდ, კონტინგენტის მიღების ეს მანკიერი ფორმა ათეულობით წელი გაგრძელდა, რაც პიროვნების საყოველთაოდ აღიარებული უფლების ხელყოფად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული ფაქტი ბუნებრივია მძიმე მემკვიდრეობად ერგო თანამედროვე პროფესიული განათლების სისტემას წარსულიდან.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან შრომითი რეზერვების სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებები გადაკეთდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების ერთიანი ტიპის სასწავლო დაწესებულებად.

50-იანი წლების ბოლოდან საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო პროცესში მასიურად დაიწყო პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია. აღნიშნულ წამოწყებას ფართო მასშტაბები მიეცა და

ზოგიერთი სასწავლებელი სრულ თვითდაფინანსებაზე გადავიდა. მაგალითად, ქუთაისის N4 პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელიც ასრულებდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დაკვეთას.

იმ პერიოდის პროფესიული განათლების სისტემისათვის მსგავსი პრეციდენტი საკმაოდ პროგრესული ნაბიჯი იყო. ერთი მხრივ, პრაქტიკაზე დაფუძნებული მომზადება იძლეოდა სწავლების ხარისხის ამაღლების საშუალებას, მეორე მხრივ, ადრეული ასაკიდანვე ახალგაზრდები მატერიალური ფასეულობის შექმნაში იყვნენ ჩართული, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები იღებდნენ დამატებით ფინანსურ სარგებელს. სამწუხაროდ, აღნიშნულ წამოწყებას საბჭოთა რეალობაში მალევე გამოუჩდნენ მოწინააღმდეგეები, რასაც იმით ასაბუთებდნენ, რომ თითქოს საწარმოო მაჩვენებლებზე ზრუნვა სასწავლო ამოცანების იგნორირებას იწვევდა და მატერიალური დაინტერესება არ შეესაბამებოდა აღზრდის საბჭოურ პოლიტიკას.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა 70-იანი წლებიდან აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის ეკონომიკური დოვლათის შექმნის პროცესში. მოსწავლეთა მიერ დამზადებული ჩარხები, თუჯის სხმულები, შეკერილი ნაწარმი და ა.შ. იგზავნებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

საბჭოთა რეალობაში პროფესიული განათლება დიდი ავტორიტეტით და პოპულარობით არ სარგებლობდა. მუდმივი პრობლემა იყო კონტინგენტის შევსება, რაც ბევრი მანკიერების დასაბამი გახდა. მაგალითად, 80-იან წლებში, საკავშირო მთავრობის დადგენილების თანახმად, პროფტექნიკური სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებული გაუტოლდა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანს, რამაც ასეთი კატეგორიის ახალგაზრდებს უფლება მისცა უმაღლეს სასწავლებლებში ერთი გამოცდით ჩარიცხულიყვნენ. 80-იანი წლების პირველი ნახევარი საქართველოში პროფტექგანათლებაში მედალოსანთა ნამდვილი ბუმით აღინიშნა, რასაც, რაღა თქმა უნდა, მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. უფრო მეტიც, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა ხშირად ზოგადსაგანამათლებლო სკოლებში ცუდი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა თავშესაფრად და მათთვის სწავლის გაგრძელების ალტერნატივად განიხილებოდა. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია ბოლომდე გაჰყვა საბჭოთა სისტემას და ეს სტიგმა დღემდე მოჰყვება თანამედროვე პროფესიული განათლების სისტემას.

დასკვნა. წარმოდგენილი სტატია ცხადყოფს, რომ პროფესიული განათლების სისტემამ ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიული წარსულის გავლენით განვითარების რთული გზა განვლო. ადრეულ და შუასაუკუნეების საქართველოში ხელოსნობა, როგორც პროფესიული განათლების საწყისი ეტაპი, იდგა განვითარების მაღალ დონეზე. თუმცა თანამედროვე განათლების სისტემას მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად ქვეყნის მატერიალური სიდუხჭირის, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსის,

ცარისზმის იმპერიული პოლიტიკის თუ საბჭოური გავლენის გათვალისწინებით.

პროფესიული განათლების სისტემა დღეს დიდი გამოწვევების წინაშე დგას. დარგის შემდგომი განვითარების საქმეში მნიშვნელოვანია წარსულის სწორად გააზრება და სამომავლო პერსპექტივების ისე დასახვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ა. ,,პროფესიულ - ტექნიკური განათლება საქართველოში", თბილისი, 1990 წ.;
2. გაგუა ვ. ვ. ,,სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში", თბილისი, 1974 წ.;
3. გუგუშვილი პ. ბ. ,,საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX – XX საუკუნეებში", თბილისი, 1962წ.;
4. თაბუკაშვილი ა. „ვაჭართა და ხელოსანთა მორალი XVIII – XIX საუკუნეების ტფილისში", თბილისი, 2015 წელი;
5. კუნცია კ. ,,ამქრები XVII-XVII სს. საქართველოს ქალაქებში", თბილისი, 1984წ.;
6. ჭავჭავაძე ი. ,,რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად", ტომი მე-4, პუბლიცისტური წერილები;
7. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ისტორია ვებ-გვერდი: https://tmk.edu.ge/.

ეკონომიკური უსაფრთხოება - ქვეყნის სტაბილურობის და განვითარების გარანტი

Economic Security - Guarantee for Stability and Development of the Country

ქეთევან შენგელია - ეკონომიკის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი k.shengelia@seu.edu.ge
Ketevan Shengelia Associated Professor of Georgian Technical University
k.shengelia@seu.edu.ge

აბსტრაქტი. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონკურენტული ბაზრის დაცვასთან ერთად საზოგადოების სოციალურ მხარდაჭერას და უმუშევრობის შემცირებას. იგი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა და ძირითადად ქვეყანაში არსებული სუსტი ინსტიტუტებისა და შრომის ბაზრის მოუქნელი ფუნქციონირებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

კაცობრიობის განვითარებამ მიაღწია გარკვეულ ზღვარს, სამეურნეო საქმიანობით გამოწვეულმა ბუნების დეგრადაციამ, მსოფლიოს უთანაბრო განვითარების გაღრმავებამ მოგვიტანა დღევანდელი პანდემია, რასაც შეიძლება კაცობრიობისათვის შეუქცევადი შედეგები მოჰყვეს. ჩვენ შევქმენით დამახინჯებული სამყარო, დავაბინძურეთ იგი როგორც სულიერად, ასევე ეკოლოგიურად. არაბუნებრივად დაჩქარდა ცხოვრების რიტმი. თვითმიზანი გახდა სიმდიდრე და ფუფუნება, რაც რადიკალურად ეწინააღმდეგება ჩვენს სულიერ საწყისს. უნდა

ავმაღლდეთ საკუთარ ეგოიზმზე მაღლა. სამყარო უნდა დავინახოთ, როგორც ერთიანი სისტემა, სადაც პრიორიტეტი სულიერებას უნდა მივანიჭოთ. საჭიროა ყველას ქონდეს ნორმალური ჯანსაღი საკვები, ტანსაცმელი და საცხოვრებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამყაროს თვითლიკვიდაცია ემუქრება. დღევანდელი პანდემია ამის სიგნალია მთელს მსოფლიოში.

წამყვანი ქვეყნები დარწმუნდნენ იმაში, რომ ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარია. დღეს ტექნოლოგიური ბუმი ტრაექტორიას უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, უდიდესი პოზიტივი შეაქვს მასში, რომლის არგათვალისწინება ჩამორჩენილობას ნიშნავს.

ეკონომიკური ზრდა რომ იყოს მდგრადი და ყოვლისმომცველი, დამარცხებული უნდა იქნეს სიღარიბე და ღრმა უთანასწორობა. ეკონომიკური ზრდის საფუძველი ტექნოლოგიურ პროგრესში მდგომარეობს, რასაც უნდა ასტიმულირებდეს სახელმწიფო და მსხვილი ბიზნესი. ეს კი ხელს შეუწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას შეუქცევადად. ტექნოლოგიური განვითარებისათვის საჭიროა დიდი ოდენობით კაპიტალი, რაც მსხვილ კორპორაციებს და მონოპოლიებს გააჩნიათ. თავისუფალი ბაზრის პირობებში კი ტექნოლოგიური პროგრესი არაეფექტიანი იქნება სახელმწიფო რეგულირების გარეშე. უნდა განვითარდეს კვლევები უნივერსიტეტებში და მათ ამისათვის დაფინანსება სჭირდებათ. სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები კი უნდა გახდეს: კანონის უზენაესობა, წესრიგის დამყარება; დემოკრატიის განვითარება და საკუთრების უფლებების დაცვა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური სტაბილურობა, სიღარიბე, უმუშევრობა.

Abstract. Social support and the reduction of unemployment, along with the protection of the competitive market, play an important role in the economic security strategy. It is one of the most acute issues primarily due to the poor institutions in the country and the rigid functioning of the labor market. It is therefore typical of underdeveloped countries.

Human development has reached a certain degree, the deterioration of nature caused by agricultural practices, the worsening of the uneven development of the planet have brought us to the current pandemic, which may have irreversible repercussions for humanity. We have created a warped ecosystem that pollutes both spiritually and ecologically. The rhythm of life has unnaturally accelerated. Selfishness has become riches and luxury that is radically contradictory to our moral roots. We have to rise above our own selfishness. We must see the world as a unified system, where we must give priority to spirituality. Everyone needs regular healthy food, clothing and shelter, otherwise the world is in danger of self-destruction. The ongoing pandemic is a sign of this around the world.

Leading countries are convinced that the social orientation of the economy is a prerequisite for the peaceful and harmonious development of the country. Today, the technological boom is changing the trajectory of the development of the world economy, bringing the greatest positive to it, the disregard of which means backwardness.

Poverty and profound inequalities must be overcome if economic growth is to be sustainable and inclusive. The basis of economic growth lies in technological progress, which should be stimulated by the state and by big business. This in turn will help raise the standard of living irreversibly. Technological development requires large amounts of capital held by large corporations and monopolies. Even in a free market environment, without state regulation, technological progress will be ineffective. Research in universities should be developed and funding is required for this. The basic principles of the State should be the rule of law, the establishment of orders; the development of democracy and the protection of property rights.

Keywords: Economic Security, Economic Stability, Poverty, Unemployment.

ოცდამეერთე საუკუნე განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემას. იგი მრავალი ქვეყნისათვის

საშინაო და საგარეო პოლიტიკის ნაწილია. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიას განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში, განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნები ანიჭებენ მას დიდ მნიშვნელობას. მისი მთავარი ლაიტმოტივია საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისათვის ადექვატური პირობების შექმნა.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონკურენტული ბაზრის დაცვასთან ერთად საზოგადოების სოციალურ მხარდაჭერას და უმუშევრობის შემცირებას. იგი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა და ძირითადად ქვეყანაში არსებული სუსტი ინსტიტუტებისა და შრომის ბაზრის მოუქნელი ფუნქციონირებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

ფრანგი მეცნიერი რენე დეკარტის თეორიის მიხედვით არსებობს „სიღარიბის მანკიერი წრე“. იგი დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც ძირითადად იწარმოება მხოლოდ არსებობისათვის საჭირო საშუალებები. მანკიერი წრის გარღვევა შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის დაგროვებით, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს ინვესტიციები, წარმოება და დასაქმება.

სტატისტიკის ექსპერტების ემპირიული შეფასებით საქართველოს მოსახლეობის 2-3 პროცენტი მდიდარია, 7-8% – შეძლებული, 8-10% – საშუალო ფენას შეიძლება მივაკუთვნოთ, ხოლო – 80% ღარიბს, რომელთაგან ნახევარ მილიონზე მეტი აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს (საჭმლის, ჩასაცმლისა და საცხოვრისის სერიოზული პრობლემები აქვთ), ხოლო დანარჩენი ფარდობით სიღარიბეში იმყოფებიან.

კიდევ უფრო კარგად რომ გავაცნობიეროთ, თუ როგორ სიღარიბეში ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა, ვიტყვი, რომ 2019 წელს საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა მხოლოდ 16,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (2015 წლიდან არ გაზრდილა თითქმის დოლარებში!) (50 მილიარდი ლარი), მაშინ, როცა ტერიტორიით ჩვენზე ორჯერ პატარა ბელგიაში ის 532 მილიარდი დოლარის ტოლია (32-ჯერ მეტი!), ავსტრიაში – 436 მილიარდის (26-ჯერ მეტი), დანიაში 342 მილიარდის (20-ჯერ მეტი), ისრაელში 306 მილიარდის (18-ჯერ მეტი) და ა.შ.

სიღარიბე კი, როგორც აღვნიშნეთ, არც ისეთი უწყინარი რამეა. იგი აფერხებს სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას. სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარე პროცესებმა, საშუალო კლასზე მეტად მდიდრებისა და ღარიბების ფორმირებას და რიცხობრივ ზრდას შეუწყო ხელი. უფრო მეტიც, სწორედ ადრე არსებული „ძველი წარმომადგენლების“ ხარჯზე მოხდა მდიდრებისა და ღარიბების

მნიშვნელოვანი შევსება. გარკვეული „პრივილეგიები“ მიიღეს განაწილების ბერკეტებთან მყოფმა ნომენკლატურამ.

მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი შეადგენს 20 პროცენტს. ყველასთვის გასაგები ენით რომ ვთქვათ, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 20,1% ღარიბია. (იხ გრაფიკი 1.)[1]



(გრაფიკი 1)

შინამეურნეობების განაწილება
შემოსავლის ჯგუფების მიხედ. (2018 წ.)

შემოსავლის ჯგუფი (ლარი თვეში)*	%
0-დან 500-მდე	35,7
500-დან 1000-მდე	33,3
1000-დან 1500-მდე	16,6
1500-დან 2000-მდე	6,9
2000 და მეტი	7,5

წყარო: შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა.

[1] http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo

ამ მონაცემების მიხედვით დღევანდელ პირობებში კეთილდღეობის დონით საშუალო კლასს შეიძლება მივაკუთვნოთ მოსახლეობის 7,5%, ანუ დაახლოებით 320-350 ათასი ადამიანი. ღარიბი იყო 80%, რაც ამაჟამადა შემცირდა 35,7%-მდე. ხოლო 0,8% გახლავთ მდიდარი.

დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე ბილ გეითსმა დაასაბუთა, რომ სოციალური პრობლემები აფერხებს საზოგადოების განვითარებას. ეკონომიკური უსაფრთხოების და გლობალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად მსოფლიოში სიღარიბე დაახლოებით 15 წელიწადში დამარცხებულ უნდა იქნესო.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ხარისხს, რომელიც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: სამომხმარებლო კალათის შემადგენლობაზე, საშუალო ხელფასის და საარსებო მინიმუმის თანაფარდობაზე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული მოსახლეობის რაოდენობაზე, სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯების წილზე მთლიან შიდა პროდუქტში, შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხზე და სხვა. მათ გაუთვალისწინებლობას უარყოფითი მულტიპლიკაციური ეფექტი მოაქვს ეკონომიკის განვითარებისათვის და ხელს უშლის ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ეკოლოგიური და სასურსათო პრობლემები გარკვეული თვალსაზრისით არყევენ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. რთული ხდება ეკონომიკური წონასწორობის დაცვა, რაც კიდევ უფრო გაამწვავა თანამედროვე პანდემიამ.

კაცობრიობის განვითარებამ მიაღწია გარკვეულ ზღვარს, სამეურნეო საქმიანობით გამოწვეულმა ბუნების დეგრადაციამ, მსოფლიოს უთანაბრო განვითარების გაღრმავებამ მოგვიტანა ალბათ დღევანდელი პანდემია, რასაც შეიძლება კაცობრიობისათვის შეუქცევადი შედეგები მოჰყვეს. ჩვენ შევქმენით დამახინჯებული სამყარო, დავაბინძურეთ იგი როგორც სულიერად, ასევე ეკოლოგიურად. არაბუნებრივად დაჩქარდა ცხოვრების რიტმი. თვითმიზანი გახდა სიმდიდრე და ფუფუნება, რაც რადიკალურად ეწინააღმდეგება ჩვენს სულიერ საწყისს. უნდა ავმაღლდეთ საკუთარ ეგოიზმზე მაღლა. სამყარო უნდა დავინახოთ, როგორც ერთიანი სისტემა, სადაც პრიორიტეტი სულიერებას უნდა მივანიჭოთ. საჭიროა ყველას ქონდეს ნორმალური ჯანსაღი საკვები, ტანსაცმელი და საცხოვრებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამყაროს თვითლიკვიდაცია ემუქრება. დღევანდელი პანდემია ამის სიგნალია მთელს მსოფლიოში.

წამყვანი ქვეყნები დარწმუნდნენ იმაში, რომ ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარია. დღეს ტექნოლოგიური ბუმი ტრაექტორიას

უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, უდიდესი პოზიტივი შეაქვს მასში, რომლის არგათვალისწინება ჩამორჩენილობას ნიშნავს.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია დაწყებული ორდოლიბერალიზმის იდეებიდან, სრულ განვითარებას იძენს ლუდვიგ ერჰარდის ნაშრომში „კეთილდღეობა ყველასათვის“. მაქს ვებერის, ვილფრედო პარეტოს და მისი მიმდევრების მიხედვით სოციალური უთანასწორობა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელსაც განაპირობებს სოციალური სტატუსი, შემოსავლები, ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება და ა. შ. თუმცა დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს „სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის“ გადაზრდა „სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში“. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ, გერმანია ნიდერლანდები, საფრანგეთი. მინიმალური ხელფასი აშშ-ში აღწევს საშუალო ხელფასის 50%-ს, იაპონიაში-44%, უფრო მეტია- საფრანგეთში 60%, ხოლო ნიდერლანდებში -75%.

იტალიელი მეცნიერის ვილჰფრედო პარეტოს კონცეფციის თანახმად საზოგადოების ერთი ნაწილის კეთილდღეობის ზრდამ არ უნდა შეამციროს მეორე ნაწილის კეთილდღეობის დონე. ეს დებულება პარეტოს ოპტიმუმის სახელწოდებითაა ცნობილი და მის მიხედვით მხოლოდ ასეა შესაძლებელი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა. ვილფრედო პარეტოს დიდი წვლილი მიუძღვის კეთილდღეობის ეკონომიკის შექმნაში.

კეთიდღეობის ეკონომიკას იხილავდა ასევე ინგლისელი ეკონომისტი და სოციოლოგი არტურ პიგუ. თავის ნაშრომებში „სიმდიდრე და კეთილდღეობა“, ასევე „კეთილდღეობის ეკონომიკა“, ის ასაბუთებდა, რომ სახელმწიფომ უნდა არეგულიროს ეკონომიკური რყევები მათი უარყოფითი შედეგების შესამცირებლად. ალფრედ მარშალი კი ასაბუთებდა, რომ სახელმწიფომ უნდა მიაწოდოს სოციალური დოვლათი თითოეულ მოქალაქეს და ეს უნდა იყოს ადამიანისთვის პოლიტიკური უფლების განხორციელება.

ისევე როგორც „დიდმა დეპრესიამ“ მსოფლიო საზოგადოების აზროვნება შეცვალა და წინა პლანზე დააყენა სახელმწიფოს ახალი როლი ეკონომიკაში, ასევე და უფრო მეტად შეცვლის მსოფლიო აზროვნებას „კოვიდ პანდემია“ და საზოგადოება სხვაგვარად შეაფასებს მოვლენებს. საზოგადოებრივი დოვლათი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

კეთილდღეობის სახელმწიფოს ოთხი ძირითადი მოდელიდან ყურადსაღებია კონტინენტალურ-ევროპული მოდელი, რომელიც გამოიყენება გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ნიდერლანდსა და შვეიცარიაში, ნაწილობრივ საფრანგეთშიც. მისთვის დამახასიათებელია სოციალური მიზნების დაფინანსება ბიუჯეტიდან სახელმწიფო ფინანსების

თითქმის 50 %-ით; მაღალი დასაქმებისათვის სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა; შესაბამისად სახელმწიფომ უნდა გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც არ შეუძლია ბაზარს.

ამერიკელმა მეცნიერებმა უილიამ ნორდჰაუსმა და პოლ რომერმა ნობელის პრემია დაიმსახურეს 2018 წელს, რომლებმაც დაასაბუთეს, რომ ეკონომიკური ზრდა რომ იყოს მდგრადი და ყოვლისმომცველი, დამარცხებული უნდა იქნეს სიღარიბე და ღრმა უთანასწორობა. მათი თეორიის მიხედვით ეკონომიკური ზრდის საფუძველი ტექნოლოგიურ პროგრესში მდგომარეობს, რასაც უნდა ასტიმულირებდეს სახელმწიფო და მსხვილი ბიზნესი. ეს კი ხელს შეუწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას შეუქცევადად. ტექნოლოგიური განვითარებისათვის საჭიროა დიდი ოდენობით კაპიტალი, რაც მსხვილ კორპორაციებს და მონოპოლიებს გააჩნიათ. თავისუფალი ბაზრის პირობებში კი ტექნოლოგიური პროგრესი არაეფექტიანი იქნება სახელმწიფო რეგულირების გარეშე. უნდა განვითარდეს კვლევები უნივერსიტეტებში და მათ ამისათვის დაფინანსება სჭირდებათ.

სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები უნდა გახდეს: კანონის უზენაესობა, წესრიგის დამყარება; დემოკრატიის განვითარება და საკუთრების უფლებების დაცვა.

კეთილდღეობის სახელმწიფოს თვალსაჩინო მაგალითია გერმანია, ეს 82 მილიონიანი ქვეყანა წარმატებით ახდენს სოციალური ინფრასტრუქტურის მუდმივ განვითარებას, ხელს უწყობს დასაქმებას, განათლებას, სამედიცინო მომსახურების სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფას, კონკურენტული ეკონომიკის განვითარებას. ასევე აშშ, რომელიც ყოველწლიურად ზრდის სოციალურ დანახარჯებს, გამოყოფს სოლიდურ თანხებს სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად, ჯანდაცვის, განათლების დასაფინანსებლად. სოციალური ეკონომიკის სიმწიფის ხარისხით კიდევ უფრო მეტად გამოირჩევიან დასავლეთ ევროპის ქვეყნები. მათი მიზანი საშუალო ფენის გაძლიერებაა. თუ რამდენად მაღალია მოსახლეობაში საშუალო კლასის წილი, იმდენად ძლიერია მისი გავლენა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასა და განვითარების ვექტორზე. ამით ამ კლასს გარკვეული ისტორიული მისიაც აკისრია: არ დაუშვას პოლიტიკაში მარგინალური შეხედულების პოლიტიკური ძალები, რათა საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას. ეს პრინციპი ირღვევა იქ, სადაც ადგილი აქვს საშუალო კლასის ისტორიული როლის დაკნინებას და იგნორირებას.

იმ კატაკლიზმებისა და რევოლუციური ცვლილებების გათვალისწინებით, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში რთული 1990-იანი წლების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში

საშუალო კლასი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების და კუთვნილი ისტორიული ადგილის ძიების პროცესშია. ამიტომ საშუალო კლასის ფორმირებას და მისი წილის გაზრდას უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები.

სოციალური საკითხი ასახულია მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ახალ პროგრამაში, რომელიც დამტკიცდა მსოფლიო სამიტის მიერ- **„დღის წესრიგი 21-ე საუკუნისთვის“.** იგი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ კონკურენციის პოლიტიკის შეხამებას საზოგადოების სოციალური დაცვის პოლიტიკასთან, საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგებას, გადასახადების ლიბერალიზაციას, ბიზნესის თავისუფლებას, ეკონომიკურ-სამართლებრივი სისტემის სანდოობის გაუმჯობესებას, მაკროეკონომიკურ რეგულირებას, სოციალური წესრიგის ამაღლებას. საზოგადოების სოციალური დაცვა ეკონომიკის სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად იქნა აღიარებული.

ეკონომიკის მდგრად უსაფრთხოებას ხელს უწყობს ასევე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება. ახალ ათასწლეულში, ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში, შემუშავებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის მაღალი სტანდარტები. ამიტომაც აუცილებელი ხდება მსხვილი ბიზნესის სოციალური ფუნქციის ამაღლება, მათი ურთიერთობა სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან სოციალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის. მრავალი უცხოელი მეცნიერი თვლის, რომ თუ მსხვილმა ბიზნესმა თავის თავზე არ აიღო სოციალურ პრობლემათა გადაჭრის პასუხისმგებლობა, თავადვე გახდება სოციალური პრობლემების მსხვერპლი.

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტულობა განპირობებულია მრავალი გარემოებით. მათ შორის აღსანიშნავია საბიუჯეტო რესურსების არასაკმარისობა სრულყოფილი სოციალური პოლიტიკის გასატარებლად. აქედან გამომდინარე, მსხვილ კომპანიათა როლი ამ პროცესებში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს, რის შედეგადაც ბიზნესი თანდათან გადავა ერთგანზომილებიანი საბაზრო სკალიდან მრავალგანზომილებიანზე, სადაც ასახული უნდა იყოს მისი საქმიანობის ეკონომიკური, სოციალური და ეთიკური ასპექტები.

ამგვარად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და უდიდეს გავლენას ახდენს თავდაცვით, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, სოციალურ, სასურსათო, დემოგრაფიულ, ინვესტიციურ, საგარეო და ა.შ. უსაფრთხოებაზე და მათთან ერთად ქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას. სახელმწიფო ვალდებულია არ დაუშვას მოსალოდნელი კატასტროფული შედეგები, რომელთა

მულტიპლიკაციური ეფექტი მაღალია და დიდად ზემოქმედებს საზოგადოების კეთილდღეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. "ეკონომიკური განვითარების თეორია". თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016;
2. აბრალავა ა. "ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია". თბილისი, "ინოვაცია", 2005;
3. ასათიანი რ. "ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეცვლის აუცილებლობა საქართველოში". "ეკონომისტი", 2016, №1;
4. პაპავა ვ. „საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები". თბილისი, „ინტელექტი", 2015;
5. სილაგაძე ა. „ეკონომიკური დოქტრინები". თბილისი, „ინოვაცია „, 2012;
6. ქ. შენგელია, „ცხოვრების დონის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში", ჟურნ. ეკონომიკა, 2017წ. №6.
7. ქ. შენგელია, „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების ძირითადი ტენდენციები საქართველოში", საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება", 2018 წ.
8. Galbraith J.K. Economics in the Century Ahead. "The Future of Economics." Oxford, Blackwell, 1992;
9. Porter M.Competitivite Advantages of Nations. "Harvard Business Revieu", 1990, υ 2;
10. Stiglitz J. The Price Inequality. "W.W. Nortonn & Company", New York-London, 2012;

სტარტაპების განვითარების ინოვაციური მოსახლეობის სოციალური დაცვის ორგანიზაციის თეორიული ასპექტები
Theoretical Aspects of the organization of Social Protection of the Population

გიორგი გოგოლაძე - მაგისტრი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ
Giorgi Gogoladze - Magister,
Georgian National University, SEU

აბსტრაქტი. ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს სოციალური დაცვის სისტემამ განიცადა განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები. საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია საბჭოთა მიდგომების შეცვლა სოციალური პოლიტიკის მიმართ. არსებული სისტემა ჩამოინგრა და მის ნაცვლად ახალი უნდა აშენებულიყო. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა წლების განმავლობაში არ შემცირებულა. რეგისტრირებულთა რიცხვი კიდევ უფრო მეტია. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ აქ მოქმედებს ბენეფიციარის რეიტინგის გაზრდის ფაქტი, მაგრამ სისტემური გავლენის უარყოფა კვლავ ძალადაკარგულია. ამრიგად, მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემა ასრულებს მხოლოდ სოციალური გადარჩენის ფუნქციას და ინარჩუნებს სტატუს კვოს.

საკვანძო სიტყვები: სოციალური დაცვის სისტემა, სოვიალური რისკები. გარდამავალი პერიოდი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სოციალური ხარჯები.

Abstract. The social protection system of Georgia has undergone significant stages of development over the past almost 30 years. The collapse of the Soviet Union led to a change in Soviet approaches to social policy. The existing system collapsed and a new one had to be built in its place. First of all, it should be noted that the number of recipients of targeted social assistance has not decreased over the years. The number of registered people is even higher. In fairness, it should be noted that the fact that the rating of beneficiaries has increased, but the denial of systemic influence is still not valid, applies here. Thus, the system of targeted social assistance performs only the function of social salvation and maintains the status quo.

Keywords: Social protection system, Soviet risks. Transition period, United Nations, social spending.

შესავალი. სოციალური რისკი ყოველთვის არსებობდა და მუდმივად განიცდიდა განვითარებას და ზრდას.სოციალურ რისკებს აქვთ დადებითი და ასევე უარყოფითი შედეგები. არსებითია, რომ ყოველდღიურად ნებისმიერი ადამიანი რისკის ქვეშ არის. მნიშნელოვანია განვასხვავოთ ყოველდღიუარად ადამიანს რა რისკი ხვდება და როგორ უნდა მოაგვაროს ეს რისკი. რისკი არის მოსალოდნელი საფრთხის შესაძლო გარემოებები, რომელსაც მოჰყვება სოციალური ან მატერიალური დანაკარგები, შესაძლო ზარალი, წარუმატებლობა რაიმე საქმეში. რისკის განმარტებას მრავალი მეცნიერი და მკვლევარი სწავლობს რადგან არის რისკის სხვადასხვა კატეგორიები სოციალური, ეკოლოგიური, ბიოლოგიური და ა.შ.

რისკების წარმოქმნა უმეტესად დამოკიდებულია სოციალური სუბიექტის ქმედებებთან. სუბიექტის დამოკიდებულება საკუთარ პიროვნებისადმი სოციალური ჯგუფებისადმი და გარემოსადმი ქმნის

სოციალური საქმიანობასთან დინამიურ სისტემას, სადაც ეს მოქმედებები ხდება არა ლიმიტირებული ხასიათისაა და შესაბამისად საკმაოდ ძნელია იმ შედეგების და განსაზღვრა, რომელიც შესაძლებელია მოყვეს ამ ქმედებებს. შედეგად შევიძლია დავასკვნად, რასაც ადასტურებს ის, რომ რისკს შეუძლია გამოვლიდე როგორც ერთ ინდივიდთან ასევე საზოგადოებაში და მისი ზარალი ცვალებადია.

ძირითადი ტექსტი. სოციალური რისკების დეტალურად ჩამოყალიბებისთვის რისკების ორი მიმართულება უნდა გამოიყოს: ტექნოგენური და სოციოგენური.

უნდა მოხერხდეს და გაერთიანდეს სოციალური რისკები, რომელსაც ტექნოგენურიხასიათი აქვს და სოციალური რისკები სუბიექტის შესაძლებლობებზე და თავისებურებებზეა დამოკიდებული. ტექნოგენური რისკები დაკავშირებულია ადამიანების შექმნილი ისეთ ფაქტორებთან რომელშიც ჩართულია უშუალო ტექნოლოგიური საქმიანობა, რომელთა მუშაობის დროს შეიძლება წარმოიქმნას რისკი მაგალითად სხვადასხვა სახის კატასტროფები და ასევე შეიძლება მოვიაზროთ ავარიები, ამ დროს მიღებული რისკი სოციალური რისკების მდგომარეობას აუარესებს. შესაბამისად სოციალური რისკები შეგვიძლია გავიგოთ როგორც კონკრეტული სუბიექტის ამ დროს არსებული სიტუაცია რომელშიც ის აღმოჩნდა ასე ვთქვათ მოხვდა არაკონტროლირებად მოვლენების გავლენი ქვეშ.

არსებობს გაუაზრებელია და გააზრებული. ყურადღება გავამახვილოთ რისკებზე, რომელიც მსხვერპლი სოციალური სუბიექტი აღმოჩნდება გარემო პირობების გამო. (პოლიტიკური დაძაბულობა, უმუშევრობადა ა.შ.) გაანალიზებული ფაქტორების შუალებას იძლევა რისკები დაჯგუფდეს შემდეგი სახეების მიხედვით: ზოგადი რისკები, ცხოვრების გარკვეული ეტაპების რისკები; თაობათა შორის რისკები, მიღებული განათლების ნაკლებობა და საჭირო სოციალური უნარების არარსებობა და საერთო არსებით ირისკები.

სოციალური რისკების ჯგუფის განსაზღვრისთვის შემოტანილია სხვადასვხა ნიშნები, რომელშიც სოციალურ დემოგრაფიული ნიშნებით ხდება განსხავება: აქ მოიაზრება როგროც სქესი ასევე პროფესია დაასაკი ასევე სხვა ბევრი ფაქტორი. კრიტერიუმების გამოყენებით შესაძლოა შეისწავლონ ცალკეული სუბიექტები ასევე სოციალური ჯგუფები, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ გაითავისონ ეს რისკი და გაუმკლავდნენ მას ასევე გამოიკვეთება ჯგუფები რომლების ვერ მოახდენენ ამის ადაპტირებას.

სოციალური რისკების განსაზღვრების ასევე მისი ფორმების სრულად ჩამოუყალიბებლობა აფერხებს მის უფრო განვითარებას და მისი დაზღვევის გაუმჯობესებას. სოციალური მდგომარეობა, პირველად ხასიათდებაერთ

გარკვეულ, ან ერთდროულად რამდენიმე კატეგორიაზე მიკუთვნებით რომელიც იყოფა კრიტერიუმებით: მუშა, უმუშევარი, მოსამსახურე აქ შეიძლება მოვიაზროთ საჯარო მოხელე, ასევე პენსიონერი და სტუდენტი. სოციალური მდგომარეობის დახასიათება შესაძლოა გაიმიჯნოს ასე: ქონებრივი სტატუსით, აქვს თუ არა მაღალი სამუშაო კვალიფიკაციისდონე. ასევე განისაზღვრება უფლებებით რომელიც მოქალაქეს აქვს, სხვადასხვა დაკისრებული საქმიანობით და პასუხისმგებლობი დონით. საკითხების შესასწავლათ რომელიც დაკავშირებულია სოციალური დაზღვევის საკითხებთან ასევე სოციალურ რისკებთან უნდა მოხდეს გარკვევა იმაში რისი გაგება და განსაზღვრება უნდა მოვახდინოთ როცა განვიხილავთ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლითან ხდება დახასიათება მოქალაქის სიცოცხლის მატერიალურ დონესა და ასევე ხარისხისა. გაეროს საყოველტაო დეკლარაციის 25-ე მუხლსი საკმაოდ კარგად და ფართოდ არის წარმოდგენილი სოციალური მოთხოვნილებების შემადგენლობა სადაც ვკითხულობთ: "ყველა ადამიანს აქვს უფლება ისეთი დონის ცხოვრებისა, (მათ შორის საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი, სამედიცინო და საჭიროების შემთხვევში სოციალური მომსახურების,) რომელიც აუცილებელია თვით ადამიანისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, ასევე უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის ან სხვა მიზეზით, მატერიალური რესურსების ზარალის შემთხვევაში უზრუნველყოფის უფლება."

სოციალური დაცვის სისტემების წინწამოწევამ, მოქალაქეების საკმაოდ პოზიტიურმა განწყობამ, საკმაოდ მაღალმა მოტივაციის ქონამ – მოითხოვონილი იყოს სოციალური დაცვის სტანდარტებით დაკმაყოფილება, მოახდინა გაზრდა სახელმწიფოს ჩართვის სოციალური რისკებისაგან დაცვაში. წიგნში – „პროფესიული რისკები", სოციალურ რისკების განსაზღვრება ხდება, როგორც „ტიპიურ მასობრივი სახის საშიშროებებს, როგორიცაა მოსახლეობის დიდი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის ფაქტორების გაუარესება, რაშიც იგულისხმება საზოგადოების მხრიდან მათი მნიშვნელობის შეფასება და შესაბამისობა ცხოვრების პირობებთან". ეს გამოხატავს, რომ „სოციალურ საშიშროებად ხდება იმ რისკების აღიარება ის , რომლებიც წარმოიქნმება საზოგადოებრივი ხასიათის მიხედვით და საკმაოდ ხშირ შემთხვევაში მათგან დამოუკიდებლად დაცვა თანაც მაღალი ხარისხიტ საკმაოდ რთულია ხშირად კი შეუძლებელი". ამ კონცეფციის განსხავევბული და ამავდროულად უფრო დეტალური და ფართო განმარტება შესაძლოა ჩამოყალიბდეს დაახლოვებით ასე: „სოციალური რისკს ქმნის ადამიანის ნორმალური სოციალური მდგომარეობის ჩაშლის ფაქტორები. კერძოდ: ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის დაკარგვა, ან შრომის მოთხოვნილების

არარსებობა (უმუშევრობა), რასაც თან ახლავს დასაქმებული მოსახლეობის მიერ მატერიალური უზრუნველყოფის გაურესება, მკურნალობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაჩენა, ხოლო ოჯახებისათვის - მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში შემოსავლის წყაროს შეწყვეტა“.

„სოციალური რისკის“ უშუალო არსს და განმარტებას მომხდარ მოვლენების განხილვისას ახასიათებს საკმაოდ მტკიცედ გამოხატული შეზღუდვა. სამედიცინო და საპენსიო დაზღვევის პაკეტები ასევე გადაეცემა უმუშევარ მოსახლეობას რომელიც საკმაოდ მრავლადაა, ვ. დ. როიკი სოციალური რისკების ხასიათი დაკავშირებულია ადამიანების შრომითი შესრულების ნაირსაბეობებთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ იმასთანაა დაკავშირებული თუ როგორ ვითარედება შრომის ბაზარი. ასევე უნდა დავაკვირდეთ იმას რომ ადამიანების სოციალური მდგომარეობას საფრთხეს უქმნის სხვადასხვა რისკ ფაქტორების ერთობლიობა მაგალითად როგორიცაა: აქ შეიძლება მოვიაზროთ ისეთი რისკები როგორიცაა ადამიანებისთვის სხვადასხვა ავადმყოფობები ანუ ვირუსები ასევე სხვადასხვა კატასტროფები ასევე სხვადასხვა რისკები რომელიც მიმართულია ადამიანისთვის ზიანის მისაყენებლად და ხშირ შემთხვევაში სიცოცხლის დამთავრებითაც კი მთავრდება ამ რისკების გამოვლენა.

შესაძლოა ერთი ფაქტორის ზემოქმედებით გამოიწვეული იყოს სხვის სოციალური მდგომარეობის გაუარესება, რაც მიუთითებს სოციალური რისკების არსებობაზე, მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ სოციალური რისკები, რომელსაც ადამიანის საქმიანობს დროს მოდის და ასევე რისკები, რომლებიც მიუხედავად იმისა, ეწევიან თუ არა ამ საქმიანობას მაინც ხვდებიან ამ რისკების დაქვემდებარების ქვეშ. ორივე განხილული ფაქტორი იმისთვის, რომ იყოს რისკები თავიდან აცილებული საჭიროა მოვახდინოთ დაზღვევის ქვეშ.

სოციალური რისკების განსაზღვრება საფუძვლად უდევს მისი მოდელის ჩამოყალიბებას. მისი შეფასების შემდეგ მეორე ეტაპია მიეკუთვნება სოციალური დაცვის მექანიზმის ფორმას, შესაძლებელია მოხდეს განსაზღვრა რისკის არსებობის დროს, რომელიც მიმართულია ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისკენ და შესაძლოა მოახდინოს რამის დაზიანება ესეთი რისკები უნდა მივაბაროთ დაზღვევას რა თქმა უნდა, ამას ადამიანების გადაწყვეტილების მეშვეობით ვაკეთებთ. მაგრამ, არსებობს ისეთი რისკები, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებენ და ადამიანებზე ან ადამიანთა ჯგუფზე ამ რისკების მიბარება უნდა მოხდეს სოციალური დახმარების მიმღებ კატეგორიას.

სოციალური რისკი - ნაბიჯია გარდამავალი ეკონომიკისაკენ. გარდამავალი ხანის ეკონომიკას ახასიათებს: 1. შემოსავლის დაცემა სიღარიბის და უმიშევრობის ზრდა; 2. ჯანმრთელობის გაუარესება

(სიცოცხლის ხანგრძლივობა); 3. განათლების დონის დაცემა, 4. სოციალური დაშლა; 5. ომები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. არის თუ არა საბაზრო ეკონომიკა სოციალური კატასტროფა?

გარდამავალ პერიოდში სოციალური დანახარჯების გამიჯვნას გამოყოფს ორი მაჩვენებელი: უნივერსალიზაცია და დროებითი სიღარიბე კონცენტრაცია და ქრონიკული სიღარიბე. ამ პროცესების გაერთიანება მთავარი პრობლემაა. სიღარიბეც მნიშვნელოვნად აზიანებს სციალურ დინამიკას. ქვეყნებში სადაც გარდამავალი ეკონომიკაა ძალიან რთულია რესურსების განაწილება. სოციალურ დაძაბულობას თან ახლავს პოლიტიკური არასტაბიმლურობა, ეს კი ამაღლებს რისკს.

სოციალური რისკი წამოდგენილია ასე: დანაზოგების და კაპიტალის ოდენობა, ასევე დანაზოგები, მიწაზე საკუთრება/უძრავი ქონება, ქონების ღირებულება. მდგომარეობა და კრედიტის პირობები შრომის ბაზარზე ხელფასის წილი შემოსავლებში, საპროცენტო განაკვეთის ოდენობა და საოჯახო მეურნეობებისათვის კრედიტის სიიოლე. პენსიონერების წილი, პენსია, ხელფასი, შემწეობის მიმღებთა წილი, შემწეობის წილი შემოსავალში, შიგა საოჯახო და საოჯახთაშორისო გადანაწილების მასშტაბები, შემწეობაზე დაშვება კატასტროფების დროს.

დასკვნა. გარდამავალ ეკონომიკის ქვეყნებში საპენსიო რეფორმების დროს გამოწვეული ხარჯები შესაძლოა მძიმე ტვირითი გახდეს ქვეყნისთვის შესაბამისად ეს გათვალისწინებული უნდა იყოს რეფორმისას. სააპენსიო რეფორმა შეიძლება მოიცავდეს პენსიის მიღების უფლებაზე მოთხოვნის გამკაცრებას. სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილში ქვეყნებში ღარიბების რიცხვში გამოირჩევიან ბავშვები, გამოირჩევიან ბავშვები (7-15 წელი)

გარდამავალი ეკონომიკის ზოგ ქვეყნაში საპენსიო კანონმდებლობამ უფლება მისცა პენსიონერებს მიიღონ პენსიაც და ხელფასიც ერთად, რის გამოც პენსიონერები ღარიბი მოსახელობიდან გამოვიდნენ. ქალებს, რომლების წინასაპენსიო ასაკში არიან, ძირითადად, უწევთ ისეთი სამუშაოს შესრულება, სადაც არაა მაღალი ანაზღაურება, რაც მათ სიღარიბის ფენას წარმოადგენს. მექანიზმი, რომელიც მიმართულია რისკებისგან თავის ასარიდებლად მოიცავს რისკების შემცირების გეგმას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - გაეროს ადამიანის უფლებათა ქარტია: მუხლი 25
2. Роик В.Д. „Профессиональные риски. - М.: АНКИЛ. 2016
3. Лапин В.Л., Попов В.М., Рыжов Ф.Н., Томаков В.И. “Безопасное взаимодействие человека с техническими системами” 2017

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით თვითღირებულების კალკულაციის თავისებურებები და უპირატესობები
Peculiarities and Advantages of Cost Calculation Based on Product Life Cycle

მერაბ ჯიქია - ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, merabi699@mail.ru
ნანა სრესელი - ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, nanasreseli@gmail.com

Merab Jikhia - Associate Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University merabi699@mail.ru
Nana Sreseli - Associate Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University nanasreseli@gmail.com

აბსტრაქტი. განვითარების რა დონესაც არ უნდა მიაღწიოს საზოგადოებამ და რა ფორმითაც არ უნდამიმდინარეობდეს საზოგადოებრივი წარმოების პროცესი, ადამიანთა ცხოვრების საფუძველი მატერიალური დოვლათის წარმოება იქნება. ამასთან, ერთი და იგივე დარჩება წარმოებისთვის საჭირო ელემენტებიც, რომელთა ხარჯვის შედეგად მიიღება მატერიალური დოვლათი და რომელთა რეალიზაციის გზით მეწარმეები ღებულობენ მოგებას. ნებისმიერი ფირმის ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიზანი, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღებაა.

წარმოების ხარჯების ზუსტი და თავისდროული აღრიცხვა დღეისათვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად არის მიჩნეული. უნდა აღვნიშნოთ, რომ პროდუქციის ერთეულზე პირდაპირი მასალისა და პირდაპირი შრომითი დანახარჯების მიკუთვნება მარტივია, გაცილებით რთულია პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნებელი საწარმოო ზედნადები ხარჯების განსაზღვრა, რადგან ეს ხარჯები არაპირდაპირია და მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია იმის დადგენა რა მოცულობით შეიცავს მათ პროდუქციის ერთეული. შესაბამისად, საჭიროა თვითღირებულების კალკულაციის ისეთი მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის ერთეულზე საწარმოო ზედნადები ხარჯების სამართლიან განაწილდებას. ამასთან ერთად დანახარჯების კალკულაციის ტრადიციულმა მეთოდებმა პროდუქციის თვითღირებულებისა და მოგებიანობის შესახებ შეიძლება არასწორი სურათი მოგვცენ, რადგან ტრადიციული მეთოდები ეფუძნებიან რა საანგარიშგებო პერიოდს, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს ყოფენ მონაკვეთებად. ამიტომ, ჩვეულებრივ მმართველობითი აღრიცხვის სისტემები პროდუქციის მოგებიანობას აფასებენ არა მთლიანი სასიცოცხლო ციკლის, არამედ საანგარიშო პერიოდების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: პროდუქციის თვითღირებულება, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი. წარმოების დანახარჯები, თვითღირებულების კალკულაცია, საწყისი სტადია, ზრდის სტადია, სიმწიფის სტადია, დაცემის სტადია.

Abstract. No matter what level of development society achieves and whatever form the process of social production takes place, the basis of human life will be the production of material wealth. Moreover, the elements necessary for the production will remain the same, as a result of which material wealth is obtained and through the sale of which entrepreneurs receive profit. The main goal of the economic activity of any firm is to derive maximum profit with minimum costs. Today, accurate and timely accounting of the costs of production is considered to be one of the main tasks. It should be noted that it is easy to attribute direct material and direct labor costs per unit of output, but, it is much more difficult to determine the production overhead costs per unit of production because these costs are indirect and due to their specificity, it is difficult to determine their volumes in the product units. Consequently, costing methods are needed to develop, which ensure a fair distribution of production overhead costs

per unit of output. At the same time, traditional methods of calculating costs can give a wrong picture of the cost and profitability of products, because while based on the reporting period, the traditional methods divide the production cycle into sections. Therefore, in general, the management accounting systems evaluate the profitability of products not according to the total life cycle, but according to the reporting periods.

Keywords: Cost of Production; Product Life Cycle: Costs of Production' Cost Calculation; Initial Stage; Growth Stage; Maturity Stage; Falling Stage.

ძირითადი ტექსტი. დანახარჯთა კალკულაცია სასიცოცხლო ციკლის მიხედვით ადგენს და აგროვებს ყველა დანახარჯსა და შემოსავალს და მიაკუთვნებს მათ თითოეულ პროდუქციას **მთელი მისი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე.** დანახარჯების აღრიცხვა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით გულისხმობს ყველა დანახარჯის აკუმულაციას დიზაინის შექმნის სტადიიდან შემდგომში მის განვითარებამდე ბაზარზე წარდგენის, წარმოების, რეალიზაციის და ბაზრის დატოვებასთან დაკავშირებული დანახარჯების ჩათვლით, შესაბამისად:

პროდუქცია **A**-ს სასიცოცხლო ციკლის დანახარჯი =
პროდ. **A**-ს მთლიანი დანახარჯი მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე

პროდუქცია **A**- ს ერთეულების მთლიანი რაოდენობა

ამის შემდეგ შესაძლებელია მოცემული პროდუქტის **მთლიანი** მოგებიანობის დადგენა. მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე პროდუქციის დანახარჯები არ არის თანაბრად განაწილებული. კომპანიებმა, რომლებიც საქმიანობას ეწევიან წარმოების მოწინავე გარემოში, დაადგინეს, რომ **პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის დანახარჯების დაახლოებით 90% განისაზღვრება გადაწყვეტილებებით, რომლებიც მიღებულია ციკლის ადრეულ ეტაპზე.** ბევრ დარგში სასიცოცხლო ციკლის დანახარჯების დიდი ნაწილი შედგება დანახარჯებისგან, რომელიც გაწეულია პროდუქციის დიზაინის, პროტოტიპის შექმნის, პროგრამების, პროცესის დიზაინისა და მოწყობილობების შეძენის ეტაპზე. აღრიცხვის ტრადიციული მეთოდების პირობებში სამეცნიერო-კვლევითი დანახარჯების მიკუთვნება შესაბამისი პროდუქტის თვითღირებულებაზე არ ხდება, ეს ხარჯები კლასიფიცირდება პერიოდის ხარჯებად და გამოიქვითება მიღებული შემოსავლიდან, რაც ამცირებს პროდუქციის მოგებიანობას.

დიზაინის ეტაპზე, ანუ პროდუქციის გამოშვებამდე, ხარჯების მკაცრი კონტროლის საჭიროება გაჩნდა, ვინაიდან დროის ამ მომენტისთვის ხარჯების უდიდესი ნაწილი უკვე გაწეულია.ამიტომ მმართველობითი აღრიცხვის სისტემა ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ დაეხმაროს კომპანიას პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის დანახარჯების დაგეგმვასა და კონტროლში, ხარჯებისა და ვალდებულებების მონიტორინგში **პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ადრეულ ეტაპზე.**

დანახარჯები, რომლებიც ჩართულია პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე სქემატურად შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ



პროდუქციათა უმრავლესობას გააჩნია ინდივიდუალური და შესაბამისად, განსხვავებული ხანგრძლივობის სასიცოცხლო ციკლი, რომელიც დამოკიდებულია პროდუქტის ტიპზე, მახასიათებლებზე, მომხმარებელზე. მიუხედავად ამ განსხვავებისა ნებისმიერი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი ერთი და იმავე ეტაპებისგან შედგება, ესენია:

1) **პროდუქციის წარმოების საცდელი ეტაპი**

- ამ ეტაპზე ხდება დიდი მოცულობის ტექნიკური მოსამზადებელი დანახარჯის გაწევა (პროდუქციის წარმოებამდე გაწეული დანახარჯები), რომელიც მოიცავს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტურო სამუშაოებს, პროდუქციის დიზაინისა და მახასიათებლების შექმნას.

2) **პროდუქციის გამოშვების დაწყების /ბაზრის კვლევისა და განვითარების ეტაპი**

- წარმატება დამოკიდებულია მომხმარებლების მიერ პროდუქციის შეასხებ ინფორმირებულობასა და მათ მიერ ამ პროდუქციის გამოცდაზე, აქედან გამომდინარე, ამ ეტაპს თან ახლავს მარკეტინგის, პროდუქციის გასაღების სტიმულირებისა და რეკლამის დიდი დანახარჯები.

- მმართველები ცდილობენ წაუგებლობის წერტილი სწრაფად მიღწევადი გახდეს, რაც დამოკიდებულია ბაზარზე პროდუქციის დროულ წარდგენაზე.

3) **ზრდის ეტაპი**
   - ამ ეტაპზე ხდება მარკეტინგის, პროდუქციის გასაღების სტიმულირებისა და რეკლამის პროცესის გაგრძელება.
   - ამ ეტაპზე საკმაოდ იზრდება რეალიზაციის მოცულობა, შედეგად მცირდება ერთეული პროდუქციის თვითღირებულება, რადგან მუდმივი დანახარჯები იფარება რეალიზაციის გაზრდილი მოცულობის ხარჯზე.

4) **სიმწიფის ეტაპი**
   - ამ ეტაპზე თავდაპირველად დაფიქსირებული იქნება მოგების მაჩვენებლის ზრდა, რადგან მოხდება საწყის ეტაპზე გაწეული ტექნიკური მოსამზადებელი ხარჯებისა და მუდმივი ხარჯების ამოღება.
   - მარკეტინგისა და დისტრიბუციის ეფექტი მიღწეული იქნება. თუმცა, ფასებს შორის კონკურენცია და პროდუქციის დიფერენციაცია გამოიწვევს მოგებიანობის შემცირებას, რადგან კომპანიებს მოუწევთ კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირება, სადაც შეზღუდული რაოდენობის ახალი მომხმარებლები არიან დარჩენილნი.

5) **დაცემის (ვარდნის) ეტაპი**
   - მარკეტინგის დანახარჯების გაწევა ამ ეტაპზე წყდება, რადგან პროდუქციის გამოშვება თანდათანობით მცირდება.
   - მასშტაბის ეფექტი შეიძლება დაიკარგოს, რადგან პროდუქციის წარმოების მოცულობა მცირდება.
   - ამასთან, ერთად უნდა მოხდეს ახალი ჩასანცვლებელი პროდუქტის წარმოების დაწყება რომელიც წარმოშობს ახალ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ - საკონსტრუქტორო სამუშაოებს და პროდუქციის განსაზღვრულ მდგომარეობაში მოყვანისთვის საჭირო სხვა დანახარჯებს.
   - ალტერნატიულად, პროდუქციის გაუმჯობესების მიზნით, შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამატებითი კვლევისა და განვითარების დანახარჯების წარმოშობას (ასეთი მიდგომა დამახასიათებელია ავტომანქანების წარმოებისთვის, როდესაც ხდება „პროდუქციის განვითარება“ და არა პროდუქციის შეცვლა“).

სასიცოცხლო ციკლის მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის შედეგი:

ფასდადგენა - გადაწყვეტილება ფასდადგენის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის მთელი პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით და არა მხოლოდ ამ ციკლის გარკვეულ ეტაპზე გაწეული დანახარჯებიდან გამომდინარე.

გადაწყვეტილების მიღება - პროდუქციის წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ამ პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში გასაწევი დანახარჯების გრაფიკი საშუალებას იძლევა, ნათლად გამოჩნდეს რა დანახარჯები იქნება საჭირო პროდუქციის საწარმოებლად იმგვარად, რომ კომპანიამ შეძლოს მათი უკან ამოღება. თუ ვერ მოხერხდება ამ დანახარჯების უკან ამოღება, მაშინ მიზანშეწონილი არ არის, კომპანიამ დაიწყოს ასეთი პროდუქციის/მომსახურების გამოშვება.

დანახარჯთა კალკულაცია სასიცოცხლო ციკლის მიხედვით, ბიზნესის ფუნქციებს შორის კავშირის ანალიზის საშუალებას იძლევა. მაგალითად, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დანახარჯების შემცირების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ მომავალში შესაძლოა გამოიწვიოს რეალიზაციის მოცულობის შემცირება.

საქმიანობის შედეგების მართვა (გაუმჯობესებული კონტროლი) - ბევრ კომპანიას მიაჩნია, რომ პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში წარმოშობილი დანახარჯების 90%-ის განსაზღვრა ხდება საცდელ და პროდუქციის გამოშვების საწყის ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. დანახარჯებზე ფოკუსირება პროდუქციის კომერციული წარმოების დაწყების შემდგომ იწვევს იმას, რომ სასიცოცხლო ციკლის დანახარჯების მხოლოდ მცირე ნაწილი დაექვემდებარება კონტროლს. ამგვარად, სასიცოცხლო ციკლის მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის გამოყენება კონტროლს აძლიერებს „გაყინულ“ დანახარჯებზე, როგორიცაა საცდელ ეტაპზე წარმოშობილი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დანახარჯები.

ანგარიშის წარდგენის გაუმჯობესება - სამეცნიერო - კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების, მარკეტინგისა და სხვა მსგავსი სახის დანახარჯები, ჩვეულებრივ, ანგარიშგებაში ფიქსირდება აგრეგირებულად, როგორც ყველა პროდუქციაზე გაწეული პერიოდის დანახარჯი. დანახარჯთა კალკულაცია სასიცოცხლო ციკლის მიხედვით კი ანაწილებს ამ დანახარჯებს, ცალკეული პროდუქტის მიხედვით მთელი მათი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე და საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შეუფარდეს მომავალ პერიოდებში ამა თუ იმ პროდუქტის მიერ გამომუშავებული შემოსავალი.

სასიცოცხლო ციკლის მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდის გამოყენებით, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას შეუძლია დაადგინოს პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი დაფარავს თუ არა

პროდუქციაზე სასიცოცხლო ციკლის მანძილზე გაწეულ მთლიან დანახარჯებს.

სრული სურათის შესწავლისას მოსახერხებელია დანახარჯების შემცირების (და, შესაბამისად, მოგების მაქსიმიზაციის) შესაძლებლობების დადგენა დანახარჯების შემდეგი კატეგორიებისათვის:

- შესაძლებელია ტესტირების დანახარჯები და შესაბამისად „საცდელი ეტაპის“ კატეგორიის დანახარჯების შემცირება;
- ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის სწორი დაგეგმვა და მკაცრი კონტროლი შეამცირებს კომერციულ დანახარჯებს.

შეუძლებელია დანახარჯების შემცირების ზემოთმოყვანილი შესაძლებლობების აღმოჩენა იმ შემთხვევაში, თუ მენეჯერები კონცენტრირებულები არიან მოგების მაქსიმიზაციაზე, პერიოდული აღრიცხვის საფუძველზე. მხოლოდ პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის მთლიანი დანახარჯების ცოდნა დაეხმარება კომპანიის ფასის სწორად განსაზღვრაში. ორგანიზაციას შეუძლია გამოიყენოს ფასდადგენის შემდეგი ტაქტიკა:

გამოშვების დაწყების ეტაპი	**ზრდის ეტაპი**	**სიმწიფის ეტაპი**	**დაცემის ეტაპი**
მაღალი ფასი მაღალი განვითარების დანახარჯების დაფარვის მიზნით;მაღალი უკუგება, სანამ კონკურენტები შემოვლენ ბაზარზე.	კონკურენცია იზრდება; კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად **შეამციროს ფასი.**	გაყიდვების მოცულობა იკლებს; საბაზრო ფასი უცვლელია; უნდა განვიხილოთ მოდერნიზაციისა და /ან ახალ ბაზრებზე შეღწევის შესაძლებლობა.	ბაზარზე გამოდის ახალი, უკეთესი პროდუქცია- გაყიდვების დონის შესანარჩუნებლად ფასი უნდა შემცირდეს

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით დანახარჯების აღრიცხვა წარმატებით გამოიყენება როგორც პროდუქციის წარმოების, ასევე მომსახურებისა და სხვადასხვას პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების კალკულაციის მიზნებისთვის.

ამრიგად, სასიცოცხლო ციკლის მიხედვით დანახარჯების კალკულაციის ძირითადი უპირატესობებია დანახარჯების შემცირების სათანადო გადაწყვეტილებების დროული მიღება, შემოსავლებისა და ხარჯების უფრო ზუსტი პროგნოზირება, სათანადო პირობების შექმნა გრძელვადიან პერიოდში რაციონალური გადაწყვეტილებების მისაღებად,

მენეჯერებისათვის საინვესტიციო და საოპერაციო ხარჯების შედარების შესაძლებლობის გაუმჯობესება.

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით კალკულაციის მეთოდის გამოყენებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დანახარჯები იცვლება მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და შესაბამისად, სწორედ დანახარჯების კალკულაცია მთელი ციკლის პერიოდში აუცილებელი პირობაა მოგებიანობის შესაფასებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ატკინსონი ე.ა. ,კაპლანი რ.ს., მათსუმურა ე.მ. ,იანგი ს.გ.- მმართველობითი აღრიცხვა, თარგმანი ინგლისურიდან, 2009.
2. მიქაძე პ.მმართველობითი აღრიცხვა, თბ. 2000.
3. Гаррисон Р,. Норин Э., Брюэр П. Управленческий учет. 12-е изд. 2010.
4. Друри К.- Управленческий и производственный учет. 5-е изд. 2012.
5. Бухгалтерский управленческий учет, Л.С. Васильева, Д.И. Ряховский, М.В. Петровская. М.2007.
6. Clasification of Manufacturing Costs and Expenses, 2015. http://www.microbuspub.com/pdfs/chapter4.pdf
7. Myle Bassel - Managerial Accounting Basics. 2011, www.amason.com/Managerial Accounting.

რისკის საკითხები საბანკო საქმიანობაში: რისკების ანალიზის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები
Risk Issues in Banking: Important Indicators of Risk Analysis

გიორგი ცაავა - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, G.Tsaava@gtu.ge
ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, vmosiashvili@yahoo.com
Giorgi Tsaava - PhD in Economics, Professor, Georgian Technical University, G.Tsaava@gtu.ge
Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor, Georgian National University, Seu vmosiashvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი. ნაშრომში საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა საბანკო რისკების აღწერაა მოცემული. საბანკო რისკი შეიძლება განხილული იქნას როგორც გარემოებების რიგითობა, რომლებსაც თან დამოუკიდებელი ბანკებისათვის უარყოფითი შედეგები მოაქვთ. გარდა ამისა, ერთი გარემოების წარმოქმნის გამო შესაძლებელია მეორესი და ა.შ. წარმოშობა განხორციელდეს. ფინანსური ბაზრები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დაკრედიტების ტრადიციული სისტემების გავრცელების გამო უფრო არასტაბილურები გახდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით განუსაზღვრელობის ხარისხის მაჩვენებელს

განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ყველა მითითებული ფაქტორები მთლიანობაში საფინანსო-საბანკო სისტემისათვის დამახასიათებელი რისკების ამაღლებისათვის საფუძვლის სახით ემსახურებიან. გარდა ამისა, ნაშრომში მიმოხილულია ბანკის საერთაშორისო საბანკო სისტემაში პოზიციონირების ფაქტორის შეფასების შესახებ და განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორიცაა ერთობლივი რისკი, სადაზღვევო რისკი, სახელმწიფოს გადახდისუუნარობის რისკი, საგადასახადო რისკი, სავალურო რისკი და ა.შ.

საკვანძო სიტყვა: რისკების ანალიზი, ბანკი, საბანკო კრედიტი, საბანკო რისკი.

Abstract. The article deals with various banking risks, which hold an important position banking. Referring to the fact that financial activities are exposed to certain risks, knowledge of then=m is an important criterion. Bank risk can be considered as a sequence of events, which result in negative consequences for independent banks. Furthermore, occurrence of one event may cause occurrence of another one, and so on.

Financial markets have become more unstable in consequence of advancement of traditional credit systems at national and international levels. In this regard, the uncertainly degree indicator is of particular importance. All these factors serve as the basis for increase of risks in the financial and banking system. Moreover, the author of the article considers evaluation of the factor of bank positioning in the international banking system, and analyzes such important as: overall risk, insurance risk, sovereign risk, tax risk, currency risk, etc.

Furthermore, the author suggests how to calculate the risk indicator. In has certain specified framework intervals and on the basis of them it becomes possible to assess the expected risk level that the bank faces in its activities. The author comes to the conclusion that classification of banking risks is of particular importance in the risk to the conclusion that classification of banking risks is of particular importance in the risk management process. Appropriate risk management will enable the bank to identify and assess banking risks, to manage, eliminate and prevent risks, as well as to finance them.

Keywords: Risk Analysis, Bank, Banking Loan, Benking Risk.

შესავალი. ნებისმიერი ბანკის საქმიანობა კონკრეტულ საბაზრო პირობებში ხორციელდება და აღნიშნულიდან გამომდინარე რისკების აკუმულაციას ექვემდებარება. საბანკო საქმიანობაში რისკი განისაზღვრება როგორც გარიგებების განხორციელებისას გარკვეული ზარალის ან დანაკარგის წარმოშობის ალბათობა.

რისკი თავისთავად „პოტენციალურ დანაკარგს წარმოადგენს, რომელსაც უძრავი ქონება, კაპიტალდაბანდებები და ეკონომიკური აგენტის საქმიანობა ექვემდებარება“. რისკის ტერმინის გაგებისადმი სინთეთიკური მიდგომის გამოყენებისას განისაზღვრება ასევე როგორც „სუბიექტისათვის ნეგატიური შედეგის მომტანი გარემოების მომტანი ალბათობა“. ზოგიერთი სხვა ავტორები რისკს წარმოგვიდგენენ როგორც „მოსალოდნელი შედეგებიდან პოტენციალურ ნეგატიურ გადახრას“.

საბანკო რისკი მუდმივად არსებობს საბანკო საქმიანობაში. საბანკო რისკების ცოდნა მნიშვნელოვანს წარმოადგენს, რამდენადაც ფინანსური საქმიანობა თავისი ბუნების მიხედვით განუსაზღვრელობას და რისკს ექვემდებარება. საბანკო რისკი, შეფასებაში და საბანკო რისკების ზუსტ რაოდენობრივ

წარმოდგენაში არსებული სუბიექტურობის ფაქრორის გამო, მეტისმეტად რთული განსასაზღვრავია.

ძირითადი ტექსტი. საბანკო რისკს ერთიანი მიღებული განმარტება არ გააჩნია, მაგრამ მოცემულ სფეროში ყველა ექსპერტები აღიარებენ იმ ფაქტს, რომ მოცემული ცნება თავისთავში მოიცავს: საბანკო რისკების არასტაბილურობის მიზეზებს; ბანკის მიზნებით განსაზღვრად საბანკო რისკების გამოვლენის კრიტიკულ წერტილს; იმას, რომ საბანკო რისკები დასახული მიზნების მიუღწევლობის ალბათობას გამოხატავენ.

კონკრეტულ შემთხვევაში საბანკო რისკის სუბიექტად გამოდის საბანკო ოპერაცია. საბანკო რისკის ცნების გამარტივებული განსაზღვრა მოიცავს ყველა ზარალის ან დამატებითი ხარჯების ნამდვილ ღირებულებაზე მითითებას, რომლებიც გააჩნია ან შეიძლება საბანკო ორგანიზაციამ მიიღოს.

საბანკო რისკი მოიცავს ორ კომპონენტს: განუსაზღვრელობას მომავალში გარემოების წარმოშობის მიმართებაში; დაქვემდებარებულობას ზარალის მიღების ალბათობასთან მიმართებაში.

პრაქტიკაში არსებობს საბანკო რისკის გენერირებადი ოპერაციების ან გარკვეული პროცედურების ნაკრები. გარდა ამისა, ბანკები ეჯახებინ ისეთ რისკებს, რომლების მათი საქმიანობისათვის დამახასიათებელი არ არის.

სპეციალიზირებულ ლიტერატურაში მრავალმა თეორიებმა მიიღო განვითარება ბანკების მიერ განცდადი პრობლემების გამომწვევ მიზეზებთან მიმართებაში. ექსპერტების ნაწილი თვლიან, რომ რისკები დამოკიდებულია შემოსვლადი შემოსავლების დონისა და ხარჯების დონის ცვლილებებზე, რომლებიც მათ თან სდევენ. შემოსავლების ძირითადი წყაროების რიცხვში შდიან პროცენტები ინვესტიციებთან მიმართებაში, ხოლო დანახარჯების მეტ ნაწილს შეადგენენ სახსრები, რომლებიც მოზიდულ სახსრებზე პროცენტების გადადაზეა მიმართული. შფასება როგოეც შემოსავლების, ასევე ხარჯებისაც შეიძლება საბანკო აქტივების და პასივების, განხორციელებული გარიგებების სტრუქტურის და ბანკის საგარეო გარემოზე ზემოქმედების შემძლე მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე იქნას განხორციელებული. სხვა მკვლევარების მოსაზრებების მიხედვით, ძირითადი როლი მაკროეკონომიკურ გაქტორებს მიეკუთვნება, რომელთა ცვლილება ძნელად განჭვრეტადია.

ა) საბანკო რისკების ტიპოლიგია:

სისტემური მიდგომა საბანკო სფეროსათვის დამახასიათებელი რისკის ძირითადი კატეგორიების განსაზღვრისადმი მათი კლასიფიკაციის განხორციელებას საჭიროებს. ეკონომიკურ ლიტერატურაში შეიძლება საბანკო რისკების კლასიფიკაციის რამდენიმე ვარიანტი შეგვხვდეს. ქვემოთ მათ შორის ყველაზე მნისვნელოვანებია განხილული.

რიგი ექსპერტების მოსაზრების მიხედვით, ბანკები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფ ზოგიერთი კომპლექსური რისკების ზემოქმედებას განიცდიან, უფრო ზუსტად კი:

- **საკრედიტო რისკი** – მდგომარეობს იმაში, რომ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს თავის ვალდებულებებს;
- **საბაზრო რისკი** – ითვალისწინებს საბაზრო კურსების ან საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებით განპირობებული ზარალის წარმოშობის შესაძლებლობას, რომლებიც საერთო და განუჭვრეტად ხასიათს ატარებენ;
- **საოპერაციო რისკი** – მდგომარეობს ადამიანური ფაქტორით უკანონო ხასიათის ან შიდა კონტროლის არარსებობის ქმედების განხორციელებულით გამოწვეული შეცდომების მიზეზით ზარალის წარმოშობის შესძლებლობაში;
- **იურიდიული რისკი** – თავისთავად წარმოადგენს რისკს, რომელიც კონტრაქტორისადმი გამოყენებადი სამართლებრივი რეგულირების რეჟიმიდან წარმოიქმნება;
- **ლიკვიდობის რისკი** – თავისთავად წარმოადგენს რისკს იმისა, რომ კონკრეტული აქტივი შეუძლებელია ფასის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე იქნას რეალიზებული;
- **რეგულირების რისკი** – მოიცავს გადახდების განხორციელების პერიოდში საბაზრო რისკებისადმი და საკრედიტო რისკისადმი მიდრეკილებას;
- **სპეციფიკური რისკი** – შედგება აქტივის ღირებულების შემცირებაში, ამასთან ღირებულების შემცირება საერთო საბაზრო ტრენდთან არ არის დაკავშირებული.

საერთაშორისო გარიგებების სპეციფიკა საბანკო საქმიანობის სუბიექტების სპეციფიკურ ქცევას განაპირობებს. ამრიგად, რისკები შიძლება იქნას დაყოფილი ორ ჯგუფად: სუფთა და შემოსავლიანი (სპეკულაციური) რისკები. **სუფთა რისკები** – ხასიათდებიან იმით, რომ რისკისადმი დაქვემდებარებულობა ორგანიზაციის საქმიანობის მსვლელობაში ფორმირდება და საბანკო პროცედურები განაპირობებენ გარემოებების წარმოშობას, რომელთა შედეგად ფორმირდება ზარალი. რისკების მოცემულ კატეგორიაში გამოყოფენ რისკების შემდეგ ჯგუფებს: ფიზიკური რისკები, ფინანსური რისკები, კანონსაწინააღმდეგო და ბოროტმოქმედებით საქმიანობის რისკები, აევე პასუხისმგებლობის დადგომის რისკები.

სპეკუაციური რისკები – შეიძლება დახასიათებული იქნას იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული რისკისადმი დაქვემდებარებულობა ფორმირდება უფრო მაღალი მოგების მიღების მცდელობების განხორციელების შედეგად, რამაც შეიძლება ბანკზარალის ან დამატებითი დანახარჯების წარმოშობისაკენ მიიყვანოს.

საბანკო რისკების სხვა კლასიფიკაციის საფუძველში ჩადებულია, ერთის მხრივ, საბანკო გარიგებების სპექტრი, რომლებიც რისკების გენერირების შემძლეები არიან, ხოლო მეორეს მხრივ კი - ასეთი რისკების ფორმა. მოცემული თვალსაზრისიდან გამომდინარე გამოყოფენ რისკების შემდეგ კატეგორიებს:

- **ფინანსურ რისკები** - რომლებიც ბალანსის მართვისას გაითვალისწინება;
- **საქმიანობის განხორციელების (გაძღოლის) რისკები** - რომლებიც საბანკო მომსახურების განხორციელებისათვის არის დამახასიათებელი;
- **გარემომცველი გარემოს რისკები** - რომლებიც საბანკო ზედამხედველობის სამსახურების მიერ რეგულირებად კონკრეტულ გარემომცველ გარემოში ბანკის საქმიანობის პროცესში, და განვითარების მუდმივ დინამიკაში მყოფი ეკონომიკურ სფეროში ფორმირდებიან.

ფინანსური რისკები - თავისთავად საბანკო რისკების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ, რამდენადაც ასეთი რისკების მართვა თავისთავად ბანკების გაკოტრების ყველაზე გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენს. მოცემული კატეგორიის შემადგენლობაში შეიძლება ჩაირთოს შემდეგი რისკები:

ა) საკრედიტო რისკი - მიეკუთვნება ინვესტიციებზე ვალდებულების ვადის დადგომისას ინვესტირებული კაპიტალისა და შესაბამისი პროცენტების ფაქტიურად მიღების ალბათობას;

ბ) ლიკვიდობის რისკი - გამოხატავს სახსრების მიღების ალბათობას;

გ) საბაზრო რისკი - მიუთითებს იმის ალბათობაზე, რომ საბაზრო პირობების ცვლილებას შეეძლო ბანკის მოგებიანობის მაჩვენებელზე ნეგატიური სახიტ მოეხდინა ზეგავლება;

დ) გაკოტრების რისკი - ახასიათებს იმის ალბათობას, რომ ბანკის საკუთარი სახრები შეძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს ზარალის გადასაფარავად, რომლებიც მიმდინარე საქმიანობის შედეგების მიხედვით წარმოიქმნებიან, ასევე იმის ალბათობა, რომ ასეთმა დანაკარგებმა შეიძლება ბანკის კრედიტორების ინვესტიციებზე ნეგატიური ზემოქმედება განახორციელოს.

პრობლემები, რომლებსაც ცალკეული საბანკო ორგანიზაცია ეჯახება, ასეთი კომპონენტებს შორის რთული ურთიერთკავშირის შდეგად მთლიანობაში საბანკო სისტემის სტაბილურობაზე დამუქრებით, ბანკი-პარტნიორებზეც ნეგატიურად ზემოქმედებენ. მოცემულ შემთხვევაში ბანკები შეიძლება დაეჯახოს სისტემურ რისკს, ამასთან სისტემური რისკის მართვა ეროვნულ დონეზე ცენტრალური ბანკის მიერ ხორციელდება.

საქმიანობის განხორციელების (გაძღოლის) რისკები - დაკავშირებულებია ფინანსური მომსახურების სფეროში განხორციელებულ ოპერაციებთან. მოცემული კატეგორია მოიცავს:

- საოპერაციო რისკს - რომელიც თავისთავად წარმოადგენს იმის ალბათობას, რომ კლიენტების მოთხოვნილებების ეკონომიკურად ეფექტური პირობების უზრუნველყოფაში, ბანკი აღმოჩნდება დაკმაყოფილების არშემძლე;
- ტექნოლოგიურ რისკს - რომელიც ფინანსური პროდუქტების შეთავაზების ხარისხთან და სტრუქტურასთან არის დაკავშირებული;
- ახალი საბანკო პროდუქტის დანერგვის რისკს - რომელიც ფინანსური პროდუქტების სფეროში ინოვაციების დანერგვასთან არის დაკავშირებული;
- სტრატეგიულ რისკს - რომელიც თავისთავად მოცემულ გარემოებებში ოპტიმალური სტრატეგიის არჩევის განხორციელების შეუძლებლობის ალბათობას წარმოადგენს.

გარემომცველი გარემოს რისკები - მიეკუთვნებიან იმ რისკების კლასს, რომლებიც ბანკის საქმიანობაზე არსებით ზეგავლენას ახდენენ, და შიძლება საბანკო ორგანიზაციის მიერ ძალიან შეზღუდული მოცულობით იქნას გაკონტროლებული. რისკების ასეთ კლასს მიაკუთვნებენ:

- თაღლითური ქმედებების რისკი - რომელიც ბანკის მოსამსახურეების მიერ ბანკის ინტერესების საპირისპიროდ მიმართული გარკვეული ქმედებების განხორციელების ალბათობას გამოხატავს;
- ეკონომიკური რისკი - რომელიც ეკონომიკური პირობების განვითარებასთან არი დაკავშირებული, რომლებშიც ბანკი და მისი კლიენტები ფუნქციონირებან;
- კონკურენციის რისკი - რომელიც ბანკისათვის საბაზრო ურთიერთობების ნეგატიური ცვლილებებისაკენ და შემოსავლების შემცირებისაკენ მიმყვან ფაქტორს მიეკუთვნება;
- იურიდიული რისკი - რომელიც საბანკო საქმიანობის განვითარების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნილებების შესაბანისობის უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული. რისკის მოცემული სახეობა სამართლებრივი ჩარჩოების სამომავლოდ განვითარების მიმართებაში განუსაზღვრელობის ხარისხს გამოხატავს, რომლებშიც საბანკო ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირება ხორციელდება.

ფინანსური რისკის საკითხი ასევე საერთაშორისო დონის სამართლებრივ აქტებსაც ეხება. ასე მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში მოხსენებულია ის ფაქტი, რომ ფინანსური რისკები ფინანსური ინსტრუმენტებთან გარიგებებისათვისაც არის დამახასიათებელი.

ბალანსზე აღრიცხვაში აღებული ან არაღებული ფინანსური ინსტრუმენტებისათვის დამახასიათებელი რისკის ხარისხის შეფასებისაგან დამოკიდებულებაში, ფინანსური რისკების კატეგორიას მიაკუთვნებენ: ფასობრივ რისკს, საკრედიტო რისკს, ლიკვიდობის რისკს, ფულადი ნაკადის რისკს.

ფასობრივი რისკი არა მარტო პოტენციალური ზარალის, არამედ მოგების შემენის ალბათობასაც ითვალისწინებს, და, თავის მხრივ, დაიყოფა რისკების შემდეგ სამ კატეგორიად:

- სავალუტო რისკი;
- საპროცენტო განაკვეთის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საიმპორტო-საექსპორტო კონტრაქტებში პარტნიორები ფასს მოლაპარაკებების პროცესში განსაზღვრავენ. მოცემულ შემთხვევაში მყიდველის (იმპორტიორის) მიერ საქონელის/მომსახურების ღირებულების გადახდის მომენტამდე ფასები ასეთ საქონელზე საერთაშორისო ბაზარზე იცვლებიან, და აღნიშნული გარიგების განხორციელებაზე ზეგავლენას არ ახდენენ, მაგრამ მოცემულმა ფაქტორმა შეიძლება გამყიდველს ან მყიდველს გადახდის დღისათვის საბაზრო ფასის მიმართებაში „ზარალი“ ან „მოგება“ ჩამოუყალიბოს.

სავალუტო რისკი - თავისთავად საპროცენტო რისკის საბაზრო დონის ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერეობის რისკს წარმოადგენს.

საბაზრო რისკი - თავისთავად საბაზრო ფასების მერყეობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკს წარმოადგენს, თუნდაც თუ ასეთი მერყეობები - სპეციფიკური ფაქტორებოს ზემოქმედებით, ცალკე აღებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის უფლებების ან ფლობის სტრუქტურის ცვლილებით ან ბაზარზე მიმოქცევადი ყველა ფასიანი ქაღალდების საკუთრების უფლებებზე ზემომქმედი ფაქტორებით ზემოქმედებით არის გამოწვეული.

საკრედიტო რისკი - მდგომარეობს იმაში, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობების ერთ-ერთი მხარე ვერ ასრულებს აღებულ ვალდებულებებს, რასაც მეორე მხარისათვის ფინანსური ზარალის წარმოქმნისაკენ მივყავართ.

ლიკვიდობის რისკი - ასევე დაფინანსების რისკადაც არის წოდებული - თავისთავად წარმოადგენს რისკს იმისა, რომ საწარმო შეიძლება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო სახსრების მიღებაში სირთულეებს დაეჯახოს. ფინანსური რისკი შეიძლება ფინანსური აქტივის, მის სამართლიან ღირებულებასთან

მიახლოვებული ფასის მიხედვით, სწრაფად რეალიზების შეუძლებლობაში გამოიხატოს.

ფულადი ნაკადების რისკი - მდგომარეობს ფულად ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სამომავლო ფულადი ნაკადების ღირებულების ფლუქტუაციის წარმოქმნის ალბათობაში.

ფინანსური რისკი - რომელიც ფინანსური ინსტრუმენტების გარიგებებს მიეკუთვნებიან, განხილულიუნდა იქნას ორი პოზიციიდან, უფრო ზუსტად: ერთის მხრივ, ცნება „კრედიტორის“ მეშვეობით, ხოლო მეორეს მხრივ, ცნება „ინვესრორების“ მეშვეობით.

ბანკები გამოდიან კრედიტორებად, როდესაც კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას აფინანსებენ. ისინი ხდებიან დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტები, რომელთა არსებობა საბაზრო ეკონომიკისათვის სავალდებულოა.

კომერციული ბანკები - არის საბანკო სისტემის საკვანზო ელემენტების, რამდენადაც ისინი ძირითად საბანკო ოპერაციებს ახორციელებენ.

ბანკების მთლიანი საქმიანობის საფუძველში ჩადებულია ფულადი სახსრები. ეს უკანასკნელი გამოდიან ანაბრებში მოზიდულ გარკვეულ შენახვადი თანხების ფორმაში. ასეთი დეპოზიტების მიმართებაში ბანკი იყენებს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც თავისთავად ბანკისათვის ხარჯებ წარმოადგენს. მითითებული ხარჯების დაფარვისათვის საჭიროა რესურსები იქნას ამოქმედებული, რომელთა ხარჯზე ბანკს შეუძლია მიიღოს შემოსავლები. შემოსავლების მიღების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა - სესხების მიწოდების მეშვეობით ხორციელდება, და მოცემული ოპერაცია აქტიური ოპერაციების რიცხვში ყველაზე უფრო მნიშვნელობადობას ფლობს. ასეთი ოპერაციების განხორციელებისას ბანკი დროის ნებისმიერ მომენტში, თავის ძირითად საქმიანობაში გარკვეული ფაქტორების წარმოშობის ალბათობის გამო, რისკის ზეგავლენის ქვეშ ექცევა.

საბანკო რისკები - თავისთავად ალბათობით გარემოებებს წარმოადგენენ, რომლებსაც საბანკო საქმიანობისათვის შედეგების შექმნა შუძლიათ. მათ შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა ფორმები:

- **კაპიტალის დაკარგვის რისკი** - ხასიათდება კაპიტალით რისკიანი აქტივების გადაფარვის კოეფიციენტით. რისკიანი აქტივების კატეგორიაში შედიან მაღალრისკიანი სესხები (კრედიტები ფიზიკურ პირებზე, კრედიტები არასაკმარისი უზრუნველყოფით);
- **ლიკვიდობის რისკი** - ხასიათდებიან საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების თანაფარდობიტ;
- **საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი** - მობილიზებულ რესურსებზე;
- **კაპიტალის გამორეცხვის რისკი** - ინფლაციის ზემოქმედების მექანიზმის მეშვეობით;

- **კაპიტალის რეპატრიაციის რისკი** – მოსესხების საგარეო პირობების ზემოქმედების ქვეშ.

ჩვენი მოსაზრებით, ზემოთ ყველა მითითებულ რისკებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანებს კაპიტალის დაკარგვის რისკი და არასაკმარისი ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს.

კაპიტალის დაკარგვის რისკი – არსებობს, როდესაც კლიენტი დადგენილ პერიოდში მიღებული კრედიტის დაფარვის შმძლე არ არის. მოცემულ შემთხვევაში ბანკის მოთხოვნები შეუძლებელია გარკვეული დროის განმავლობაში ფულად სახსებში იქნას გარდაქმნილი, რაც ასევე ბანკის მიერ თავისი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაზეც აისახება. იმ პირობებში, როდესაც ასეთი სიტუაციები საკმაოდ ხშირად წარმოიქმნებიან, კრედიტებთან და დეპოზიტებთან მიმართებაში გადახდებს შორის თანაფარდობა ირღვევა, რამაც შეიძლება ბანკისათვის საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში ნეგატიური შედეგები იქონიოს. სიტუაცია ზემოქმედებას ახდენს მეანაბრეებზე, რომლებიც ბანკთან მიმართებაში ნდობას კარგავენ და დეპოზიტებში განთავსებულ თანხების ანგარიშებიდან გატანას ახდენენ. ასეთ შემთხვევაში ბანკის მდგომარეობა შემდგომში შეიძლება ფინანსური რესურსების დაკარგვის გამო გაუარესდეს.

საბანკო ორგანიზაციების გაკოტრებისაგან თავის ასაცილებლად განსაკუთრებული ნორმატიული სამართლებრივი აქტები იქნა მიღებული. აღნიშნულთან მიმართებაში საბანკო საქმოანობის წესები, ბანკების გაკოტრების სახით შდეგების აღმოფხვრაზე ორიენტირებული გარკვეული წესების დაწესების მეშვეობით, უზრუნველყოფენ მეანაბრეების ინტერესების დაცვას (ლეონოვიჩი, პეტრუშინა, 2012). ასეთ წესებს შორის უნდა იქნას აღნიშნული:

- ბანკის ვალდებულებები მინიმალური კაპიტალის გადახდასთან მიმართებაში;
- რისკის გადამფარავი განაკვეთის დადგენა, რომელიც სუფთა საკუთარი სახსრებისა და რისკის ხარისხის მიხედვით შეწონილი გაცემული სესხების თანაფადობის მეშვეობით გამოიხატება;
- რისკების მიხედვით შემცირებული განაკვეთის გაანგარიშება, რომლის დიაპაზონის შეზღუდვები დგინდება ბანკების ძირითადი საშუალებებზე, ერთი კლიენტისათვის შესაძლო მიწოდებადი კრედიტის სიდიდეებზე დამოკიდებულებაში, ისეთი სახით, რომ კლიენტებიდან ერთ-ერთის გაკოტრებამ ბანკის ბალანსზე არსებითი ზემომოქმედების განხორციელება ვერ შეძლოს.

ლიკვიდობის დაკარგვის რისკი: ლიკვიდობა თავისთავად მყისიერი (იმავდროული) ან დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ზარალის

გარეშე, მატერიალური აქტივების და/ან მოთხოვნილებების, ლიკვიდურ საბაზრო აქტივებში, დეპოზიტების მფლობელების მოთხოვნის მიხედვით ანგარიშზე ჩარიცხვადი ან ნაღდი ფულის სახით შემოტანადი ფულად სახსრებში, კონვერტაციის შესაძლებლობას წარმოადგენს. ბანკი მიღწევადი სახსრების მოცულობას უნდა ფლობდეს, რომელიც უშუალოდ კლიენტებისათვის ნაღდი ფულის ან კლიენტების მიერ სხვა ბანკების მიმართებაში (უფრო ზუსტად, იმ ფირმების მისამართით, რომლებსაც სხვა ბანკებში აქვთ გახსნილი ანგარიშები) განხორციელებადი გადახდების ფორმით, გადახდების განხორციელებისათვის იქნება საკმარისი. ბანკი ავრომატურად ღებულობს ფულად ნაკადებს კლიენტებისათვის შემუშავებული საბანკო მომსახურების განხორციელების შედეგად განხორციელებადი მიმდინარე ოპერაციებიდან. ნაკადები, რომლებიც ბანკის ლიკვიდობის ფორმირებისათვის კეთილსასურველ პირობებს უზრუნველყოფენ, ხორციელდება:

- აქტიური საგადახდო ბალანსის ხარჯზე ბანკთაშორისო გადახდების ნაკადების დისკონტირებით მიიღწევა;
- კლიენტების მიერ მათ ანგარიშებზე შეტანილ ფულად დეპოზიტებთან ოპერაციების მეშვეობით, როდესაც ასეთები კლიენტების ანგარიშებიდან, ნაღდი ფულის გაცენის მიხედვით, მოთხოვნების მოცულობებს აჭარბებენ;
- ბანკის უცხოური ვალუტის ანგარიშებზე დეპოზიტების ბანკების და საცალუტო რეგულირების ორგანოების მიერ არასაკმარისად რეგულირებისას. მოცემულ შემთხვევაში კლიენტების ანგარიშებზე სახსრების დაგროვება ხორციელდება, და ამასთან ბანკს სავალურო დეპოზიტების ზრდას აღნიშნავს.

ასეთი პირობების რეალიზაციისას ბანკი იძულებულია მიმართოს რეფინანსირებას. ბანკისათვის სესხებთან საქმეების ასეთი მდგომარეობა ნიშნავს დანახარჯებს, რომლებიც ბანკის მიერ იმ პირობებში უნდა იქნას დაფარული, როდესაც ბანკის საქმიანობის მიზანს მოგების მაქსიმიზაცია და დანახარჯების მინიმიზაცია წარმოაგენს.

არასაკმარისი ლიკვიდობის პრობლემა წარმოიშობა არა როგორც ლიკვიდობის უზრუნველყოფის შესაძლებლობის არარსებობა, არამედ როგორც ასეთი აქტივების ღირებულების მიღებასთან სირთულეები. აქედან გამომდინარე, ბანკებმა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ლიკვიდობის ხარისხის ანალიზი მუდმივად უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ დანახარჯების გაუმართლებელი გადიდებიდან თავის აცილების შესაძლებლობა ქონდეთ, იმ დროს როგორც ბანკის ლიკვიდობა არ არის უზრუნველყოფილი. აღნიშნულიდან გამომდინარე საბანკო საქმიანობის

მოგებიანობის მიღწევისათვისსაჭიროა უზრუნველყოფილიიქნას შესაბამისობა როგორც მინიმუმ სამი ძირითადი პირობების მიხედვით:

1) ლიკვიდობის უზრუნველყოფა ნიშნავს ბანკის შესაძლებლობას კლიენტებისათვის დეპოზიტებზე განთავსებული თანხისა და შესაბამისად პროცენტების გადახდის შესაძლებლობას;

2) ბანკში განთავსებული სახსრების დაცულობა, რომელიც თავის გამოხატულებას საგადახდო ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის დადგომის რისკის აღმოფხვრის ხერხში პოულობს;

3) საბანკო რენტაბელობა გამოიხატება, ერთის მხრივ, გაცემული კრედიტებისადმი გამოყენებად საპროცენტო განაკვეთებში, და სხვა დანარჩენ შემოსავლებში, რომელთა სმოსვლა უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ხასიათდება პასიური ოპერაციების მიზედვიტ შემოსავლებთან შედარებით, რომლებიც მესამე პირების წინაშე ცეცსხებთან და ვალდებულებებთან არის დაკავშირებული, და, მეორეს მხრივ, ოპერაციიდან შემოსულ შმოსავლებში, რომელთაგან შემოსავლიანი შემოსულობები მათ განხორციელებაზე დანახარჯებს აჭარბებს.

მოცემულ მოთხოვნებს, მათი ურთიერთ ზემოქმედების გამო, წინააღმდეგობრიობამდე მივყავართ. ბიზნესის გაძღოლას რისკიანი და არასტაბილური ხასიათი გააჩნია, ხოლო ლიკვიდობის უზრუნველყოფა დანახარჯების გაწევას ითვალისწინებს, ამდენად, საბანკო საქმიანობა ნაკლებად მომგებიანი ხდება. საბანკო ორგანიზაციის წინაშე დგას ამოცანა კონვერგენციის წეტრილების მოძიებასთან მიმართებაში, ისე, რომ მოთხოვნების მონაცემების შედარებას შესაბამისი მოგებისა და ლიკვიდობის მიღებისაკენ მივყავდეთ. კონვერგენციის მოცემული წერტილების მოძიებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ბანკების მიერ **დაკრედიტების სფეროში საქმიანობის საერთო სტრატეგია** იქნას ფორმულირებული და განსაზღვრული.

დაკრედიტების მიზანი სესხად გაცემული სახსრების ანაზღაურებაში და გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტების თავისდროულად მიღებაში მდგომარეობს, კრედირორებისა და ინვესტორების თვალსაზრისებს შორის განსხვავება მდგომარეობს სამომავლო პროექტების ანალიზისადმი მიდგომაში. ასე მაგალითად, ინვესტორები თვლიან, რომ ბიზნესში სახსრების დაბანდების მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური მოგების ფორმირება. კრედიტორები, თავის მხრივ, თავიდანვე თავიანთ წინაშე სახსრების ფასიან აქტივებში ტრანსფორმაციის და კრედიტის თანხის საკრედიტო განაკვეთების მიხედვით და მიწოდებული სესხების მიხედვით შესაბამისი პროცენტების დროულად ანაზღაურების ამოცანას ისახავენ.

იმავე დროს ინვესტორებისათვის ცნობილია, რომ იწყებენ რა ბიზნეს-საქმიანობას, ისინი ინვესტიციი დაკარგვის გარკვეული რისკების

ზემოქმედების ქვეს იმყოფებიან. აღნიშნული მიზეზის მიხედვით ინვესტორები თვლიან, რომ გენერირებადი მოგება რისკის ხარისხს უნდა შეესაბამებოდეს, რომლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება მათი ფინანსური რესურსები. ბანკები, თავის მხრივ, მიწოდებული სესხების დაკარგვის რისკის მიმართებაში, მატერიალური გარანტიებისა და უზრუნველყოფის ფორმირების მეშვეობით თავიანთი თავი უნდა დაიზღვიონ.

ჩვენი მოსაზრებით, საბანკო რისკების კლასიფიკაციას რისკების მართვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. რისკების სათანადოდ მართვამ ბანკისათვის საბანკო რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების, მათი მართვის, რისკების მართვისა და აღმიფხვრის , ასევე მათი დაფინანსების შესაძლებლობა უნდა უზრუნველყოს.

იმ ზომიერებით, როგორითაც რისკები არსებობენ და ფორმირდებიან, ისინი თავისთავად განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენენ, რომელიც მდგომარეობს სიჩქარეში, რომლითაც ისინი შესაბამის ეფექტებს გენერირებენ, და იმაში, რა სახით ისინი კოპერატიული საბანკო ორგანიზაციების შედეგებზე, უფრო ზუსტად დანახარჯებისა და საბანკო მოგების მაჩვენებლებზე აისახებიან. აქედან გამომდინარე, რისკების იდენტიფიკაცია, უპირობოდ, მათი შემცირებისა და აღმოფხვრასთან მიმართებაში ყველაზე უფრო ეფექტური ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით, აუცილებელ პირობას წარმოადგენს. რისკების შდეგების გადასვლის სიჩქარე წარმოადგენს ძლიან მნიშვნელოვან ფაქტორს, რამდენადაც მოცემულ მაჩვენებელზე დამოკიდებულებაში საბანკო ორგანიზაცია ან ღებულობს, ან არ ღებულობს დროის პერიოდის გამოყენების შესაზლებლობას, რომელიც რესურსების მობილიზაციისათვის და ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების მიღებისათვის არის საჭირო. რამდენად უფრო მაღალია რისკების გადაცემის სიჩქარე, იმდენად უფრო რთულია საბანკო თანამეგობრობისათვის იმ რისკებს გაუმკლავდნენ, რომლებთანაც მათ უხდებათ შეჯახება.

ბ) საბანკო რისკების ანალიზის მაჩვენებლები:

აღნიშნულ პრობლემატიკასთან მიმართებაში ბანკმა ისეთი მაჩვენებლების სისტემა უნდა ჩამოყალიბოს, რომელთა გამოყენებით იგი ძირითადი საქმიანობის მონიტორინგის მუდმივად განხორციელებას შეძლებს. მოცემული სისტენის ჩარჩოებში განსაკუთრებული აგილი საბანკო რისკის მაჩვენებლების შეფასებას და ანალიზს უნდა დაეთმოს.

ნებისმიერი ბანკის საქმიანობა რისკების აკუმულაციას ექვემდებარება. აღნიშნულის საფუძველზე ეკონომისტები განუსაზღვრელ გარემოებეთან დაკავშირებული რისკების დაყოფას ახორციელებენ შემდეგ კატეგორიებად:

1) **სისტემის რისკები,** რომლებიც ფულადი სახსრების მიწოდების დასაშვები შემცირებით, ასევე ბანკებზე დაწესებული გარკვეული შეზღუდვებით არის გამოწვეული;

2) **ფასობრივი რისკები,** რომელთა შორისაა საპროცენტო განაკვეთების უეცარი გადიდების ალბათობები, იმ შემთხვევაში, რომ ბანკს გააჩნია აქტივები, რომელთა მიხედვით გადახდის ვადა, ვალდებულებების მიხედვით გადახდების ვადაზე უფრო გვიან დგება;

3) **საკრედიტო რისკი,** რომელიც მიღებული კრედიტების დადგენილი მოცულობით და დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში წარმოიშობა;

4) **საოპერაციო რისკი,** რომელიც თავისთავად მმართველობიტ რისკს წარმოადგენს, და იგი არაკომპეტენტურობით ან ზოგიერთი არაეფექტური ოპერაციების განხორციელებით ხასიათდება;

5) **რეგულირების რისკი**, რომელსაც საბანკო სექტორის ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გაუთვალისწინებელი ცვლილებიები მიეკუთვნებიან, რომლებიც ბანკების ეფექტურ და უსაფრთხო საქმიანობას აფერხებენ.

ჩვეულებრივად **რისკის მაჩვენებელი გაიანგარიშება** შემდეგი სახით (კოსტიუჩენკო, 2010):

$$RI = CP / RA ,$$

სადაც: **RI** - რისკის მაჩვენებელია;

CP - პირველადი კორექტირებული კაპიტალია;

RA - რისკიანი აქტივების ღირებულებაა.

გაანგარიშების განხორციელების საფუძველზე **ვღებულობთ რისკის მაჩვენებელს, რომლისათვის დადგენილია გარკვეული ჩარჩოებიანი ინტერვალები**, რომლებიც **ბანკზე თავის საქმიანობაში ზემომქმედი მოსალოდნელი რისკის დინის შეფასების შესაძლებლობას** იძლევიან,

საბანკო საქმიანობის რისკის ანალიზის დასრულებისას ასევე უნდა იქნას შფასებული **საერთაშორისო საბანკო სისტემაში ბანკის პოზიციონირების ფაქტორი**. მოცემული თვალსაზრისიდან გამომდინარე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სხვა დანარჩენი მაჩვენებლები, ისეთები როგორიცაა: **ერთობლივი რისკი, სადაზღვევო რისკი, სახელმჭიფოს გადადხდისუუნარობის რისკი, საგადასახადო რისკი, სავალუტო რისკი** და ა.შ.

რისკების გაზომვის მაჩვენებლების სისტემის ჩარჩოებში, რომლებიც შიძლება წარმოიშვას საფინანსო-საბანკო სისტემაში, შიძლება გამოიყოს **შემდეგი რისკები:**

ა) ლიკვიდობის რისკი: მოცემული მაჩვენებელი, რომელიც მიიღება მყისიერი ლიკვიდობის მფლობელი **აქტივების თანაფარდობით**

კრედიტორების მოთხოვნების შესაძლო მოცულობის გამომხატველ **დეპოზიტებთან**. გაანგარიშების ფორმულა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$LR = [(CF + D_{სბ}) / D_{ბკ}] \times 100 ,$$

სადაც: **LR** - ლიკვიდობის რისკია;

CF - ფულადი სახსრების ერთობლივი მოცულობაა;

$D_{სბ}$ - დეპოზიტებია, სხვა ბაბკების ანგარიშებზე განთავსებულები;

$D_{ბკ}$ - დეპიზიტებია, ბანკის კლიენტების მიერ განთავსებულები.

მაჩვენებელის მნიშვნელობა 30%-ზე დაბალი - ბანკის შეუძლებლობის გამომხატველია, რესურსების დონის შემცირების ან კაპიტალის დაბანდების მეშვეობით დაფინანსებაში მოთხოვნილებების გადიდების პრობლემის გადაწყვეტასთან მიმართებაში, ხოლო საგანგებო შემთხვევებში არასაკმარისმა ლიკვიდობამ შეიძლება ბანკის გადახდისუუნარობის (გაკოტრების) ფორმირება გამოიწვიოს. მაჩვენებლის მნიშვნელობა 45%-ზე მაღალი - ბანკის შესაძლებლობის შესახებ მოწმობს, კრედიტორებისაგან მიღებული დეპოზიდებიდან სახსრების გამოტანის შესახებ მოთხოვნილებების მუდმივად დაკმაყოფილებასთან მიმართებაში.

ბ) საპროცენტო განაკვეთის რისკი: აღნიშნული რისკი წარმოიშობა მცურავი საპროცენტო განაკვეთებიან საკრედიტო ურთიერთობებში, რომელიც მოთხოვნილების წაყენებით და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობიარე აქტივების არსებობით ხასიათდება. მოცემული მაჩვენებელი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$RR = (SA / PS) \times 100 ,$$

სადაც: **RR** - საპროცენტო განაკვეთის რისკია;

SA - აქტივებია, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობიარეები;

PS - პასივებია, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობიარეები.

მაჩვენებელის მნიშვნელობა, რომელიც აჭარბებს 100% , მოწმობს ბანკის პროცენტის გრძელი პოზიციის, საპროცენტო განაკვეთის არაკეთილსასურველი შემცირების შესახებ, რომლის დროსაც სხვაობა დადებითს წარმოადგენს.

გ) საკრედიტო რისკი: მოცემული მაჩვენებელი გამოხატავს იმ გარემოებას, რომ ბანკის მიერ გაცემული პროცენტები ან სესხები შეიძლება დაუბრუნებლებლად აღმოჩნდნენ. ფაქტიურად მოცემული რისკი - არის დასაქმების რისკი, იმ გაფებით, რომ მოცემული რისკი განისაზღვრება მითითებული ფაქტორით და თავისთავად რისკზე საკომისიოს წარმოადგენს. მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$CR = (OL / TL) \times 100 ,$$

სადაც: **CR** - საკრედიტო რისკის;

OL - დაუბრუნებელი კრედიტებია, რომლებსაც ბანკი ვერ იბრუნებს;

TL - კრედიტების საერთო თანხაა, ბანკის მიერ გაცემული.

ოპტიმალური დონე მოცემული მაჩვენებლის - 2%-ზე ნაკლებია, ამასთან ბანკს შეუძლია გაკოტრების სტადიაში შესვლა აღმოფხვრას. მაქსიმალური დონე მოცემული მაჩვენებლის, რომელიც საერთაშორისო საბანკო სტანდარტებით არის დაშვებული, შეადგენს 6%.

დ) კაპიტალური რისკი: აღნიშნული მაჩვენებელი გამოხატავს ხარისხს, რომელშიც რისკიანი აქტივები გადაფარულია კაპიტალით. გაანგარიშების ფორმულა შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

$$CP = (C / TC) \times 100 ,$$

სადაც: **CP** - კაპიტალური რისკია;

C - საკუთარი კაპიტალია;

TC - ერთობლივი კაპიტალია.

მოცემული მაჩვენებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ფლობს, რამდენადაც იგი გამოხატავს ხარისხს, რომელშიც თვით ბანკი არის რისკების ზემოქმედების ქვეშ, და ხარისხს, რომელშიც ბანკს საკუთარი კაპიტალის ხარჯზე რისკიანი აქტივების გადაფარვა არ შეუძლია. ინდიკატორის მნიშვნელობა, რომელიც 6% აჭარბებს, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ბანკი ფლობს საკმარის კაპიტალს და რისკისადმი ზეგავლენის ხარისხი დაბალია.

პრაქტიკაში ასევე გამოიყენება სხვა დანარჩენი მაჩვენებლები, რომელთა შორისაა: სავალუტო რისკი, საოპერაციო რისკი, ფინანსური რისკი და საგადასახადო რეგულირების რისკი, ვალაუალობის რისკი, ბანკის სარეპუტაციო რისკები და ა.შ.

დასკვნა. ზემოთაღნიშნულების საფუძველზე შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. ბანკი წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტს, რომელიც კონკურენტულ ბაზარზე ბაზრის კანონების შესაბამისად ფუნქციონირებს.
2. საბანკო კაპიტალი იმყოფება ზემოქმედების ქვეშ, ერთის მხრივ, ფაქტორების, რომლებიც კაპიტალის ბაზრისათვისარისდამახასიათებელი, მეორეს მხრივ, ეკონომიკური ფაქტორების, რომლებიც ბანკზე გაშუალედულად ზემოქმედებენ საბანკო მომსახურეობის მომხმარებელი ეკონომიკური აგანტების მეშვეობით.
3. სისტემური რისკის შეფასებისას საბანკო რისკების ტიპოლოგია უნდა იქნას გათვალისწინებული.
4. ბანკის სიცოცხლისუნარიანობის შეფასება სიღრმისეულ და სრულ ფინანსურ ანალიზზე უნდა იყოს დაფუძნებული, რომელშიც საბანკო საქმიანობის როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური ასპექტებიც გაითვალისწინება.

5. მრავალკრიტერიალური მიდგომა საბანკო რისკისადმი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებში საბანკო სექტორის განვითარებაში სავალდებულოს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ., საბანკო საქმე. თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2020.
2. Валенцова Н.И., Лаврушин О.И. – Банковские риски. – М.: Кнорус, 2015. – 24 с.
3. Гранатуров В.М. – Экономический риск: сущность, методы измерения, пути снижения. – М.: Дело и сервис, 2016. – 67 с.
4. Кабушкин С.Н. – Управление банковским кредитным риском. – Минск: Новое знание, 2017. – 336 с.
5. Костбченко Н.С. – Анализ кредитныз рисков. – СПб.: Скифия, 2010. – 57 с.
6. Леонович Л.И., Петрушина В.М. – Управление рисками в банковской деятельности. – М.: Дикта, 2018. – 136 с.

სესხებზე ფასდადების პოლიტიკის გავლენა ბანკთაშორის კონკურენციაზე
The impact of Pricing Policy on Loans in Interbank Competition

ირინე კოპალიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, სს “ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ქუთაისის ფილიალის დირექტორი

Irine Kopaliani, Doctoral student of the faculty of business administration of Georgian Technical University, Director of Kutaisi Branch office of VTB Bank Georgia

Abstract. In determining the interest rates on the loans in Georgia, special attention has directed to the principles of healthy pricing of banking products and its criteria which has based on the order №74 / 04 "the Instruction on the requirements of pricing models for commercial banks" approved by the President of the National Bank of Georgia on April 24th, 2019. The main goal of this document is to have a healthy pricing policy in the banking sector which minimizes the profitability and solvency risks for commercial banks. It will have a positive impact on the stability of the financial sector and stimulate to form an effective competitive environment in the financial system.

Obtained information on the formation of the loan interest rates revealed that the largest share is in transaction costs, namely fixed payments, consultancy and marketing expenses as well as salary and other non-interest expenses which ultimately causes raising the rates of interests on the loans and accordingly, it creates massive dissatisfaction for borrowers. Despite the borrower's dissatisfaction, credit products are still in high demand in Georgia, because the liberal lending policy, especially the collateral advance issue plays a vital role for the potential borrower through the decision-making process.

Keywords: Bank, Loan, Price, Rate, Interbank, Competition, Capital, Income, Expense

შესავალი. მიმდინარე 2020 წელს პანდემიის ფონზე განსაკუთრებით აქტულური ხდება სესხის საპროცენტო განაკვეთების შემცირების საკითხი. მითუმეტეს მაშინ როცა 2020 წლის დასაწყისიდან შეინიშნება სამომხმარელო ტიპის სესხებზე საპროცენტო განაკვეთების მცირედით ზრდა, რაც მომხმარებლებისათვის თვალშისაცემია პანდემიის გამო შემოსავლების გარკვეულწილად შემცირების ფონზე. ზოგადად ჩვენს ქვეყანაში მუდმივად არის საუბარი რომ საპროცენტო განაკვეთები მაღალია და რათქმაუნდა შედარება ხდება ევროპის განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელთან.

ძირითადი ტექსტი. სესხის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისას კი მთელი რიგი პარამეტრების გათვალისწინება ხდება ბანკის მიერ, კერძოდ:

I. კაპიტალის ხარჯი;
II. ვალდებულებების ხარჯი;
III. ლიკვიდობის ხარჯი;
IV. ფიქსირებული აქტივების ხარჯი;
V. საოპერაციო ხარჯები (ხელფასები, მარკეტინგი და ა.შ.);
VI. საპროცენტო რისკის ხარჯი;
VII. საკრედიტო რისკის ხარჯი.

აღნიშნულს ამყარებს საქართველოს ერვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 24 აპრილის №74/04 ბრძანება „კომერციული ბანკების ფასდადების მოდელების მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“[2]. აღნიშნული ინსტრუქცის საფუძველზე განისაზღვრება საბანკო პროდუქტებზე ჯანსაღი ფასდადების პრინციპები და მისი კრიტერიუმები. ასევე, ხდება ფასდადებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური შეფასება და მონიტორინგი.

ფასდადების ჯანსაღი პოლიტიკის არსებობის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს კომერციული ბანკის მომგებიანობისა და გადახდისუნარიანობის რისკები, რაც დადებითად აისახება საფინანსო სექტორის სტაბილურობაზე და ხელს შეუწყობს საფინანსო სისტემის ეფექტიანი კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას.

ჩვენს მიერ, სესხის პროცენტების ფორმირების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვებისა და შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე დიდი ხვედრითი წონა 8.1% უკავია საოპერაციო ხარჯებს, კერძოდ - ფიქსირებული აქტივების ხარჯს, საკონსულტაციო და მარკეტინგულ ხარჯებს, სახელფასო ხარჯს და სხვა არასაპოროცენტო ხარჯებს (იხ.დიაგრამა 1).

[2] https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2019/7404.pdf

სესხის პროცენტის ფორმირება[3]



ასევე, აღნიშნული დიაგრამა მეტყველებს საპროცენტო განაკვეთების სპრედის მაღალ დონეზე, რომელიც სწორედ საოპერაციო ხარჯების, კერძოდ კი, ბანკების მასშტაბების სიმცირის გამო ადმინისტრაციული ხარჯების სიჭარბით აიხსნება. საპოცენტო სპრედის სიდიდით ჩვენი ქვეყანა შესაძლოა იგივე მოცულობის საბანკო სისტემის მქონე ქვეყნების მაჩვენებელსაც აღემატება, მაგრამ აქ დიდი როლი უჭირავს იმ ფაქტს რომ საქართველოს საბანკო სექტორში კორუფცია პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო იგივე ზემოაღნიშნულ ქვეყნებში მიღებული პრაქტიკაა სესხის გაცემის პროცესში როგორც რიგითი, ასევე ზედა რგოლის ბანკის თანამშრომლებისათვის გარკვეული თანხების გადახდა, რაც ვერ აისახება სესხის ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლაში. შესაბამისად ოფიციალური ციფრები მეტყველებს, რომ საქართველოში შესაძლოა უფრო მაღალია სესხის საპროცენტო განაკვეთი და აქედან გამომდინარე საპროცენტო სპრედიც.
თანამედროვე პირობებში, სესხებზე ფასდადების დროს, აუცილებად უნდა გამოიყოს **მარკეტინგული ხარჯების სტრუქტურა.** ბოლო რამოდენიმე წელმა, განსაკუთრებით კი ბოლო 1 წელი, ძირეულად შეიცვალა საბანკო მარკეტინგის შინაარსი და შესაბამისად მარკეტინგული ხარჯების მოცულობაც. საბანკო სფეროს რეკლამირებამ სრულად გადაინაცვლა სატალევიზიო სივრციდან, ვირტუალურ, იგივე სოციალურ სივრცეში. ახალი პროდუქტის, სერვისის და განახლებული პროდუქტების არამარტო

[3] https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2013/n_1/lejava.pdf

რეკლამირება, არამედ შეთავაზებაც და მომხმარებლისათვის მისი მახასიათებლების გაცნობაც, სწორედ, სოციალური სივრცის მეშვეობით ხდება. აღნიშნული შეიძლება ჩავთვალოთ რომ გარკვეულწირად ამცირებს მარკეტინგულ ხარჯებს.

კომერციულ ბანკებს აქვთ პირველადი და მეორადი კაპიტალის ხარჯი, რაც ასევე მოქმედებს სესხების ფასის განსაზღვრაზე. მარტივად რომ ვთქვათ აქციონერებისათვის საკუთარ კაპიტალზე სასურველი მოგების მიღების "საშუალებას" სწორედ სესხების საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს, რათქმაუნდა სხვა მაჩვენებლებთან ერთად. სებ–ის მონაცემით კაპიტალის 15% არის სწორედ დასაბეგრი მოგების სასურველი განაკვეთი აქციონერებისათვის. თუმცა საბანკო დაწესებულებები სისტემატიურად ამ მაჩვენებელზე ვერ გადიან და აქედან გამომდინარე კაპიტალის ხარჯის განაკვეთიც ცვალებადია.

შემდეგ მოდის მოზიდული სახსრების ღირებულების ხვედრითი წილი, რომელიც პირველ დიაგრამში არის 5,38%, რეალურად ბანკებს საკრედიტო რესურსის მოზიდვა უჯდებათ 6,72%, მაგრამ ბანკების მიერ გაცემული სესხების გარკვეული ნაწილი ფინანსდება მოზიდული სახსებით, გარკვეული ნაწილი კი ბანკის კაპიტალიდან ფინანსდება. ამიტომ სესხის განაკვეთის გამოთვლის შედეგად ვალდებულების ხარჯის შეწონილი მაჩვენებლი 5,38%–ია. ვალდებულების მოზიდვა ჩვენთან უფრო ძვირია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო:

1. ბანკებს შორის კონკურენციის მაღალი დონე;
2. დანაზოგების შედარებით სიმცირე;
3. ქვეყნის პოლიტიკური რისკი.

ადგილობრივი მოზიდული რესურსები, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნილების დონეს, რასაც მივყავართ ბანკების მიერ სახსრების გარე ბაზრებზე ძიებამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი რესურსების ზრდის ერთ–ერთი რეალური ალტერნატივა არის **საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხები.**

გამომდინარე იქედან,რომ ქართული წამყვანი ბანკების საერთაშორისო რეიტინგები საკმაოდ მაღალია, ქვეყნის რეიტინგის ზრდის კვალობაზე კიდევ უფრო გაიზრდება ქართული ბანკების რეიტინგიც. ყოველივე აღნიშნულმა ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გრძლევადიან პერიოდში უნდა მიგვიყვანოს როგორც ვალდებულების, ისე კაპიტალის ხარჯის შემცირებამდე, რაც სესხების პროცენტების შემცირებაშიც პოვებს ასახვას, ანუ, ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, უახლოეს მომავალში სესხების გაიაფებას ექნება ადგილი.

სესხებზე ფასდადების დროს შემდეგი მაღალი ხვედრითი წილი მოდის საკრედიტო რისკის ხარჯზე - 4,12%, ბოლო 10 წლის განმავლობაში

საკრედიტო დანაკარგი სესხის ძირის 3.5%–ია, რასაც ემატება მასზე დარიცხული პროცენტის დასაბალანსებელი კოეფიციენტი და შესაბამისად სესხის პროცენტი ძვირდება 4,12–ით. საკრედიტო რისკის შემცირება და შემდეგ ამ ცვლილების ასახვას სესხის საპროცენტო განაკვეთებში ჭირდება ფუნდამენტალური და გრძელვადიან პერიოდში დადგენილი ცვლილებები, მხოლოდ რამოდენიმე ერთეული წლის რისკის შემცირების მაჩვენებლით ვერ მოხდება სესხის ფასის განსაზღვრის ამ ფაქტორის წილის შემცირება.

სესხებზე ფასდადების დროს როგორც პირველადი, ასევე მეორადი კაპიტალის ფლობა დაკავშირებულია ხარჯებთან, პირველადი კაპიტალის ღირებულება მრავლდება სისტემაში კაპიტალის საშუალო ხარჯზე, ხოლო მეორადი კაპიტალი საშუალოდ 10% უჯდებათ ბანკებს. სესხებიდან მიღებული საკომისიო შემოსავლები თავის მხრივ ამცირებს სესხის საპროცენტო განაკვეთს დაახლოებით 4,55%–ით. ბოლო ათწლეულის მანძილზე შეიცვალა ბანკის ფინანსური მომგებიანობის საზომი ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი როგირიცაა ამონაგები საკუთარ კაპიტალზე ROE. 2010 წლისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენდა მხოლოდ 8%–ს, ხოლო 2019 წლის საშუალო უკუგება კაპიტალზე შეადგენა 18%–ს, ანუ საშუალოდ გაიზრდა 10%–ით, რაც ნათლად მეტყველებს ქართული საბანკო სექტორის მომგებიანობის ძალიან სწრაფი ტემპებით ზრდაზე.

აღსანიშნავია ისიც,რომ ამონაგებმა კაპიტალზე მკვეთრად გადააჭარბა ეროვნული ვალუტის დეპოზიტებზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებსაც. თუმცა ეს სურათი მკვეთრად შეიცვალა 2020 წლის პანდეემის პირობებში. საბანკო სექტორის მომგებიანობა როგორც მოსალოდნელი იყო ძალიან სენსიტიური აღმოჩნდა და მსოფლიო პანდემიის პირობებში 2020 წლის I ნახევრის მონაცემებით ROE დაეცა 2%–მდე[4]. 15 კომერციული ბანკიდან 14–მა ზარალით დაამთავრა 2020 წლის I ნახევარი, მხოლოდ ერთი "სილქ როუდ ბანკი" სიმბოლურ მოგებაზე გავიდა (0.25 მლნ ლ). ქართული საბანკო სექტორის უარყოფითი მოგების ძირითადი მიზეზი სებ–ის მიერ უარყოფითი მოლოდინების დასაბალანსებლად მოთხოვნილი რეზერვებით არის განპირობებული.

სესხის საპროცენტო განაკვეთის შემცირება ერთ–ერთ მნიშვნელოვან საკითხად რჩება, განსაკუთრებით პანდემიური 2020 წლის ფარგლებში. ბოლო წლების შედეგები ცხადყოფს რომ სესხების საპროცენტო განაკვეთები ჩვენს ქვეყანაში შემცირების ტენდეციით ხასიათდება. ბანკთაშორის კონკურენციას წლების მანძილზე ეტაპობრივად მივყავდით მაღალკონცენტრირებულ საბანკო ბაზარზე სესხების ფასის ანუ საპროცენტო განაკვეთების თანდათანობით შემცირებამდე. თუმცა 2020 წლის

[4] https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/2020/finstability_2020_geo.pdf

დასაწყისიდან ცოტა განსხვავებულ რეალობაში აღმოვჩნდით, 2019 წლის მაჩვენებლებთან შედარებით მცირედით გაზრდილია როგორც სამომხმარებლო სესხების, ასევე ბანკების მიერ კომპანიებისათვის შეთავაზებული სესხების საპროცენტო განაკვეთები. გაუარესებული საოპერაცო გარემოს გათვალისწინებით, მოსალოდნელი და უკვე გაზდილი საკრედიტო რისკიდან გამომდინარე შესაძლოა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების კიდევ ზრდა.

ისმის კითხვა: რა მექანიზმები გვაქვს რომ თავიდან ავიცილოთ საპროცენტო განაკვეთების ზრდა და ვიზრუნოთ მათ შემცირებაზე? სტანდარტულ პირობებში სესხის ფასის ცვლილებაზე პირდაპირპროპორციულ ზეგავლენას შემცირების მიმართულებით პოვებდა ისეთი ღონისძიებების გატარება როგორიცაა:

- ✓ საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- ✓ მოზიდული სახსრებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირება;
- ✓ საკრედიტო ხარჯის ოპტიმიზაცია.

ამ მიართულებით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა როგორც ეროვნული ბანკის, ისე კომერციული ბანკების მხრიდან და მოლოდინი გვაქვს, რომ 2021 წლის მეორე ნახევრიდან ეტაპობრივად მოხდება აღნიშნულ რელსებზე დაბრუნება. დღევანდელი რეალობის ფონზე კი საქართველოს ეროვნული ბანკმა ფინანსურ და საბანკო სექტორზე უარყოფითი გავლენის შესარბილებლად და ეკონომიკის წასახალისებლად გარკვეული ღონისძიებათა კომპლექსი გაატარა, რომლის ფარგლებშიც კომერციულ ბანკებს კაპიტალისა და ლიკვიდურობის ბუფერის გამოყენების უფლება მიეცათ, შეუმსუბუქდათ კაპიტალის მოთხოვნები. ანუ ბანკებს მიეცათ "დამატებითი" რესურსი ეკონომიკის დასაკრედიტებლად და არსებული ზარალის შესამცირებლად. ასევე 2020 წლის მანძილზე სებ–მა მოახდინა რეფინანსების განაკვეთის ეტაპობრივი შემცირება 9%–დან 8%–მდე, რაც მიზნად ისახავდა ერთობლივი მოთხოვნის წახალისებას და ეკონომიკის დაკრედიტების წახალისებას.

დასკვნა. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №74/04 ბრძანება -„კომერციული ბანკების ფასდადების მოდელების მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ - პირდაპირ ითხოვს ბანკის მიერ სესხებზე ფასდადების ჯანსაღი პრინციპების გატარებას, პროდუქტის მთელ ვადიანობაზე არსებული ცალკეული რისკებისა და ხარჯების ადეკვატურ შეფასებას და ფასდადების პროცესში გამოყენებული დაშვებების ვალიდურობის პერიოდულ მონიტორინგს. აღნიშნული კი, პირდაპირი გზით ახდენა გავლენას ბანკთაშორის კონკურენციაზე ქვეყნის მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეჟავა პ., ფასწარმოქმნა სესხებზე და კონკურენცია საქართველოს საბანკო სექტორში, https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2013/n_1/lejava.pdf
2. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2019 https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/erovnuli_banki_211020.pdf
3. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2020, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/2020/finstability_2020_geo.pdf
4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 24/04/2019–ის №74/04 ბრძანება „კომერციული ბანკების ფასდადების მოდელების მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ **https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2019/7404.pdf**
5. Jacob A. Bikker and Laura Spierdijk, Handbook of Competitions in Banking and Finance, Edward Elgar Publishing, 2017;
6. Конкуренция на финансовом рынке - Аналитический доклад подготовлен Банком России при участии ФАС России к XXVII Международному финансовому конгрессу (6–8 июня 2018 года, г. Санкт-Петербург), Центральный банк Российской Федерации, 2018.

მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება და ანალიზი

Evaluate and analyze the activities of the World Bank Group

ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, vmosiashvili@yahoo.com
მაგდა ხარაიშვილი - თიბისი ბანკი
mkharaishvili@seu.edu.ge
Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor,
Georgian National University, Seu
vmosiashvili@seu.edu.ge
Magda KHaraishvli – TBC Bank
mkharaishvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის შექმნის იდეა, რომელიც მეოცე საუკუნის შუახანებიდან იწყება დღემდე სადისკუსიო და აქტუალურია. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის შექმნის მიზანი იმ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა იყო, რომელმაც, კაცობრიობა ომამდე მიიყვანა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მსოფლიოს ეკონომიკურ კეთილდღეობაში. მიუხედავად ამისა, უკვე მრავალი წელია აკადემიურ, საექსპერტო და ბიზნეს წრეებში არ წყდება კამათი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განვითარებადი ქვეყნების მიმართ არსებული სტრატეგიისა და საქმიანობის შესახებ.

სხვადასხვა ტიპის დისკუსიების დროს იკვეთება ხშირად ერთმანეთისგან რადიკალურად

განსხვავებული შეხედულებები. ყველაზე საყურადღებო კი ის არის, რომ საქართველოში ამ მიმართულებით არასათანადო დრო აქვს დათმობილი კვალიფიციურ, კვლევაზე დაფუძნებულ დისკუსიას. მართალია, მუდმივად მიმდინარეობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოსთვის გაწეული თუ გასაწევი ფინანსური დახმარებების განხილვა, მაგრამ, აღნიშნული განხილვები ზედაპირულია და არ ეყრდნობა მეცნიერულ კვლევას. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი ასე თუ ისე გვხვდება ადგილობრივ პუბლიკაციებში, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ინფორმაცია განახლებას საჭიროებს, რაც, ბუნებრივია, ცვლის უკვე წარმოდგენილი კვლევის შედეგებს.

როგორც პრაქტიკამ და მეცნიერულმა კვლევებმა დაადასტურა, სერიოზული პრობლემაა საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა. აღნიშნული პრობლემა იწვევს სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის ნაკლებ ჩართულობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პრიორიტეტების, საქმიანობის შესახებ არაინფორმირებულობა აფერხებს კერძო სექტორის მხრიდან ეფექტური ბიზნეს პროექტების შემუშავებას, ამცირებს დაფინანსების და განხორციელების შანსს. საზოგადოების ფართო სპექტრის ინფორმირებისა და ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა.

სწორედ აღნიშნული აქტუალური საკითხებია განხილული წინამდებარე სტატიაში, კერძოდ კი მსოფლიო ბანკის ჯგუფის საქმიანობიას ანალიზი და შეფასება ზოგადად მსოფლიო მასშტაბით.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ფინანსები, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, გრანტი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.

Abstract. The idea of creating an international financial institution, which dates back to the middle of the twentieth century, is still controversial and relevant. The purpose of creating an international financial organization was to solve the economic problems that led mankind to war. International financial institutions still make a significant contribution to the economic prosperity of the world. Nevertheless, for many years now, academia, experts and business circles have been debating the strategy and activities of international financial institutions towards developing countries. Different types of discussions often reveal radically different views. Most noteworthy is the fact that Georgia has an inadequate amount of time in this regard for a qualified, research-based discussion. It is true that the financial assistance provided or to be provided by Georgia by international financial organizations is constantly being discussed, but these discussions are superficial and do not rely on scientific research. Analysis of the activities of international financial organizations is more or less found in local publications, but even in this case the information needs to be updated, which, of course, changes the results of the research already presented.

As practice and scientific research have proven, a serious problem is less public awareness. This problem leads to less involvement of civil society and the private sector in the socio-economic processes of the country. Lack of information about the priorities and activities of international financial organizations hinders the development of effective business projects by the private sector, reduces the chances of financing and implementation. Significant steps have not yet been taken to raise the quality of public awareness and engagement.

These are the current issues discussed in this article, in particular, the analysis and evaluation of the activities of the World Bank Group in general in the world.

Keywords: International Finance, World Bank Group, Grant, International Bank for Reconstruction and Development, International Development Association, International Finance Corporation.

მსოფლიო ბანკის ჯგუფის შემადგენლობაშია ხუთი ორგანიზაცია, რომლებიც გაერთიანებულები არიან ფუნქციონალურად. ორგანიზაციების საქმიანობის უმთავრესი მიმართულება წევრი ქვეყნების ფინანსურ-

ტექნიკური დახმარებაა. თავდაპირველად შეიქმნა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთ. ბანკი, რომელიც უდიდესი ფინანსური დახმარების წყაროს წარმოადგენდა ომის შემდგომი ევროპის ქვეყნებისათვის. მსოფლიო ბანკის ორგანიზაციებია:

1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი;
2. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია;
3. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია;
4. მრავალმხრივი სააგენტო ინვესტიციის განვითარებაზე;
5. ინვესტიციური დავების რეგულირების საერთაშორისო სააგენტო.

პირველი და მეორე ორგანიზაციები ქმნიან მსოფლიო ბანკს, შტაბ-ბინა მდებარეობს აშშ-ში. ბანკის შემადგენლობაში შემავალი თითოეული ორგანიზაცია ფუნქციებით ერთმანეთისგან სრულიად განსვავებულნი არიან, თუმცა ყველა მათგანის საქმიანობა დაკავშირებულია წევრი ქვეყნების პროექტების და პროგრამების განხორციელებასთან.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (ინგლ-IBRD), არის მსოფლიო ბანკის ძირითადი დაწესებულება და ასევე გაეროს სპეციალიზებული ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა 1944 წელს, ორგანიზაციამ ორი წლის შემდეგ დაიწყო ფუნქციონირება-1946 წელს.

ორგანიზაციის ძირითად მიზნებს შეადგენს:

- წევრი ქვეყნების კონომიკური ზრდის ხელშეწყობა და ამ მიზნით მათთვის კრედიტების გამოყოფა ;
- ხელშეწყობა უცხოური ინვესტიციების განხორციელებისთვის.

ბანკი ეკონომიკური განვითარების მიზნით გაცემული კრედიტების დაკრედიტების ვადებს და მოცულობებს ძირითადად პროექტების თავისებურებებიდან გამომდინარე განსაზღვრავს. ორგანიზაცია ძირითადად აფინანსებს იმ განვითარებად ქვეყნებს, სადაც მშპ მოცულობა ძალიან მცირეა. ორგანიზაციაში შესვლამდე ქვეყანა უნდა იყოს სსფ-ის წევრი. სესხები 20 წლის ვადით გაიცემა და როგორც წესი გარანტირებულია სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების მიერ, ხოლო საპროცენტო განაკვეთები იცვლება ექვს თვეში ერთხელ.

პროექტების ღირებულების 30 % ორგანიზაციის მიერ ფინანსდება, ძირითადად ფინანსდება პროექტები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინფრასტრუქტურის დარგებთან. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ბანკმა 20 %-ით გაზარდა დაფინანსება ჯანდაცვაზე, სოფლის მეურნეობაზე და განათლებაზე.

ბანკი მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მაღალი მოგების მიღებაზე არ არის ორიენტირებული, თუმცა მოგებას იღებს. თითოეულ წევრს აქვს ხმის უფლება მათ მიერ შეტანილი თანხების მოცულობის მიხედვით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელია პრეზიდენტი, რომელიც როგორც წესი საქმიანი წრის წარმომადგენელია აშშ-ში. ბანკში არის მმართველთა საბჭო და დირექტორატი.2009 წლის მონაცემებით ბანკის შემადგენლობაში იყო 186 ქვეყანა 200 $ მლრდ-მდე კაპიტალით. 2019 წლის მონაცემებით კი ბანკის წევრია 189 ქვეყანა. მათში ლიდერობს: აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, კანადა, იტალია.

ბანკის სესხების მეოთხედზე მეტი დაკავშირებულია ხანგრძლივ ეკონომიკურ რეფორმებთან. ბანკი აფინანსებს ისეთ პროექტებს, როგორებიცაა: სასმელი წყლით და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა, საფინანსო სექტორის განვითარება.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (ინგლ. IDA) 1960 წელს შეიქმნა, ის მსოფლიო ბანკში შემავალი ორგანიზაციაა. ორგანიზაციის მიზანია დაეხმაროს მის წევრ ქვეყნებს ისეთი სესხებით, რომლებსაც ექნებათ ნულოვანი საპროცენტო განაკვეთები. ასოციაცია კრედიტებს ხანგრძლივი ვადით გასცემს, დაახლოებით 30-40 წლის ვადით. ის ეხმარება ქვეყნებს, სადაც მშპ მოცულობა ძალიან დაბალია. 2019 წლის მონაცემებით მისი წევრების რაოდენობა 173-მდე გაიზარდა.

ასოციაცია იკვლევს ქვეყნის პოლიტიკას სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის მიმართულებით. ორგანიზაცია იკვლევს მართვის ეფექტიანობის პრობლემებს ქვეყნებში. მისი აზრით ეს არის პრობლემა, რომელიც ქვეყნის განვითარების სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია.

გსა ეხმარება იმ განვითარებად ქვეყნებს, სადაც ერთი მოსახლის დღიური შემოსავალი 3$-ზე ნაკლებია. ორგანიზაციის დახმარებების ½ -ზე მეტი განკუთვნილია აფრიკის განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები ძალიან მძიმეა. ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, განათლების დარგებში არსებული პრობლემების მოგვარებას ხმარდება. უამრავი პროექტი დაფინანსდა ასოციაციის წევრ ქვეყნებში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ასოციაციის ხელშეწყობით 2011-2018 წლებში 657 ადამიანმა მიიღო ჯანდაცვის სერვისი, 2015-2018 წლებში 44 მლნ ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი ახალი გაუმჯობესებული ელ.მომარაგება.2011-2018 წლებში მოხდა 274 მილიონი ბავშვის იმუნიზაცია. ამავე წლებში 86 მილიონი ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი უსაფრთხო სასმელი წყალი. 2019 წლის მონაცემების მიხედვით ორგანიზაციის მიერ 873 პროექტი დაფინანსდა მის 69 წევრ ქვეყანაში, სულ 76.55 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (ინგლ. - IFC) ეს ორგანიზაციაც მსოფლიო ბანკის ჯგუფში შედის. ორგანიზაციას კერძო ინვესტიციების მოზიდვის 60 წლიანი გამოცდილება აქვს. 1956 წლიდან ორგანიზაციამ 2.6

მილიარდი დოლარის ინვესტირება მოახდინა განვითარებად ქვეყნებში. წევრ ქვეყნებს გააჩნიათ ხმის უფლება კორპორაციაში.2009 წლის მონაცემებით ყველაზე მეტ ხმას ფლობდნენ აშშ და იაპონია (23,65% და 5,87%).

კორპორაციის ძირითადი ამოცანაა განავითაროს კერძო სექტორი, სწორედ ამ მიზნით ის უზრუნველყოფს სხვადასხვა პროექტების დაფინანსებას კერძო სექტორში, კონსულტაციებს კერძო კომპანიების მიმართ და დახმარების უზრუნველყოფას საერთ. ორგანიზაციებიდან დაფინანსების მიღებაში.

1994-2019 წლებში კორპორაციას 6242 პროექტი აქვს დაფინანსებული, ამათგან ლათინოამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებში -1289 , ევროპასა და ცენტრალურ აზიაში-1235, სამხრეთ აზიაში-700, სამხრეთ აფრიკაში-1279, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში-891, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში-589.

სსკ მიერ სხვადასხვა სექტორში განხორციელებული პროექტებისათვის გამოყოფილი დაფინანსება ასე გამოიყურება:

<u>ინფრასტრუქტურა</u>

1. 2014-2.426 მლრდ აშშ დოლარი
2. 2015-2.054.42 მლრდ აშშ დოლარი
3. 2016-1.813 მლრდ აშშ დოლარი
4. 2017-1.705 მლრდ აშშ დოლარი
5. 2018-2.073 მლრდ აშშ დოლარი

<u>აგრობიზნესი</u>

1. 2014 -1.051 მლრდ აშშ დოლარი
2. 2015-1.375.38 მლრდ აშშ დოლარი
3. 2016-1.062 მლრდ აშშ დოლარი
4. 2017-1.155 მლრდ აშშ დოლარი
5. 2018- 956 მლნ აშშ დოლარი

<u>სამომხმარებლო სოციალური სერვისებისთვის</u>

1. 2014-928 მლნ აშშ დოლარი
2. 2015-748.46 მლნ აშშ დოლარი
3. 2016-1.046 მლრდ აშშ დოლარი

<u>ნავთობის მოპოვება, სამთო სამუშაოები</u>

1. 2014-441 მლნ აშშ დოლარი
2. 2015-514.51 მლნ აშშ დოლარი
3. 2016-824 მლნ აშშ დოლარი
4. 2017-435 მლნ აშშ დოლარი
5. 2018-97 მლნ აშშ დოლარი

მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (MIGA) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია. მისი მიზანია ხელი შეუწყოს პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების შედინებას განვითარებად ქვეყნებში ინვესტორებისა და კრედიტორების გარანტიების (პოლიტიკური რისკის დაზღვევისა და საკრედიტო ზრდის) უზრუნველყოფის გზით. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო 1988 წლის 12 აპრილს შეიქმნა, ის იყო იურიდიულად ცალკე მდგომი და ფინანსურად დამოუკიდებელი გაერთიანება. წევრობა ღია იყო ყველა IBRD-ის წევრი ქვეყნისთვის. სააგენტომ ფუნქციონირება 1 მლრდ აშშ დოლარის კაპიტალით დაიწყო. შექმნის შემდეგ მასში გაერთიანდა 29 ქვეყანა,ესენი იყვნენ:ბაჰრეინი, ბანგლადეში, ბარბადოსი, კანადა, ჩილე, კვიპროსი, დანია, ეკვადორი, ეგვიპტე, გერმანია, გრენადა, ინდონეზია, იამაიკა, იაპონია, იორდანია, კორეა, ქუვეითი, ლესოტო, მალავი, ნიდერლანდები, ნიგერია, პაკისტანი, სამოა, საუდის არაბეთი, სენეგალი, შვედეთი, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო და შეერთებული შტატები. 2019 წლის მონაცემებით ორგანიზაციის შემადგენლობაშია 181 ქვეყანა.

მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს შექმნის იდეა გაჩნდა ჯერ კიდევ 1948 წელს, მაგრამ 1985 წლამდე ამ იდეას განხორციელების საშუალება არ მიეცა. ამ ეტაპისთვის გადაწყდა შექმნილიყო ახალი შვილობილი ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალი ინვესტიციების დაზღვევას. მისი ძირითადი ამოცანა გახდა კაპიტალისა და ტექნოლოგიის განვითარება ქვეყნებში პროდუქტიული მიზნებისათვის, სხვადასხვა პირობების შესაბამისად შესაბამისი საჭიროებების განვითარება, პოლიტიკისა და ამოცანების განსაზღვრა უცხოური ინვესტიციების სამართლიანი და სტაბილური სტანდარტების საფუძველზე .

დღეს, MIGA-ს მისია პირდაპირია: განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, სიღარიბის დაძლევის და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით.

1990 წელს მრავალმხრივმა საინვესტიციო გარანტიების სააგენტომ მოახდინა საინვესტიციო გარანტიების კონტრაქტების მხარდამჭერი ოთხი პროექტის პრეზენტაცია, რაც ჯამში 1.04 მლრდ აშშ დოლარის პირდაპირ ინვესტიციას მოიაზრებდა. 1991 წელს წევრი ქვეყნების რაოდენობამ 100-ს მიაღწია. 1998 წელს მოხდა ორგანიზაციის კაპიტალის ზრდა 850 მლნ დოლარამდე, ამას დაემატა მსოფლიო ბანკის ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ორგანიზაციის IBRD-ის მიერ მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოსთვის გადარიცხული 150 მლნ აშშ დოლარი. კაპიტალის გაორმაგებამ, 1 მლრდ აშშ დოლარიდან 2 მლნ აშშ დოლარამდე, მსგს-ს საშუალება მისცა გაეზარდა მისი მომსახურეობა განვითარებადი წევრი ქვეყნების მიმართ. მსგს-მ მოაწყო მისი პირველი სიმპოზიუმი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში საერთაშორისო პოლიტიკური რისკის შესახებ. 1999 წელს MIGA ერთი წლის განმავლობაში გასცემს 1.3 მლრდ აშშ დოლარის

გარანტიებს. 2000 წელს წევრი ქვეყნების რაოდენობა 150-ს აღწევს. 2001 წელს ორგანიზაციის ოთხი მხარდაჭერილი პროექტის მოცულობა 2 მილიარდ დოლარს აღწევს, მათ შორის სატელეკომუნიკაციო პროექტი ბრაზილიაში და სამთო პროექტში რუსეთში. 2005 წელს MIGA იწყებს საინვესტიციო პროგრამას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ინვესტიციების წახალისების მიზნით, ასევე ავღანეთის საინვესტიციო გარანტიის საშუალებით უცხოურ ინვესტიციებს ამ ქვეყანაში. 2008 წელს MIGA-ს გაცემულმა გარანტიებმა ისტორიულ $ 2.1 მილიარდს მიაღწია. 2017 წელს MIGA კერძო სექტორის ინვესტორებსა და მსესხებლებზე გასცემს 4.8 მლრდ აშშ დოლარის გარანტიებს.

*ორგანიზაციის მიერ გატარებული ღონისძიებები ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად.*_MIGA-ს მისიაა ხელი შეუწყოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებში და ამ გზით უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის შემცირება და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ქვემოთ ნაჩვენებია ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა პროექტების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების მოცუ-ლობები სხვადასხვა წლებში[5].

- 2010 1,464 (მლნ აშშ დოლარი)
- 2011 2,099 (მლნ აშშ დოლარი)
- 2012 2,657 (მლნ აშშ დოლარი)
- 2013 2,781 (მლნ აშშ დოლარი)
- 2014 3,155 (მლნ აშშ დოლარი)
- 2015 2,828 (მლნ აშშ დოლარი)
- 2016 4,258 (მლნ აშშ დოლარი)
- 2017 4,842 (მლნ აშშ დოლარი)
- 2018 5,251 (მლნ აშშ დოლარი)

ბოლო წლების განმავლობაში ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი თანხის მოცულობები სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად თანდათან იზრდება და მან რეკორდულ მაჩვენებელს 2018 წელს მიაღწია-5.251 მლრდ აშშ დოლარი.

2014 წელს ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტების მოცულობები ასეთია: პროექტების 8 % დაფინანსდა ლათინოამერიკის ქვეყნებში, 33 % - ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, 29 % სამხრეთ აფრიკაში, 17 %- ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში და 13 %- აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში.

2014 წელს განხორციელებული პროექტების შედეგად 26 მლნ ადამიანს

[5] www.worldbank.org უკანასკნელად გადამოწმებულია 07.12.2020.

მიეწოდა ელექტროენერგია, მოხდა 597 მლნ დოლარის ღირებულების ადგილობრივი საქონლის შესყიდვა, დასაქმდა 7,635 ადამიანი.

მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს მიერ 2018 წლისთვის გამოყოფილი დაფინანსება, 5.3 მლრდ აშშ დოლარი, გამიზნული იყო 17.9 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების საჯარო და კერძო ინვესტიციების მხარდასაჭერად. 2018 წელს განხორციელებული პროექტების შედეგად 8 მლნ ადამიანმა მიიღო გაუმჯობესებული ელექტრომომარაგება, 1.4 მლნ ადამიანმა შეძლო გაუმჯობესებული ტელეკომუნიკაციებით სარგებლობა, 10.3 მლნ ადამიანს მიეცა საშუალება ესარგებლა ჯანდაცვის სერვისით, მოხდა 22 188 ადამიანის დასაქმება. 2018 წელს სააგენტოს მიერ დაფინანსდა 845 პროექტი 111 ქვეყანაში.

ინვესტიციური დავების რეგულირების საერთაშრისო სააგენტო (ინგლისურად-ICSID) მსოფლიო ბანკის ჯგუფის მეხუთე ორგანიზაცია, რომელიც 1966 წელს შეიქმნა. მისი მიზანია უზრუნველყოს საარბიტრაჟო პროცედურები საინვესტიციო დავების მონაწილეთათვის. ეს არის საკმაოდ ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს დავების რეგულირების საქმეში. აღსანიშნავია, რომ დავები შესაძლოა წარმოიშვას კერძო ინვესტორებს შორის.

2019 წლის მონაცემებით ორგანიზაციების წევრი ქვეყნების რაოდენობა 154 -მდე გაიზარდა, ორგანიზაციის ხელმძღვანელია გენერალური მდივანი.

დავების დროს განიხილება საარბიტრაჟო პროცედურები, მხარეთა შერიგება. მომსახურეობის გაწევა ნებაყოფლობითია და ფასიანი. რაც შეეხება გადასახადის ოდენობას, ის განისაზღვრება ორგანიზაციის მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.adb.org უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --27.12.2020
2. www.gfmag.com უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --20.12.2020
3. www.worldbank.org. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --25. 12.2020
4. https://bpn.ge/finansebi/11780-saerthashoriso-savaluto-fondi-mkhars-utcers-saqarthvelos-erovnuli-bankis-mcuravi-gacvlithi-kursis-politikas.html?lang=ka-GE) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15. 12.2020
5. http://www.imf.org/en/Publications/REO/MECA/Issues/2017/04/18/mreo0517 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --20. 12.2020
6. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=339&n&newsid=3072 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --20. 12.2020
7. http://mof.ge/5033 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --15. 12.2020
8. http://www.imf.org/external/index.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --20. 12.2020

9. http://www.ereport.ru/articles/organiz/parisclb.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --22. 12.2020
10. http://investments.academic.ru/1118/%D0%9B%D0%D0%B9_%D0%BA%D0%BB%D1%83%D0%B1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.12.2020
11. http://www.ebrd.com/pages/about/contacts.shtml#gen უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --18.12.2020
12. http://www.imf.ge/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --25. 12.2020
13. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi- უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --20.12.2020
14. http://www.ungeorgia.ge/geo/98/un_agencies?info_id=451#.WTVWcGiGOM8 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --20.12.2020
15. http://mfa.gov.ge/News/%E1%83%98%E1%83%83%91.aspx უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --20.12.2020
16. http://www.imf.org/en/Publications/REO/MECA/Issues/2017/04/18/mreo0517 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული --12.11.2020

საბანკო სისტემის განვითარებისთვის თანამედროვე ტენდენციები
Modern Trends in the Development of the Banking System

დავით ჯგერენაია - მაგისტრი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ
David Jgerenaia - Magister,
Georgian National University, SEU

აბსტრაქტი. ფინანსური გლობალიზაციის პირობებში ფინანსური ბაზრის მონაწილეების ეროვნულად ორიენტირებულობის სტრატეგია არის საჭირო, რომელიც სახელმწიფოს გეგმებთან და ინტერესებთან, კაპიტალის გამოყვანაზე შეზღუდვების დანერგვასთან და რისკების მართვის კომპლექსური სისტემების ფორმირებასთან შესაბამისობაში, ბიზნესის განვითარებაზე იქნება დაფუძნებული. ამიტომ, საქართველოს კომერციული ბანკების განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი პორტფელებისა და ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია უნდა მოხდეს, რომელიც რისკების რეალიზაციისაგან დანაკარგების მინიმიზირების შესაძლებლობას იძლევა. ფინანსური რეგულირების ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის საბანკო რისკების მართვის ინსტიტუციური მექანიზმი უნდა იქნეს შემუშავებული, რომელიც სამამულო და უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველი მდგრადი ფინანსური ბაზრის განვითარებაზე იქნება დაფუძნებული. კომერციული ბაზრებისათვის თანამედროვე პირობებში მთავარ ამოცანებს საიმედო ინსტრუმენტების, ტექნოლოგიებისა და კლიენტის მოზიდვის მეთოდების მოძიების პრობლემა წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სისტემა, ტრენდი, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ეროვნული ვალუტა, რაციონალიზაცია.

Abstract. In the context of financial globalization, a strategy of national orientation of financial market participants is needed, which will be based on business development in accordance with the plans and

interests of the state, the introduction of restrictions on capital outflow and the formation of complex risk management systems. That allows you to minimize losses from the implementation of risks. To ensure the effectiveness of financial regulation, it is necessary to develop an institutional mechanism for managing banking risks, which will be based on the development of a sustainable financial market attractive to domestic and foreign investors. The main task of commercial markets in modern conditions is to find reliable tools, technologies and methods for attracting customers.

Keywords: Banking System, Trend, Monetary Policy, National Currency, Rationalization.

შესავალი. მნიშვნელოვან პრობლემებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს საბანკო სისტემის ფორმირების პროცესში ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაზე, უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა.

ძირითადი ტექსტი. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოწოდებულია გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, როგორიცაა: 1. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა; 2. ეროვნული ვალუტის სტაბილურობა; 3. მოსახლეობის რაციონალური დასაქმება; 4. ოპტიმალური საგადასახადო ბალანსის ფორმირება და ა.შ.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ისეთი ღონისძიებების შემუშავება და მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის შესაბამისი მექანიზმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ფულის მასის მოძრაობის ოპტიმალურ დინამიკას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება, როგორც ინფლაციური პროცესების შეჩერება, ასევე წარმოების განვითარების სტიმულირება.

აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია მოქნილი ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარება, უპერსპექტივო საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება და საკრედიტო ემისიის რაციონალური მართვა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფუძემდებლური მიზანი უნდა გახდეს ეკონომიკის დინამიური რესურსებით უზრუნველყოფა წარმოების საერთო დონის ამაღლების საფუძველზე, სრული დასაქმების მიღწევა და პარალელურად ინფლაციის შეზღუდვა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში იგულისხმება ასევე ფულის მიმოქცევის ისეთი რეგულირება, რომლის შედეგად შესაძლებელია მიღწეულ იქნას წარმოების ერთობლივი მოცულობის, დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილიზაციის მიღწევა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უნდა გამოიწვიოს ფულის მიწოდების გადიდება, ეკონომიკის დაქვეითების დროს დანახარჯების წასახალისებლად, ხოლო ინფლაციის დროს, პირიქით უნდა შეზღუდოს ფულის მიწოდება დანახარჯების შესაკვეცად. ამრიგად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი მიზანია ეროვნული ეკონომიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა და საბანკო სისტემის ფორმირების პროცესში წინააღმდეგობრივი მოვლენების აღმოფხვრა.

ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას გამოყენებული უნდა იქნას მოწინავე ქვეყნების პრაქტიკაში არსებული

რეგულირების საერთო და სელექციური მეთოდები საერთო მეთოდები ფაქტიურად მოიცავს რა არაპირდაპირ მეთოდებს ეხება საკრედიტო ბაზარს მთლიანობაში. სელექციური მეთოდები მიმართულია კრედიტის კონკრეტულ სახობაზე. ეს მეთოდი უპირველესად გამოიყენება კერძო ამოცანების გადასაწყვეტად. მაგალითად, სელექციურ მეთოდებს მიეკუთვნება საბანკო სესხების ლიმიტირება, ცალკეული სახეობის კრედიტის გამოყენების რეგლამენტაცია, დაბალრენტაბელური საწარმოების დაკრედიტებისას კომერციული ბანკების ოპერაციებისათვის სახსრების შეღავათიანი რეფინანსირება და სხვა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ-ჯერობით საკრედიტო ბაზრისა და საპროცენტო განაკვეთების დარეგულირების პროცესი რთულად მიმდინარეობს. კომერციულ კრედიტებზე მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით ჩვენში საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად მაღალია. მაღალი საპროცენტო განაკვეთები ხელს უშლის ქვეყანაში მეწარმეობის (ბიზნესის) მრეწველობის განვითარებას. დაბალი საპროცენტო განაკვეთები ხელს შეუწყობდა მრეწველობის განვითარებას. შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, დასაქმდებოდა ხალხი, შევიდოდა ბიუჯეტში ფული და ფულად-საკრედიტო სისტემა უფრო მტკიცე იქნებოდა. საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე უარყოფითად მოქმედებს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობაც. მიმდინარე გადასახდელთა მდგომარეობა უარესდება შიდა დაგროვების არაადეკვატური დონის მიზეზით, წარმოებს კაპიტალის მასობრივი გადინება. ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ განვითარებადი ქვეყნების მთავრობები განსაზღვრავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მკაცრი სავალუტო შეზღუდვის შემოღებით, მაგრამ ამას არ მოაქვს სათანადო შედეგი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კაპიტალის გატანას. თუ შიდა საპროცენტო განაკვეთების დონე კორექტირებული ეროვნულ ვალუტის მოსალოდნელ გაუთვალისწინებელი გაუფასურებასთან მაღლა მსოფლიო ბაზრების განაკვეთების დონეზე, შეიძლება დაიწყოს ქვეყანაში კერძო კაპიტალის შემოსვლა, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკური ზრდის დაფინანსებით უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით შიდა დაგროვების უკმარისობის პირობებში. რიგ დადებით მხარესთან ერთად, საპროცენტო განაკვეთების დონის ამაღლება იწვევს ინვესტიციების ზრდას მის მოხმარებასთან შედარებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს იმპორტულ საქონლეზე მოთხოვნის გადიდება, იმის გამო, რიგ განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების განმასხვავებელ თავისებურებაა მათი დიდი იმპორტტევადობა მოხმარებასთან შედარებით. უკანასკნელ წლებში განვითარებადი ქვეყნების დიდმა ნაწილმა უარი თქვა საპროცენტო განაკვეთების ადმინისტრაციულ რეგულირებაზე, მისი ლიბერალიზაციის

მხარდაჭერის მოთხოვნით, რაც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად განხორციელდა, რაც უპირატესად გამოწვეულია საგადამხდელო ბალანსის კაპიტალური ნაწილის „გახსნის“ ხარისხით. კაპიტალის მოძრაობის შეუზღუდავობისას აუცილებელია საპროცენტო არბიტრაჟის შექმნა, რომლის ძირითადი ამოცანაა: 1. საპროცენტო განაკვეთების საერთაშორისო დონესთან გათანაბრება; 2. ეროვნული ვალუტის მოსალოდნელი გაუფასურებისა და რისკის ფაქტორების გათვალისწინება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორი საპროცენტო განაკვეთის შერჩევას და მისი ადმინისტრაციული რეგულირების მეთოდების სწორი განსაზღვრა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა. ნორმალურად ფუნქციონირებადი ეკონომიკის პირობებში რეგულირების ფულად-საკრედიტო მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვნად წინ სწევს ეკონომიკის ზრდის სტიმულებს, მაგრამ მოშლილი ეკონომიკური სისტემის პირობებში რეგულირების ფულად-საკრედიტო მეთოდებს არა აქვთ დიდი ეფექტი, ისინი არასაკმარისია და სახელმწიფოს მხრივ უნდა დაემატოს პირდაპირი რეგულირების კომპონენტები. ეს ნათელია იმდენად, რამდენადაც ეკონომიკის რეგულირების ფულად-საკრედიტო მეთოდები მთლიანად საბაზრო ხასიათის მატარებელია და ამდენად მთლიანად არ შეუძლია ოპტიმალურად და ძირეულად გადაჭრას წინააღმდეგობანი, რომლებიც უშუალოდ საბაზრო მექანიზმშია მოქცეული.

ფულად-საკრედიტო ფაქტორების როლისა და მნიშვნელობის აბსოლუტიზაციას და მათ შესაძლებლობებზე გადაჭარბებულ წარმოდგენას რეალური საფუძვლები არ გააჩნია. მართალია, ვერ უარვყოფთ კვლავწარმოების პროცესში რეგულირების ფულად-საკრედიტო მეთოდების დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მათ, რომ არარეალური შესაძლებლობები მივაწეროთ, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ ფულის მიმოქცევის სტაბილიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნორმალური ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარება. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ყოველწლიური რეკომენდაციები რეგულირების ეკონომიკურ მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს სახელმწიფოებრივი რეგულირების მომენტებსაც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, მათი მთელი ყურადღება გადატანილია ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაციაზე და მოხმარების პრიმატზე წარმოებასთან შედარებით, რაც თავის მხრივ, ქვეყნის რეალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას კიდევ უფრო ასუსტებს. ასევე ქვეყანაში ხშირია შემთხვევები საგარეო-სავაჭრო გარიგებებისას გადასახადებისაგან თავის არიდების. ასეთ დროს ანგარიშგებაში საექსპორტო საქონლის ფასებს ფაქტიურთან შედარებით

შემცირებულად უჩვენებენ, ამით აღურიცხავი მოგება თავს იყრის საწარმოს უცხოურ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე. ამით კუთვნილი თანხები აკლდება ბიუჯეტს და თანაც ფართოვდება კაპიტალის გადინება უცხოეთში. არ არის იმის გარანტია, რომ ეს თანხები უკან დაბრუნდება და მოხმარდება ქვეყნის ეკონომიკას.

დასკვნა. ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკაში ჩამოყალიბდა მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ფულადი რესურსების გადინებასა და რეგიონებს შორის უკონტროლო მსხვილმასშტაბიან გადანაწილებას და, აღნიშნული საბოლოო ჯამში, იწვევს წარმოების დესტაბილიზაციას. ასეთი ნეგატიური ტენდენციების სწრაფად აღმოფხვრა მნიშვნელოვან, სტრატეგიულ საქმედ მიგვაჩნია. ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს უფრო კონკრეტული მიზნებისაკენ, რომლებიც ფაქტიური და შუალედური მიზნების განხორციელებას ითვალისწინებენ. ფაქტიური მიზნები მიიღწევა ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე ყოველდღიურ, თანმიმდევრული ოპერაციებით, ხოლო შუალედური მიზნები დასაშვებია უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის, ეკონომიკურ სისტემაში უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიზანმიმართული კორექტივებით. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შუალედური მიზნებია: პირველი, ფულადი მასის ზრდის ტემპის უზრუნველყოფა; მეორე, წარმოების ნომინალური მოცულობის მიღწევა; მესამე, ფასების დონის სტაბილიზაცია.ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ, ეროვნული ბანკის უმთავრესი ფუნქციაა ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა რომ ეს ფუნქცია წინააღმდეგობაშია საგარეო კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის უზრუნველყოფასთან, პრიორიტეტი მაინც ფასების სტაბილურობის მიღწევას უნდა მიენიჭოს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პირველი ინსტრუმენტის გამოყენება მიმოქცევაში ფულის მასის გასაზრდელად კომერციული ბანკების ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების შესყიდვას გულისხმობს, ხოლო მიმოქცევაში ფულის მასის შესამცირებლად - ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების კომერციული ბანკებისათვის მიყიდვა. ასეთი ღონისძიებები პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან არ არსებობს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი. მეორე ინსტრუმენტიც, ჩვენი აზრით, დღევანდელ პირობებში მცირე ეფექტიანია, ვინაიდან ფულის მასის დიდი ოდენობა ბანკებს გარეთ მიმოიქცევა, დასახვეწია დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. საქართველოს ბანკების უმრავლესობა იყენებს ლიკვიდობის მართვის შუალედურ სტრატეგიას, ანუ ლიკვიდობის მართვას აქტივებით და პასივებით. იმის გამო, რომ საქართველოში არ მიმოიქცევა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და არ არსებობს მათთვის მეორადი ბაზარი, ბანკებს საშუალება არა აქვთ შეიძინონ, ისეთი ლიკვიდური აქტივები, რომელიც

ექნებათ საკუთარი ბაზარი სტაბილური ბასებით, აქედან გამომდინარე, რეალურად საქართველოში ბანკების ხელმძღვანელობა ლიკვიდობის აქტივებით მართვის სტრატეგიას ნაკლებად გამოიყენებს, პრაქტიკულად ასევე გამოუყენებელია ლიკვიდობის პასივებით მართვის სტრატეგია, ვინაიდან: 1. საქართველოში არ არსებობს ისეთი ფულადი ბაზარი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისაღები ფასებით, საჭირო რაოდენობით და დროის აუცილებელ მომენტში ლიკვიდური სახსრების მოზიდვა; 2. პასივებით მართვის სტრატეგია საკმაოდ რისკიანია, ამას ისიც ზრდის, რომ კომერციული ბანკებისათვი ეროვნული ბანკის ნორმატივი აიძულებს მათ ყოველი თვის ბოლოს აქტივებში ლიკვიდური აქტივების დონე უზრუნველყონ 30%-ით. რაც შეეხება ეროვნული ბანკის საქმიანობას, იგი გამიზნული უნდა იყოს: პირველი, სარეზერვო მოთხოვნების ოპტიმალური რეგულირებისა და კომერციული ბანკების რეფინანსირების სრულყოფისაკენ; მეორე, საბანკო სისტემის გარეთ ფულის მასის მოძრაობის ოფიციალური პირების ჩართვაში; მესამე, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მომავალში თანდათანობით უნდა შეიცვალოს ზომიერი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით.

.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე რ. (2016). ტექნოლოგიები ფინანსებში – მსოფლიოს მიღწევები და საქართველოს პერსპექტივები. http://commersant.ge/?view=post&id=73718&lang_id=ge

2. ბიზნეს კრედიტუნარიანობის შეფასების ინოვაციური პლატფორმა. 2018. ფინანსური ტექნოლოგიები და ბიზნესი. https://qcash.ge/?page=article&artid=3

3. თიბისი ბანკი მეტი ინოვაციის ძიებაში. 2016. ჟ. Forbes Georgia. http://forbes.ge/news/1569/TBCbankimetiinovaciisZiebaSi

4. კაკულია ე., თოფჩიშვილი მ., თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიები და მარკეტინგული გადაწყვეტილებები. მე-4 საერთაშორისო სამეცნიეროპრაქტიკული კონფერენცია „განვითარების ეკონომიკა და ინოვაციები: გამოწვევები, გადაწყვეტის გზები.“ კონფერენციის მასალების კრებული.

5. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი 2017ნ. ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები. სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „დანი“. 2017.

საპროცენტო რისკებისა და საკრედიტო პორტფელის ურთიერთკავშირის შესახებ

On the Relationship Between Interest Risks and Loan Portfolio

ნათია ახალკაცი - ეკონომიკის დოქტორი, natia.akhalkatsi@mekan.ge
ნანა გულიკაშვილი - დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, n.gulikashvili@seu.edu.ge

Natia Akhalkatsi - Doctor of Economics, natia.akhalkatsi@mekan.ge
Nana Gulikashvli - PhD student. Georgian Technical University, n.gulikashvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი. სესხებზე ფასების ადეკვატური დადგენა კრედიტორისაგან სესხის არდაფარვის რისკისადმი, პორტფელური რისკისადმი და პროცენტული რისკისადმი ყურადღებას მოითხოვს. პორტფელური რისკი თითოეული ცალკეული სესხის ეკონომიკურ მდგომარეობასთან კოვარიაციით განისაზღვრება. პროცენტული რისკი ბანკებისათვის სესხების მიხედვით მცურავი საპროცენტო განაკვეთების დადგენით ნიველირდება. ბანკის საკრედიტო პორტფელის მათვის განხილული ასპექტები ამომწურავებს არ წარმოადგენენ, მაგრამ მოცემული დებულებების პრაქტიკაში გამოყენება ქვეყნის კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხისა და თვით ბანკების საიმედოობის ამაღლების საწინდარია.

საკვანძო სიტყვები: კოვარიაცია, კუკის კოეფიციენტი, საკრედიტო პოლიტიკა, საკრედიტო პროცენტი, საკრედიტო რისკი, კრედიტორული დავალიანება, კრედიტუნარიანობა.

Abstract. Adequate pricing of loans requires the lender to pay attention to loan default risk, portfolio risk and interest rate risk. Portfolio risk is determined by covariance with the economic condition of each individual loan. Interest rate risk for banks is leveled by setting floating interest rates on loans. The aspects of the bank loan portfolio discussed for them are not exhaustive, but the application of these provisions in practice is a prerequisite for improving the quality of the loan portfolios of the country's commercial banks and the reliability of the banks themselves.

Keywords: Covariation, Cooke ratio, Credit policy, Credit interest, Credit risk, Accounts payable, Creditworthiness.

შესავალი. მსოფლიო სამეურნეო ცხოვრებაში მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში ფინანსური სამყარო მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაშე აღმოჩნსა, და ამჟამად იპოთეკური კრიზისის გაკვეთილების გათვალისწინებით და როგორც შედეგი, ბაზელის მესამე შეთანხმების საფუძველზე რეგულირების გამკაცრებით, ბანკებისაგან რისკ მენეჯმენტის და ფინანსების მართვის ინტეგრაციასა და სრულყოფას მოელიან. საბანკო სფეროში, კერძოდ კაპიტალის საკმარისობის ნორმატიული სიდიდის გაანგარიშებისათვის რეიტინგების გამოყენება ჯერ კიდევ ბაზელის მეორე შეთანხმებაში იყო განხორციელებული.

ძირითადი ტექსტი. ბაზელის მეორე შეთანხმების მიღებით ასევე, მსესხებლის რეიტინგისაგან დამოკიდებულებაში, რეიტინგის დარეზერვების ნორმის დასადგენათაც დაიწყეს მისი გამოყენება. ბაზელის შეთანხმებების ძირითადი რეგულირებადი მაჩვენებლის სახით გამოდის კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი, რომელიც კუკის კოეფიციენტის

სახელწოდებით არის ცნობილი. ბაზელი II-ის მიხედვით კუკის კოეფიციენტი თავისთავად ძირითადი და დამატებითი კაპიტალის ჯამის რისკის მხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობას წარმოადგენს. კოეფიციენტის რეკომენდირებული მინიმალური მნიშვნელობა 8%-ს შეადგენს.

შეთანხმება ბაზელი II ბანკებს, კერძოდ, მსესხებლების და სხვა საბანკო კლიენტებისა და პარტნიორების რეიტინგული შეფასების მექანიზმების სრულყოფას აიძულებს, რადგანაც საკრედიტო ორგანიზაციას საკრედიტო რისკის შეფასებისათვის ორი მიდგომიდან ერთის არჩევა შეუძლია.

ბაზელი II-ზე გადასვლა ბანკებისაგან რეიტინგირების საკუთარი სისტემების დანერგასა და განვითარებაზე მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს. ასევე რეიტინგებს ნასესხები კაპიტალისადმი მიღწევადობის პირიბების განსაზღვრის ინსტრუმენტად აქცევს. საკრედიტო რეიტინგული სააგენტოები ფაქტიურად გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე მისი ძირითადი მონაწილეების დაშვების მაკონტროლებლებად გადაიქცნენ.

ბაზელი III დანერგვასთან დაკავშირებული რეგულირების ნორმების სამომავლო ცვლილებები საბანკო კაპიტალის ადეკვატურობისადმი მოთხოვნილებების ამაღლებას ითვალისწინებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, კრედიტების მიხედვით განაკვეთების ზრდას და მეორე მხრივ, საბანკო კრედიტის მიწოდების წესის გამკაცრებას გამოიწვევს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს კომერციულ ბანკებში წარმოიშობა საკრედიტო პორტფელის ფორმირებისადმი მიდგომების გადახედვისა და სრულყოფის აუცილებლობა, კომერციული ბანკების პირველადი ფუნქციისაკენ დაბრუნება - კრედიტების ბიზნეს-გეგმების შესწავლის საფუძველზე გაცემა, ასეთი კრედიტების რეალიზაციაზე და პორტფელის მართვაზე, კომპანია-მსესხებელთან ერთად, პასუხისმგებლობის განაწილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კრედიტების პორტფელის, საბანკო რისკების სხვადასხვა სახეობების გათვალისწინებით, ფორმირებისა და თანამედროვე ქართულ საბანკო პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების განხილვა.

საკრედიტო პორტფელის მართვისას ბანკმა საკრედიტო, პორტფელური, საპროცენტო რისკები და ლიკვიდობის რისკი უნდა შეაფასოს. როდესაც ბანკი სერიოზულ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის, მათი ძირითადი სიმპტომი ლიკვიდობის კრიზისი ან გადახდისუუნარობის საშიშროება იქნება. მაგრამ ასეთი სახეობის კრიზისები მოულოდნელად არ წარმოიშობა. მათი მიზეზი ჩვეულებრივად შეიძლება კრედიტების დიდი მოცულობით არდაფარვის შედეგად გამოწვეული მეტად მაღალი საკრედიტო რისკი იყოს. კრედიტების მასიური არდაბრუნება ბანკისადმი ნდობას ამცირებს.

ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვა დეპოზიტების გადინებით გამოწვეული ბანკების ლიკვიდობის კრიზისების აღმოფხვრას უწყობს ხელს. მიუხედავად ამისა, გაკოტრების მიზეზი შეიძლება საკრედიტო რისკი აღმოჩნდეს.

საკრედიტო რისკი - არის მსესხებლის მიერ აღებული სესხის არდაბრუნების ალბათობა. ასეთი ალბათობა სიმბოლო d-ს მეშვეობით ავღნიშნოთ, მაშინ სესხის დაფარვის მოსალოდნელი ალბათობა ტოლი იქნება (1 - d). თუ გავითვალისწინებთ ბანკის ისეთი რეალურ დანახარჯებს, როგორებიცაა: საკრედიტო განყოფილების მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, ინფორმაციების დამუშავებაზე ხარჯები და დანარჩენი სხვა გაუთვალისწინებელი დანახარჯები, მაშინ პროცენტმა მომგებიანი კონტრაქტების მიხედვით (r*), კრედიტორს უნდა დაუკომპენსიროს - ფულის დროითი (ვადიანი) ფასეულობა (რისკისაგან თავისუფალი საპროცენტო განაკვეთი r) და სესხის არდაბრუნების რისკი (d). აღნიშნული შეიძლება შემდეგი სახით ჩაიწეროს:

პროცენტი მომგებ. კონტრაქტ. მიხედვით $r^* = (1 + r)/(1 – d) – 1$

აღნიშნული ფორმულა რისკისა და შემოსავლის ურთიერკავშირის შესახებ ფუნდამენტალურ წარმოდგენას გამოხატავს. აღნიშნული განტოლების თანახმად, სესხის მიხედვით საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, თუ იქნება საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მსესხებელმა შეიძლება კრედიტი არ დაფაროს. ცხადია, რომ r*-მა სესხების მიხედვით არგადახდის რისკის კომპენსირება უნდა მოახდინოს. იმ შემთხვევაში, როდესაც იმედი გვექნება იმის შესახებ, რომ სესხი იქნება დაფარული (d = 0), მაშინ r* და r ტოლი იქნება. პირიქით, თუ წინასწარ იქნება ცნობილი, რომ მსესხებელი არ დააბრუნებს ვალს (d = 1), სიდიდე r* განსაზღვრას არ ექვემდებარება (ანუ კრედიტორის რისკის კომპენსირება შეუძლებელია). არც ერთი გონიერი კრედიტორი, რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში სესხს არ გასცემს. გამონაკლისს წარმოადგენენ სესხები, რომელთა მიხედვით სამთავრობო ან სხვა სახის მსგავსი გარანტიები იქნება. ამ შემთხვევაში ბანკმა შეიძლება გასცეს სესხი იმისათვის, რომ საკომისიოების ხარჯზე მიმდინარე შემოსავლები აამაღლოს.

ბანკისათვის სესხების მიხედვით მოგებიან პროცენტსა (r*) და ურისკო პროცენტს (r) შორის სხვაობა თავისთავად არდაფარვის რისკზე პრემიას წარმოადგენს. განტოლებიდან მივიღებთ:

პრემია არდაფარვის რისკზე = (r - r) = (1 + r*)d.*

პრემია არდაფარვის რისკზე, რომელიც კრედიტორის მოსალოდნელი დანაკარგების კომპენსირებას ახდენს - არის რისკიანი და საიმედო სესხების მიხედვით შემოსავლებს შორის სხვაობა. თეორიული თვალსაზრისით,

ტიპიური საკრედიტო საბანკო ანალიზი მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების ალბათობის განსაზღვრაზეა მიმართული (1 - d).

მნიშვნელოვანს ბანკის აქტივების პორტფელის მართვისას რისკის მიხედვით კორექტირებული აქტივების სხვადასხვა სახეობების მიხედვით განსაზღვრა და აქტივების განაწილება წარმოადგენს, საუბარია იმის შესახებ, რომ კრედიტორებმა, აქტივების განაწილებამდე, რისკის მიხედვით კორექტირებული მოგების შეფსება უნდა განახორციელონ. თუ რისკის გათვალისწინებით შემოსავლები, მაგალითად, სახელმწიფო ობლიგაციების მიხედვით უფრო მაღალია, ვიდრე სესხების მიხედვით, და თუ რეგულირება საკრედიტო პორტფელების მოცულობის გადიდებას არ მოითხოვს, მაშინ, ბანკის აქციონერების ინტერესების გათვალისწინებით, სახსრების ობლიგაციებში ჩადება იქნება უფრო მიზანშეწონილი. აქტივების განაწილების შესახებ გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად კრედიტორებმა ძირითადი ყურადღება საკრედიტო რისკზე უნდა გაამახვილონ და მასზე ჩასწორებით სხვადასხვა სახის დაბანდებების შემოსავლიანობის შედარება უნდა განახორციელონ.

რისკიანი სესხებისა და ურისკო ობლიგაციების შემოსავლიანობის შედარებამ პასუხი უნდა გასცეს კითვაზე: ღებულობს თუ არა ბანკი რისკიანი სესხებით რეალურ დამატებულ ღირებულებას, სხვა სიტყვებით, რისკიან დაკრედიტებას მოაქვს თუ არა ბანკისათვის დადებითი შემოსავალი? აღნიშნულ კოთხვაზე პასუხისათვის საჭიროა კრედიტების პორტფელის საერთო შემოსავლიანობის მაჩვენებლიდან (ანუ სესხების მიხედვით მოგებიანობის პროცენტიდან) არდაბრუნების საშუალო პროცენტი უნდა იქნეს გამოქვითული, შემდეგ კი მიღებული სიდიდიდან არდაფარვის საშუალო დონიდან სტანდარტული გადახრის გამოქვითვა ხორციელდება. დასასრულს, მიღებული შედეგიდან სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციების მიხედვით საშუალო წლიური პროცენტი გამოიქვითება. ასე შეიძლება, სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციებში ინვესტირებასთან შედარებით, რისკზე კორექტირებული პრემიის მნიშვნელობა, ან სესხებთან ოპერაციების მიხედვით ფასეულობის ნაზარდი იქნეს მიღებული.

რისკის გათვალისწინების აღწერილი ხერხი შეიძლება განხილული იქნეს როგორც განტოლების განსაკუთრებული შემთხვევა, სადაც r^* ტოლია სესხების საერთო მოგებიანობის დონიე გამოქვითული მათი არდაფარვის საშუალო პროცენტი მონუს არდაბრუნების საშუალო პროცენტის სტანდარტული გადახრა. ურისკო ოპერაციების მიხედვით განაკვეთის გამოქვითვით, რისკზე კორექტირებულ პრემიას ვღებულობთ.

ასეთი ანალიზით მიღებული შედეგების სხვადასხვა განსჯა არის შესაძლებელი. თუ ობლიგაციებისა და სესხების დაფარვის ვადა ერთნაირია, შემდგომი ანალიზის გაგრძელებაზე შეიძლება უარიი თქვას. მაგრამ,

ობლიგაციების ძირითად ნაწილს უფრო დიდი ხანგრძლივობა აქვს, ვიდრე საბანკო სესხებს, აქტივების ობლიგაციების სასარგებლოდ განაწილება გადახდების ვადების დაუმთხვევლობამდე მივყავართ (ანუ გრძელვადიანი აქტივების დაფინანსებისათვის გრძელვადიანი პასივების უკმარისობა წარმოიშობა). ობლიგაციებში და კრედიტებში დაბანდებების შედარებითი ანალიზისას საჭიროა გათვალისწინებული იქნეს კიდევ ერთი ფაქტორი - ადმინისრაციული დანახარჯები. რამდენადაც სესხების მიწოდება არსებითად მეტ ადმინისტრაციულ ხარჯებს მოითხოვს, ინვესტირება ობლიგაციებში არაპროცენტული საოპერაციო ხარჯების შემცირებას იწვევს. საოპერაციო ხარჯების შემცირებას კი ობლიგაციებში ინვესტირების ამაღლებული პროცენტული რისკის კომპენსირება შეუძლია.

ბანკის მიერ ჩვეულებრივად შესრულებად საკრედიტო ანალიზის მიზანს მსესხებლის მახასიათებლებსა (ფინანსურები და სხვა) და სესხის არდაფარვის მოსალოდნელ ალბათობას (d) შორის ურთიერთობის განსაზღვრა წარმოადგენს. ასეთი მახასიათებლები შეიძლება იყოს: მსესხებლის მიერ მოწოდებადი ინფორმაციის თავისდროულობა და სიზუსტე; მსესხებლის ხასიათი; მისი შემოსავლების დონე და სტაბილურობა; მსესხებლის სუფთა აქტივების რეალური ღირებულება; გარანტიის არსებობა. როდესაც აღნიშნული ნებისმიერი ფაქტორების მნიშვნელობა ეცემა, სესხის დაუბრუნებლობის მოსალოდნელი ალბათობა იზრდება, და პირიქით.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზისას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩამოთვლილი მასასიათებლებითან თითოეული საგარეო ეკონომიკურ პირობებზეა დამოკიდებული, როგორებიცაა: სტანდარტული მახასიათებლების ზრდა ეკონომიკური ციკლის მსვლელობისას (მაგალითად, ზრდა ან რეცესია); ფასების დონე (ინფლაცია, დეფლაცია, ეროვნული ვალუტის კურსი); უმუშვრობისა და საგადახდო ბალანსის დონე; კონკურენცია და დანარჩენი სხვა საგარეო ფაქტორები. მსესხებლის მცდელობები და შესაძლებლობა სესხის დაბრუნებასთან მიმართებაში შეიძლება საგარეო ეკონომიკური სიტუაციების ცვლილებისას ძლიერ შეიცვალოს, რამდენადაც უმეტესი მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა ბუნებრივია საქმიანი ციკლის ფაზით განისაზღვრება.

საგარეო ეკონომიკური პირობებით შექმნადი რისკი სესხების პორტფელში მოგების კოვარიაციისაკენ გვიბიძგებს. სესხების მიხედვით დანაკარგების დონის ვოლატიურობას მოგების ცვლილებისაკენ და საბანკო კაპიტალის საბაზრო ღირებულების დაცემისაკენ მივყავართ. ვალის დაუბრუნებადობისაგან დანაკარგების დონე შეიძლება დიდი რაოდენობის დამოუკიდებელი მსესხებლების მოზიდვის ხარჯზე იქნეს შემცირებული. დივერსიფიკაციის პრინციპი ითვალისწინებს, რომ თუ კრედიტორი

ცალკეული მსესხებლების რისკის შეფასების შემძლე არ არის, მაგრამ მას ეს შეუძლია კრედიტების მთლიანი პორტფელის მიმართებაში განახორციელოს. პორტფელური თეორია ამტკიცებს, რომ პორტფელები დივერსიფიცირებულები უნდა იყოს. თუ პორტფელში შესავსები დამატებითი კრედიტი გაცემულ სესხებთან მიმართებაში მჭიდროდ კორელირებადია, მაშინ კრედიტორი ამით თავისთავზე მეტ პორტფელურ რისკს ღებულობს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი პორტფელს კორელიაციის უფრო დაბალი ხარისხიანი სესხით ადიდებს. სესხების სწორად შეფასებისათვის კრედიტორებმა პრტფელურ რისკზე კომპენსაცია უნდა მიიღონ. დავუშვათ p - პორტფელური რისკის ზრდის ან შემცირების მაჩვენებელია, მაშინ პორტფელური რისკის კომპენსაციის გათვალისწინებით მოგებიანი სესხების მიმართებაში პროცენტი ტოლი იქნება:

პროცენტი მოგ. სესხების მიხედვით $r^* = (1 + r)/(1 – d - p)-1.$

სადაც: r^* - პროცენტია მოგებიანი სესხების მიხედვით;

r - პროცენტია ურისკო სესხების მიხედვით;

d - სესხის არდაბრუნების ალბათობა.

თუ კრედიტი პორტფელის მნიშვნელოვან და საიმედო დივერსიფიკაციას უზრუნველყოფს, მაშინ პრემია პორტფელურ რისკზე (d) შეიძლება ნულზე ნაკლები იყოს. მნიშვნელოვანია ის, რომ ახალი სესხის მახასიათებელი რამდენად უფრო ახლოსაა კრედიტების პორტფელის სხვა პოზიციებთან, იმდენად უფრო მაღალი უნდა იყოს პრემია პორტფელურ რისკზე, რომ არადივერსიფიცირულობის კომპესირება მოხდეს. სესხების დივერსიფიკაციური პოტენციალი მათი საქმიანი ციკლის მსვლელობასთან კორელიაციით განისაზღვრება. პრაქტიკაში ბანკებმა სესხების დარგობრივ კონცენტრაციაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რაც პორტფელური რისკის დონეზეც ზემოქმედებს.

პრემია სესხის არდაბრუნების რისკზე - ვალის არდაფარვის რისკზე პრემიისაგან, პორტფელურ რისკზე პრემიისაგან და აღნიშნული რისკების მოგებიანი სესხების მიხედვით პროცენტთან ურთიერთქმედებაზე პრემიისაგან შედგება, ანუ:

$$(r^* - r) = d + p + (d + p)^* r^*.$$

პრაქტიკაში კონტროლისადმი ხელმისაწვდომია მხოლოდ განტოლების მარცხენა ნაწილის მაჩვენებლები. მთლიანობაში, კრედიტორებს ეკუთვნით კომპენსაცია- ფულის დროითი (ვადიანი) ფასეულობის (r), სესხის არდაფარვის რისკის (d), პორტფელური რისკის (p) და ურთიერთქმედების ეფექტის $(d + p)^* r^*$. ამასთან (p) -ს გამოანგარიშებაც იოლი არ არის.

პრაქტიკაში ბანკები მიისწრაფიან საბანკო ბაზრის გარკვეულ სეგმენტებზე, მეურნეობის დარგებზე ან სექტორებზე კონცენტრაციისაკენ.

გარკვეულ დარგებში მუშაობის გამოცდოლებისა და რეპუტაციის ფლობით, ისინი სპეციალიზაციის გაღრმავებაში არიან დაინტერესებულები. მაგრამ პორტფელური თეორია გვასწავლის, რომ ასეთი სპეციალიზაცია და მისი თანმდევი სესხების კონცენტრაცია შეიძლება უფრო მეტ პორტფელურ და საკრედიტო რისკებს ნიშნავდეს. კრედიტის გაცემისას რისკის ზრდის კომპენსაციისათვის საჭიროა პორტფელურ რისკზე გაკეთდეს დანამატი. რისკის კონტროლის ერთ-ერთი ხერხი - პროცენტული განაკვეთების სწორი შერჩევაა.

ასევე მნიშვნელოვნად გვესახება საკრედიტო და საპროცენტო რისკების ურთიერთკავშირის განხილვა. კრედიტორებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ საპროცენტო და საკრედიტო რისკებს შორის ურთიერთმოქმედების რეალური არსებობა. თუ ბანკს მთლიანი საპროცენტო რისკი მსესხებელზე გადფააქვს, რომელსაც მასთან გამკლავება არ შეუძლია და რაც ყოველთვის სესხის არდაფარვით მთავრდება, შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ იგი ამით სერიოზულ შეცდომას უშვებს.

ხელშეკრულებაში სესხის შესახებ გამოყენებადი ფასწარმოქმნის მექანიზმი მსესხებლის გადახდისუნარიანობასთან უნდა იქნეს შეხამებული. საპროცენტო რისკის ძლიერი ზემოქმედების მსესხებელთან ხელშეკრულებაში მცურავი პროცენტების გამოყენება, სესხის არდაბრუნების შანსებს ადიდებს და დაკრედიტების ძირითად მიზანს ეწინააღმდება: „გარიგების დასრულება და გაცემული ფულის დროულად დაბრუნება“. ბანკების წინაშე დგას პრობლემა: თუ ისინი საპროცენტო განაკვეთების არამდგრადობის პერიოდებში მცურავი პროცენტების გამოყენებაზე უარს იტყვიან, ასეთ შემთხვევაში ისინი იძულებულები იქნებიან ერთი და იმავე კონტრაქტის მიხედვით საპროცენტო და საკრედიტო რისკიც თავისთავზე აიღონ. ასეთ პირობებში უფრო მნიშვნელოვანია ფიქსირებული პროცენტიანი სესხებისათვის ფასის სწორად განსაზღვრა. საპროცენტო რისკის გადატანა მსესხებლის მხარეს - ბოლომდე ნეიტრალური არ არის: ყველა სხვა ფაქტორებიც ასევე შეიცვლება. სხვა სიტყვებით, მსესხებლების ნაღდი ფულის მოსალოდნელი ნაკადი მგრძნობიარეა სესხის შესახებ ხელშეკრულებაში გამოყენებადი ფასწარმოქმნის მექანიზმისადმი, და მცურავი პროცენტის გამო განუსაზღვრელობის გადიდება მსესხებლის შემოსავლების შემონატანების ისეთი ხარისხით დესტაბილიზირების შემძლეა, რომ იგი სესხის დაბრუნებას ვერ შეძლებს. 2007 – 2008 წლებში აშშ-ში იპოთეკური კრედიტების მიმართებაში მცურავი საპროცენტო განაკვეთი გამოყენება კრედიტების მასიურად არდაფარვის მიზეზი გახდა, რამაც მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე მიგვიყვანა. ბანკები, რომლებიც სესხებთან მიმართებაში მცურავ პროცენტებს ირჩევენ, საკუთარი აქციონერების წინაშე ღებულობენ ვალდებულების გათვალისწინებას, თუ

ფასწარმოქმნის ასეთი მექანიზმი კრედოტებოს მთლიანი პორტფელის რისკიანობაზე როგორ ზემოქმედებას მოახდენს,

კრედიტების პორტფელის დარგობრივი აღწერილობა მნიშვნელოვანია, მაგრამ, ჩვენი მოსაზრებით, მცურავი და ფიქსირებული პროცენტებიანი სესხების გამოყოფა განსაკუთრებულად უფრო მნიშვნელოვანია. თითოეული კონკრეტული სესხის მიხედვით გადაწყვეტილებების მიღებისას, კრედიტორებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ მცურავი პროცენტიანი სესხები პორტფელის რა ნაწილს უნდა შეადგენდეს. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ცალკეულ სესხებზე როგორ უნდა იქნეს დადგენილი ფასი და პორტფელში რამდენი როგორი სახის სესხები უნდა იყოს განთავსებული - მთავარი ფაქტორებია, რომლებიც საბაზრო საპროცენტო განაკვეთისა და მისი საპროცენტო რისკისადმი მიდრეკილების ცვლილებისადმი აქტივების მგრძნობიარობაზე ზემოქმედებენ. საპროცენტო რისკის დანახარჯებისა და უპირატესობების ანალიზი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საპროცენტო რისკის დონე - საკრედიტო რისკზე და მისი თავის თავზე აღების მზადყოფნაზე ზემოქმედებს.

დასკვნა. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, შემდეგი სახის დასკვნების გაკეთება არის შესაძლებელი:

1. სესხებზე ფასების ადეკვატური დადგენა კრედიტორისაგან სესხის არდაფარვის რისკისადმი, პორტფელური რისკისადმი და პროცენტული რისკისადმი ყურადღებას მოითხოვს.
2. არდაფარვის რისკი მთლიანობაში ეკონომიკის მდგომარეობასთან დაკავშირებული პარამეტრების ნაკრებით გამოხატული მსესხებლების ინდივიდუალურ პორტფელზეა დამოკიდებული.
3. პორტფელური რისკი თითოეული სესხის ეკონომიკურ მდგომარეობასთან კოვარიაციით განისაზღვრება, და აღნიშნული კი დივერსიფიცირებული პორტფელის უპირატესობების გაგებაში გვეხმარება.
4. პროცენტული რისკი ბანკებისათვის სესხების მიხედვით მცურავი საპროცენტო განაკვეთების დადგენით ნიველირდება, თუმცა მას ასევე მსესხებლის მიერ ვალის დაბრუნების შესაძლებლობაზე ძლიერი ზემოქმედებაც შეუძლია.

ბანკის საკრედიტო პორტფელის მათვის განხილული ასპექტები ამომწურავებს არ წარმოადგენენ, მაგრამ მოცემული დებულებების პრაქტიკაში გამოყენება ქვეყნის კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხისა და თვით ბანკების საიმედოობის ამაღლების საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ., საბანკო საქმე. თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2020.
2. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. – რიკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი, 2021. – 379 გვ.
3. Никонов В., (2014). Управление рисками. Как больше зарабатывать и меньше терять. Москва.
4. Шапкин А.С., Шапкин В.А. (2012). Теория риска и моделирование рисковых ситуаций Москва.
5. Лаврушин О.И., Валенцева Н. И., Красавина Л.Н., (2020). Банковские риски. Москва.
6. https://www.sabanko.com/wigni [Last seen 04.10.2020];
7. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/legal_regulation/regulations.pdf [Last seen 22.10.2020];
8. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/likvidobis_gadafarva.pdf [Last seen 23.10.2020.

საკრედიტო პორტფელის მართვის სპეციფიკა და ხარისხის ანალიზი
The Specifics of Loan Portfolio Management and Quality Analysis

ვაჟა ჯაშიაშვილი - მაგისტრი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ

Vazha Jashiashvili - Magister, Georgian National University

აბსტრაქტი. კომერციული ბანკების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის რისკების ანალიზი და შეფასება პოსტკრიზისულ პირობებში, წარმატებული დაკრედიტებისათვის ბანკებმა უნდა შეიმუშაონ საკრედიტო რისკების ეფექტური მართვის სისტემა. სტატიაში მოცემული ანალიზი აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას ეხება. საკრედიტო რისკის მართვა ბანკების რისკ მენეჯმენტის ძირითადი კომპონენტია. საკრედიტო რისკის ერთ-ერთი ფორმაა პორტფელის კონცენტრაციის რისკი, რომელიც ბანკის მიერ ინდი ვიდებსა ან ეკონომიკის სექტორებზე სესხე - ბის არათანაბარი განაწილების შედეგად წარმო - იქმნება. პორტფელის კონცენტრაციამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს ბანკს. ამიტომაც, საჭიროა კონცენტრაციის რისკის გათვალისწინება ბანკის კაპიტალში. სტატიის მიზანია, შეაფასოს კაპიტალის მოცულობა, რომელიც სახელობითი კონცენტრაციის რისკის მიტიგაციისთვის უნდა შეინარჩუნონ საქართველოში მოქმედმა ბანკებმა.

საკვანძო სიტყვები: საკრედიტო პორტფელი, მენეჯმენტი, სპეციფიკა, ანალიზი, მომსახურება, რისკი, ანალიტიკური შეფასება.

Abstract. The main problem of commercial banks is the analysis and assessment of the risks of the loan portfolio in post-crisis conditions; for successful lending, banks need to develop an effective system of credit risk management. The analysis presented in the article is devoted to finding ways to solve this problem. Credit risk management is a key component of banks' risk management. One of the forms of credit risk is the risk of portfolio concentration, which is created by the bank as a result of uneven

distribution of loans between individual sectors or sectors of the economy. Portfolio concentration can cause significant losses to the bank. Therefore, it is necessary to take into account the risk of concentration of the bank's capital. The purpose of this article is to estimate the amount of capital that banks operating in Georgia must maintain to mitigate the risk of nominal concentration.

Keywords: Loan Portfolio, Management, Specifics, Analysis, Service, Risk, Analytical Evaluation.

შესავალი. საკრედიტო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს მთელ რიგ პროცესებს, როგორიც არის იმ რესურსების განთავსების გეგმა, რომელიც სესხების გასაცემად არის განკუთვნილი. ასევე უნდა მოიცავდეს მეთოდების სისტემას თუ როგორ უნდა მოხდეს საკრედიტო პორტფელის მართვა. ორგანიზება უნდა მოხდეს სესხის გაცემის პროცესიდან მის მიღების პროცესამდე საჭირო პერიოდის განმავლობაში რამაც უნდა უზრუნველყოს სესხის დაბრუნება. იმისათვის, რომ საკრედიტო პოლიტიკა იყოს ეფექტური საჭიროა თავი ავარიდოთ ძალიან შემზღუდავი ბერკეტების გამოყენებას, მაგრამ ამასთანავე უნდა იყოს ელასტიური, რომ საბაზრო ცვლილებების პარალელურად მოხდეს გარდაქმნები და განვითარება.

ძირითადი ტექსტი. გაცემულ სესხს მაქსიმალურად ვერ ვუზრუნველყოფთ, მაგრამ არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც უკეთეს შედეგს მოგვცემს, ესენია: გაცემული სესხების მთლიან მოცულობაზე ლიმიტი - მოცემული ფაქტორის მიხედვით, ურთიერთკავშირი ხორციელდება საკრედიტო პორტფელის მოცულობასა და დეპოზიტების, აქტივების ან ვალდებულებების მოცულობებს შორის; გეოგრაფიული ლიმიტი - ერთერთ გასათვალისწინებელ პრობლემას წარმოადგენს. ამ ფაქტორში ძირითადი პრობლემა არის, ბანკის ორიენტირი, ანუ არ არის საკმარისი ყურადღება გამახვილებული საკუთარ სეგმენტზე და პოზიციაზე, მაგალითად თუ ბანკი სპეციალიზებულია ეკონომიკის ვიწრო განხრის გეოგრაფიულ არეალში, მკაცრმა გეოგრაფიულმა ლიმიტებმა შესაძლოა ფატალურ შედეგებამდის მიიყვანოს ბანკი; კრედიტების კონცენტრაცია - საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის წახალისება უნდა მოხდეს საკრედიტო პოლიტიკის მიერ, ამასთან ერთად მინიმალურ რისკსა და მაქსიმალურ შემოსავალს შორის ბალანსი დაცული უნდა იყოს ეფექტურობისათვის. მოცემული შეზღუდვის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა დადგინდეს სესხის ის მაქსიმალური ზღვარი სადამდისაც შეუძლია გასცეს ბანკმა სესხის სახით; სესხების სახეობები - მოცემულ შემთხვევაში საკრედიტო პოლიტიკა უნდა ანხორციელებდეს კლასიფიკაციას შეთავაზებული პროდუქციისა თუ მომსახურებისათვის, რომელიც ნომენკლატურულად უნდა იყოს წარმოდგენილი და შექმნას მითითებები სპეციალური სესხებისათვის; სესხის ვადები - საკრედიტო პოლიტიკამ ასევე უნდა გაითვალისწინოს მაქსიმალური ვადა ცალკეული სესხებისათვის და სესხების გაცემა უნდა მოხდეს გრაფიკის რეალური

დაფარვით; სესხის ფასწარმოქმნა - საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს იმ მოცულობის, რომ ბანკის ხარჯები დაიფაროს და ამასთანავე მივიღოთ მოგების სასურველი მოცულობა; რეგისტრაცია სააღრიცხვო ჩანაწერებში - ბანკის ბალანსში ასახული უნდა იყოს როგორც გაცემული ისე მიღებული სესხები; დასუსტება - იმ შემთხვევაში თუ არსებობს რისკი, ხელშეკრულებით გათვლისწინებული თანხის არ მიღების შესახებ, ბანკმა ასეთი სესხები დასუსტებულად უნდა აღიაროს; ინკასაცია - უნდა აღირიცხოს ყველა სახის გადაუხდელი ვალდებულება და წარედგინოს მმართველობას, აქედან გამომდინარე მათ უნდა განსაზღვრონ რისკის ფაქტორები, მოსალოდნიელი დანაკარგები და შესაბამისად სხვა გზების ძიება; ფინანსური ინფორმაცია - ამის საფუძველზე ხდება სესხის რისკიანობის განსაზღვრა, ანუ მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაზე არსებული ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია.

1. როგორც უკვე აღვნიშნე, საკრედიტო რისკების მართვაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საკრედიტო ანალიზს და მომხმარებლის შერჩევის მეთოდთა ერთობლიობით. მოცემული ანალიზის შედეგად ვარკვევთ მსესხებლის შესახებ ინფორმაციას, გადახდისუნარიანობასთან, კრედიტუნარიანობასთან და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით.
2. საკრედიტო ანალიზი რთული პროცესია რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს: 1. სესხის საჭიროების ანალიზს; 2. საწარმოს ფინანსური ანგარიშების ანალიზს; 3. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წინასწარ ანალიზს; 4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი; 5. მთავარი დოკუმენტაციის გაფორმება; 6. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება, რომელიც გარკვეული თანმიმდევრობით ხორციელდება.
3. პირველი ეტაპზე ხორციელდება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება, კერძოდ: აქტივის და პასივის სტრუქტურული ანალიზი; ფულადი ნაკადების მოძრაობის შეფასება; საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზი; და ეფექტური საქმიანობის შეფასება.
4. მეორე ეტაპი შეფასებას უკეთებს მმართველობითი ორგანოს უმაღლესი რგოლის წარმომადგენლებს ისეთ ასპექტებში, როგორიცაა პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, გამოყენებული სტრატეგიები და მათ საფუძველზე მიღებული შედეგები; მესამე ეტაპზე ხდება მსესხებლის სეგმენტისა და კონკურენტების შესწავლა;
5. მეოთხე ეტაპზე გარე გარემოს შესწავლა ხდება, უფრო გლობალურ ასპექტებში, როგორიც არის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები. და ყოველივე ამის შემდეგ საჭიროება საკრედიტო პროდუქტის რისკების შეფასებაში ჩნდება, ასევე აქაც არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ პროდუქტის საკრედიტო რისკზე: საკრედიტო პროდუქტის ვადა. რაც უფრო დიდი დროა

დარჩენილი საკრედიტო პროდუქტის დაფარვამდე, მით უფრო დიდია რისკი და პირიქით; საპროცენტო განაკვეთი; მესამე პირების მიერ მხარდაჭერა;

6. საკრედიტო ოპეაციების ანლიზისას განისაზღვრება კონკრეტული პროცესები, კერძოდ:

- საკრედიტო პროცესის ანალიზი - იმის და მიხედვით თუ როგორ საკრედიტო გადაწყვეტლებას მივიღებთ ეს ქმედება ზეგავლენას მოახდენს, პროცესის მიზნობრიობაზე და სანდოობის ხარისხზე, რაც საბოლოოდ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია რისკის მოსალოდნელი დონისა და შემოსავალს შორის თანაფარდობას შორის. მოცემული პროცესი უნდა მოიცავდეს ყველა იმ ეტაპსა თუ პროცესს რომელიც დაკავშირებულია კრედიტის გაცემასთან, როგორიც არის სხვადასხვა საკრედიტო ინსტრუმენტების შექმნა, შეფასება, დამტკიცება, გაცემა, ინკასაცია და დამუშავება.
- შემდეგი ეტაპი ეს არის, კადრების ანალიზი - ეს ანალიზი მოიცავს ყველა იმ თანამშრომელს, რომელიც საკრედიტო რისკებთან დაკავშირებით რაიმე სახის მონაწილეობას იღებს. დგინდება მათი რაოდენობა, ასაკი, თანამდებობა და კონკრეტული მოვალეობები.
- და ბოლოს, საინფორმაციო ნაკადები - იმისათვის, რომ ინფორმაცია სრაფად და მარტივად გადაადგილდებოდეს საჭიროა სხვადასხვა ანგარიშების მომზადება, რომელიც უნდა წარვუდგინოთ მენეჯმენტს და მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო პორტფელისა და დაქვემდებარებული პირების საქმიანობის შესახებ. მოცემულ ანალიზს შინაარსობრივად და არსობრივად მჭიდრო კავშირი აქვს პერსონალთან, კონტროლის სტრუქტურასთან, ორგანიზაციულ სტრუქტურასთან და ინფორმაციულ ტექნოლოგიების ანალიზთან.

7. **საკრედიტო პორტფელის ხარისხი შეგვიძლია განვსაზღვროთ ანალიტიკურის შეფასების საფუძველზეც.** საკრედიტო პორტფელი მოიცავს ბანკის სეგმენტის ბიზნეს სტრატეგიას, რისკების სტრატეგიას და ბანკის უნარს სესხის გაცემასთან დაკავშირებით. განსახილველია მრავალი ასპექტი, მაგალითად უნდა განისაზღვროს ის სესხები, რომელთაც შეუძლიათ დაფარონ მთლიანი თანხის 70%-ის დაფარვა და მთელი სესხების მოცულობის 30%. უცხოური ვალუტის შემთხვევაში ცოტა განსხვავებულად არის, 1 წელზე მეტი დაფარვის ვადის შემთხვევაში, რომელთაც შეუძლიათ მთლიანი თანხის 75%-ის და სესხების რაოდენობის 50%-ს.მოცემულის გარდა საკრედიტო პორტფეის დაწვრილებითი ანალიზიც გვჭირდება რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ✓ აქციონერებსა და ბანკთან დაკავშირებულ მსესხებლებზე გაცემული ყველა სესხი;
- ✓ ყველა სესხი რომელიც მეტია ბანკის კაპიტალის 5%-ისა;

- ✓ იმ სესხების რომელთა პროცენტის ანძირის დაფარვის ვადა გადაცილდა 30 დღეს;
- ✓ ყველა ისეთი სესხი რომელიც მაღალრისკიანია თავის არასტანდარტულობით, უიმედოობითა თუ საეჭვო ფორმით;
- ✓ ასევე ყველა ისეთი სესხი, რომლის პირობებიც დაფარვის ვადასთან და საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებით შეიცვალა სესხის გაცემის შემდეგ.

8. საკრედიტო პორტფელის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ბანკის შესახებ მთავარ ინფორმაციას, მაგალითად ბანკის საქმიანობის, მათი პრიორიტეტების, საკრედიტო რისკის დიფერენციაციისა და მათი გადაჭრის ხერხების შესახებ.

ჩამოთვლილი ინფორმაციის გარდა ასევე გასათვალისწინებელია და გაანალიზება ჭირდება შემდეგ მოცემულობებს: სესხების ძირითადი ტიპები და ამასთანავე მსესხებლის რაოდენობის განსაზღვრა, გაცემული სესხების ვადიანობა და მათი საპროცენტო განაკვეთი; უნდა განაწილდეს საკრედიტო პორტფელი სხვადასხვა მიმართულებებით; სასესხო გარანტიები სახელმწიფოსა თუ სხვა უზრუნველმყოფელი პირების მხრიდან; ასევე უნად კლასიფიცირდეს რისკები სახეობების მიხედვით, მაგალითად მაღალიდან დაბლისაკენ ან პირიქით; და რა თქმა უნდა პრობლემური სესხები.

დასკვნა. პრობლემური სესხების პორტფელის კუთხით, თუ დეტალურად ჩავუღრმავდებით პრობლემური სესხის არსს, მივიღებთ ასეთ მოცემულობას - პრობლემური სესხი, ეს არის სესხი, რომელსაც არ მოაქვს შემოსავალი. სესხს პრობლემურობის კუთხით განვიხილათ, თუ მისი პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვადა გადაცილდა 90- ს და მეტ დღეს, თუმცა აღნიშნული ვადა განსაზღვრული არ არის და სხვადასხვა კანაონმდებლობით, სხვადასხვა გვარად შეიძლება განისაზღვროს, მაგალითად 30, 90, 180 ან 360 დღიანი ვადაგადაცილება. მოცემული სესხები რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება მთლიანი საკრედიტო პორტფელის ხარისხზე, რაც გავლენას ახდენ ბანკის საკრედიტო გადაწყვეტილებასა და ასევე მის ხარისხზე.

პრობლემური სესხების პორტფელის ანალიზი ასევე უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- ვადაგადაცილებული სესხებისათვის შესაძლებელია შემოებული იქნეს გარკვეული საკლასიფიკაციო ასპექტები, როგორიც არის მაგალითად: მომხმარებლის ტიპი და მისი საქმიანობის სფერო. მსგავსი კრიტერიუმები გვეხმარება ზოგადი ტენდენციების განსაზღვრაში, რაც საბოლოოდ საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი ზეგავლენა მსესხებლებსის მიმართ.
- ყველა სახის ინფორმაცია უნდა გაანალიზდეს პრობლემურ სესხებთან დაკავშირებით, რაც საფუძველს მოგვცემს სიტუაციის გაუმჯობესების

გზების მოძიებისათვის და იმ ხერხების ფორმირებაში დაგვეხმარება რომელიც მეტ ალბათობას მოგვცემს პრობლემური სესხის ამოსაღბად.

- უნდა განისაზღვროს რეზერვების სრული მოცულობა, მისი შეფასებით შეგვიძლია დავადგინოთ თუ რამდენად კარგად უმკლავდება ბანკი საკრედიტო რისკებს.

საკრედიტო პორტფელის ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს სხვადასხვა მიზეზების გამო. ბანკები ხშირად უშვებენ შეცდომებს გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მაგრამ, თუ საქმე გაკოტრებამდის მივიდა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისტემურ პრობლემასთან, რასაც იწვევს ბანკის არასწორი საკრედიტო კულტურა. მოცემული პრობლემებია: პირადი ინტერესები; საკრედიტო პრინციპების გაუთვალისწინებლობა; მოგების მაქსიმიზაციისაკენ სწრაფის მიდრეკილება; კონტროლის ნაკლებულობა; რისკების შეუსაბამო შერჩვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Лаврушин О.И. (2014). Банковское дело. Москва. Финансы и статистика.
2. Риск менеджмент, оценка рисков. http://mdhr.ru/articles/html/article32645.html
3. მ. შიუკაშვილი, ი. აფციაური E-Banking Risks and Its Management, ჟურნალი „ბიზნეს–ინჟინერინგი“, #1, 2015, (გვ.87–91).
4. მ. შიუკაშვილი, ი. აფციაური, Regulating Internet Payment Intermediaries, ჟურნალი „ბიზნეს–ინჟინერინგი“, #1, 2015, (გვ.56-59).
5. Reuters Kondor+ и Systematica Radius – решение по управлению рисками для фронти мидл-офиса. http://www.systematica.ru/articles/detail.php?ID=33.
6. Комплексное решение по управлению рисками SAS. http://www.sas.com

ოპერაციული მენეჯმენტის გამოწვევები თანამედროვე ბიზნესში
Challenges of Operational Management in Modern Business

ნინო არაშვილი - ეკონომიკის მაგისტრი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, სტუ-ს ასისტ. პროფესორი
Aroshvili.n@gmail.com
Nino Aroshvili - Master of Economics, Doctor of Business Administration,
Assistant Professor at GTU, Aroshvili.n@gmail.com

აბსტრაქტი. სტატია ეხება, მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, როგორიცაა: ოპერაციული მენეჯმენტი. ნაშრომში შესწავლილია, ოპერაციული მენეჯმენტის ისტორიული საწყისები და მისი განვითარების ეტაპები.
წინამდებარე სტატიაში განხილულია, ოპერაციული მენეჯმენტის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში და არსებული გამოწვევები. XXI საუკუნეში, ვერ იქნება ბიზნესი წამატებული თუ მას მენეჯმენტის რგოლი სუსტი აქვს, მითუფრო ოპერაციული მენეჯერის არ არსებობამ შესაძლოა ფირმა დარგში წარუმატებელ და კრახისთვის განწირულ ფირმადაც კი აქციოს.
შესწავლილი და გამოვლენილია მსოფლიოს მასშტაბით COVID 19 პანდემიის პირობებში წარმატებული კომპანიები, ვინც სწორი და რაციონალური გადაწყვეტილებებით ოპერაციათა მენეჯმენტში და არა მარტო, ლიდერი პოზიციები დაიკავეს მოდერნიზებულ ბიზნესში.

საკვანძო სიტყვები: ფირმა, ოპერაციული მენეჯმენტი, ოპერაციული სისტემები, ოპერაციული გამოწვევები, მდგრადობა.

Abstract. The paper deals with one of the most important areas of management, such as - operational management. The paper examines the historical beginnings of operational management and the stages of its development.
This article discusses the role and importance of operational management in modern business and the challenges. In the XXI st century, a business cannot thrive if it has a weak management link, and the absence of a mythical operating manager can even make a firm unsuccessful and doomed to failure.
Successful companies under the COVID 19 pandemic have been studied and identified worldwide, who with the right and rational decisions in the management of operations and not only, have taken the leading positions in the modernized business.

Keywords: Firm, Operation Management, Operating systems, Operational challenges, Stability.

შესავალი. დღეისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია მოიძებნოს წარმატებული ფირმა ან ორგანიზაცია რომელიც, მართვის ოპერაციულ სტრატეგიას განსაკუთრებულ ყურადრებას არ აქცვდეს და საქმიანობის მნიშვნელოვან როგოლად არ ქონდეს აღიარებული.
საწარმოო და ოპერაციული სისტემები ყოველთვის არსებობდა, თუმცა, განსხვავდებოდა დღეს არსებული კონფიგურაციისგან. წარმოუდგენელი იყო განვითარების პროცესი წარმოების გარეშე, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიც არის ეგვიპტური პირამიდები, რომის იმპერიის ქალაქები, სთოუნჰენჯი გაერთიანებულ სამეფოში, ჩინეთის დიდი კედელი, აკვედუკები და გზები, გემთმშენებლობის პროგრამები,

რომელიც ესპანური არმადის ზღვაოსნობას წინ უძღოდა და ა.შ. არ მოხდებოდა ოპერაციებთან რაიმე ფორმით დაკავშირებული აზროვნების გარეშე.

ძირითადი ტექსტი. XX საუკუნის ადრეულ პერიოდში იწყება მეცნიერული მენეჯმენტის სკოლის განვითარება, რომელიც დაეფუძნა ამერიკელი ინჟინერის ფრედერიკ ვინსლოუ ტეილორის შრომას „მეცნიერული მენეჯმენტის პრინციპები“.[6] მეცნიერული მენეჯმენტი წარმოადგენდა კონცენტრირებულ შეტევას გაბატონებულ მეთოდზე, რომელიც გამოყენებული იყო საწარმოების მართვაში. ტეილორის, ლილიან და ფრენკ გილბრეთების, ჰენრი განტის შრომები იყო ანალიტიკური ხასიათის და სხვა საკითხთა შორის ყურადღებას ამახვილებდა შრომის სტანდარტების განვითარებასა და შრომის ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე. ტეილორის „მეცნიერული მენეჯმენტის“ მოძღვრება რამდენიმე საბაზისო მეთოდისა და კონცეფციისგან შედგება. უპირველესად უნდა აღსანიშნავია საწარმოო ოპერაციებზე დაკვირვება, მათი ანალიზი და ოპტიმიზირება ქრონომეტრაჟის საშუალებით. ის საკუთარი გამოგონების, წამზომიანი კინოკამერის მეშვეობით იღებდა და შემდეგ დეტალურად აანალიზებდა შრომით პროცესს და ამის საფუძველზე იძლეოდა ცალკეული საწარმოო ოპერაციების ოპტიმიზების რეკომენდაციებს. სწორედ მისი მოძღვრების მეორე უმნიშვნელოვანესი ასპექტი იყო შრომის მასტიმულირებელი ანაზღაურების სისტემის პოპულარიზება. მან შეიმუშავა წარმოების მართვის კონცეფცია, რომელიც სამ თეზისს ემყარება:

- მუშის ყოველდღიური დატვირთვის ნორმა მეცნიერულად უნდა იყოს დასაბუთებული;
- მმართველობითი პერსონალის ფუნქცია წარმოების ნორმატივების, კანონების შემუშავებასა და მათ საწარმოო პროცესში გამოყენებაში მდგომარეობს;
- მუშის ფუნქციაა მმართველობისადმი უსიტყვო მორჩილება.

იმის მიუხედავად, რომ ტეილორს კრიტიკოსები და მოწინააღმდეგეებიც მრავლად ჰყავდა და მისი ზოგიერთი მეთოდის მოქმედების არეალი კანონითაც იყო შეზღუდული, მისი მოძღვრება საფუძვლად დაედო მენეჯმენტის გარშემო არსებული კვლევების პროცესს, რომელიც დღემდე ინტენსიურად გრძელდება. მის მიმდევართა შორის აღსანიშნავნი არიან ცოლ-ქმარი ფრენკ და ლილიან გილბრეთები, ჰენრი განტი, ჰარინგთონ ემერსონი მათ, ასევე დიდი როლი შეასრულეს ოპერაციული მენეჯმენტის განვითარებაში.

---

[6] F. W. Taylor - the Principles of Scientific Management. New York and London, Harper & brothers. 1911

უნდა აღინიშნოს ოპერაციული მენეჯმენტის განვითარების მხრივ მეორე მსოფლიო ომის ფაქტორი აშშ-ის მრეწველობაში. ეს იყო უდიდესი სამრეწველო პროექტების პერიოდი, როდესაც აუცილებელი გახდა ტვირთების მნიშვნელოვანი ნაკადების, ფართომასშტაბიანი წარმოების განხორციელება. ამისთვის საჭირო გახდა სამი განსხვავებული მეცნიერთა ჯგუფის - მათემატიკოსების, ფსიქოლოგების და ეკონომისტების მონაწილეობა. მათი თანამშრომლობის რეზულტატს წარმოადგენდა რაოდენობრივად განსაზღვრული ოპტიმალური გადაწყვეტილებები. სწორედ ამ ტიპის ურთიერთქმედებამ შექმნა ოპერაციული მენეჯმენტის პირობები, მისი სამეცნიერო დისციპლინის საბოლოოდ განვითარებისთვის.[7] დღეისათვის, ოპერაციულ მენეჯმენტში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასშტაბური ინოვაცია უპირობოდ ხარისხის ტოტალური მართვაა (TQM – Total Quality Management), მისი მთავარი არსი მდგომარეობს შემდგომში: საწარმოში უნდა ხორციელდებოდეს სამი კომპონენტი - პროდუქციის, პროცესების ხარისხის და პერსონალის კვალიფიკაციის პერმანენტური ზრდა/განვითარება. 90-იანი წლების დასაწყისიდან ბიზნესი ბევრი გამოწვევის წინაშე იდგა, რომელთაგან უმთავრესია გარემოში მიმდინარე მრავალმხრივი ცვლილებები და კონკურენციის მძაფრი განცდა. ასეთ პირობებში, ზოგიერთმა კომპანიამ გადარჩენისთვის, ნაცვლად ხარისხის მართვის დოქტრინისა, რომელიც ევოლუციურ ცვლილებებს გულისხმობდა, აირჩია ცვლილების რევოლუციური გზა, რომელიც ცნობილია ბიზნეს საქმიანობის რეინჟინერინგის სახელით. დღესდღეობით წარმოების და ოპერაციულობის მენეჯმენტის ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი გახდა აუთსორსინგი (Outsourcing) რომელიც ბიზნეს სექტროში დამკვიდრდა, როგორც ორგანიზაციის მიერ საკუთარი ბიზნეს-აქტივობების ან საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტის ფუნქციების გარე სტრუქტურისათვის (სხვა ორგანიზაციისათვის) გადაცემა. ბიზნეს სექტორში მიმდინარე ცვლილებები დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს ზოგადად საწარმოებს და მათ ოპერაციულ მენეჯმენტს. კონკურენციის ზრდამ და საერთო სოციალური ფონის გაუმჯობსებამ, მომხმარებელი განსაკუთრებით მომთხოვნი გახადა. ამის შედეგია ე.წ. ქასთომიზაციის პროცესი,[8] რაც გულისხმობს ინდივიდუალურად დაკვეთილი პროდუქციის მასშტაბურ წარმოებას. ამ ფორმით წარმოებული პროდუქცია, ერთის მხრივ მომხმარებელთა მოთხოვნებს პასუხობს და

[7] Elliot Bendoly - he Handbook of Behavioral Operations Management: Social and Psychological Dynamies in Production and Service Settings, 2017

[8] Steve Paton - Operations Management, 2019.

მეორეს მხრივ, საკმაოდ იაფია, როგორც მთლიანად ინდივიდუალიზებული საქონელი.

XXI საუკუნეში ბიზნეს საქმიანობის დროს ოპერაციული მენეჯმენტის გამოწვევების გადალახვა უწეთ კომპანიებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არც თუ ისე ადვილია და რთულადაა სინთეზირებული არსებულ საწარმოო ჯაჭვთან.

მსურს განვიხილო ის საკვანძო გამოწვევები, რომლებიც ბიზნეს საქმიანობის დროს გვხვდება ოპერაციულ მენეჯმენტში.

- ფულადი სახსრების მოძრაობის მართვა - ეს საკითხი მცირე ბიზნესში არც თუ ისე იშვიათია. ოპერაციულ მენეჯერებს უწევთ ქირის/იჯარის, დაზღვევის საკითხებიდან დაწყებული, კომუნალური გადასახადებით დამთავრეული ფულადი ნაკადების მოძრაობის გაკონტროლება. მცირე ბიზნესის ოპერაციული მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის ფულადი სახსრების რეგულარული ნაკადის საკმარისი უზრუნველყოფა;
- კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნება - მძაფრი კონკურენციის პირობებში და მითუფრო არსებული პანდემიის ფონზე, შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით საკმაოდ დიდი გამოწვევაა;
- სწორი პერსონალის დაქირავება და შენარჩუნება - ოპერაციული მენჯერის გადაწყვეტილებით ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლის აყვანა და ადექვატურ პოზიციაზე დანიშვნა, რათა პროცესს (რომელსაც ოპერაციული მენეჯერი ხელმძღვანელობს) ხელი არ შეეშალოს და მითუფრო არ შეერდეს. მნიშვნელოვანია თანამშრომლის შენარჩუნება სათანადო პირობების შეთავაზებითა და შესრულებით;
- შესაბამისობისა და წესების დაცვა - ოპერაციების მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი საკითხია შესაბამისობის წესების დაცვა. ბევრ ინდუსტრიაში, როგორებიცაა: კვების მომსახურება (სარესტორნო ბიზნესი), საცალო ვაჭრობა და ჯანდაცვა, მკაცრი კანონები და რეგულაციები არსებობს, რომლებიც ბიზნესში უნდა დაიცვან. ამ მითითებების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ძვირადღირებული ჯარიმები. [9]

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ოპერაციათა მენეჯმენტის სისტემატიური ხასიათის გამოწვევებია:

- გლობალიზაცია - ავსტრალიაში კერტინის უნივერსიტეტის ბუღალტერიის პროფესორი ტიშტა ბაჩო განმარტავს, რომ კომპანიებს, რომლებიც უცხოეთში კონკურენციას გაუწევენ სხვებს, ხარისხის გაუმჯობესება და ფასების შემცირება მოუწევთ, რომ კონკურენტუნარიანები

[9] https://bizfluent.com/about-6383265-purpose-management-training.html

დარჩნენ. აღნიშნულის განხორციელება ეკისრება ოპერაციების მენეჯერს, რადგან ის არის ის, ვინც "მონაწილეობს დაგეგმვის, ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და კონტროლის ოთხ ფუნქციას, რათა უზრუნველყოს, რომ პროდუქტი ან მომსახურება დარჩეს კონკურენტუნარიანი ბაზარზე". ბაჩტუ დასძენს, რომ ოპერაციების მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს მათი შემოქმედებითი უნარები, რადგან ინოვაცია წარმატების მთავარი ფაქტორი იქნება, ისევე როგორც ცოდნა საერთაშორისო ბიზნესის და ბიზნესის უამრავი კულტურის შესახებ მთელს მსოფლიოში.[10]

- მდგრადობა - მდგრადობის კონცეფციის განხილვისას მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მდგრადობის სამ სვეტს, რომლებიც არის სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური. ოპერაციების მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ თითოეული სვეტის შედეგები, მათ შორის, თუ როგორ მოქმედებს მათი სამუშაო უსაფრთხოებაზე, კეთილდღეობაზე, გარემოზე და ეკონომიკურ მდგრადობაზე.
- არაეფექტური კომუნიკაცია - კომუნიკაციისას თანმიმდევრულობა და ეფექტიანობა შეიძლება გაუჭირდეს ორგანიზაციის ნებისმიერ თანამდებობაზე მყოფ ნებისმიერ პირს. ოპერაციების მენეჯერის გამოწვევაა ყველა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობა. იქნება ეს საუბარი ვინმესთან ქარხნის იატაკზე, ან საბჭოს დარბაზში, მათ უნდა შეეძლოთ ეფექტურად მოახდინონ თავიანთი გზავნილის კომუნიკაცია, ასევე იმუშაონ ზეპირი, წერილობითი და არავერბალური კომუნიკაციით ყოველდღიური ოპერაციების შეუფერხებლად წარმართვაში.
- სისტემის დიზაინი - ოპერაციების საკვანძო საკითხებში, ბლოგში, სადაც მოცემულია სისტემის დიზაინისა და ოპერაციული მენეჯმენტის ურთიერთმიმართება, მთავარი თემაა ის, რომ ორგანიზაციებმა უნდა განავითარონ სისტემები, რომლებსაც შეეძლებათ "წარმოადგინონ ხარისხიანი საქონელი და მომსახურება მოთხოვნადი რაოდენობით მისაღები ვადებში". სისტემის დაპროექტება, სისტემის დაგეგმვა და სისტემის მართვა მრავალფეროვანი გამოწვევების წინაშე დგება თუნდაც ყველაზე საზრიანი ოპერაციების მენეჯერებისთვის. როგორც ოპერაციების მენეჯერები მუშაობენ მულტიდისციპლინარულ გარემოში, მათ უნდა იცოდნენ და ეფექტურად უპასუხონ გლობალიზაციის, მდგრადობის, ეთიკური ქცევის, ეფექტური კომუნიკაციისა და სისტემის დიზაინის გამოწვეულ გამოწვევებს.

[10] https://online.kettering.edu/news/2016/10/18/what-are-5-current-challenges-operations-management

დღეს არსებული მსოფლიო COVID-19-ის პანდემია, კომპანიებს კიდევ უფრო მძფირი გამოწვევების წინაშე აყენებს. ონლაინ კომუნიკაციამ პირველ ადგილზე გააინაცვლა და ოპერაციათა მენეჯერებსაც შესაბამისი სერვისების განხორციელება უწევთ, როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე ოპერირეისათვის.

მსოფლიოს მსხვილი კომპანიების ტოპ მენჯერების მხრიდან COVID-19-ის პანდემიის გამოწვევების დასაძლევად შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით ახალ რელსებზე გადაეწყვნენ.

COVID-19-ი გლობალურად ხდენს გავლენას ბიზნესზე, მიწოდების ჯაჭვზე წარმოებისა და მომსახურების სფეროებზე, ტურიზმზე და ა.შ. ოპერაციათა მენეჯერებს სერიოზული გამოწვევების გადალახვა უწევთ პანდემიის პირობებში.

პანდემიის გამოცხადებიდან ოთხი თვის შემდეგ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები მსოფლიოში ყველაზე დაზარალებულ დარგებს ასახელებენ. მომსახურების სექტორი - კვება, სასტუმროები და ტურიზმი - ეს იმ ბიზნესსაქმიანობების ჩამონათვალია, რომელთა მეხუთედი საქმიანობას თითქმის სრულად წყვეტს. აზიის განვითარების ბანკის პროგნოზით, გლობალური ეკონომიკა წელს რამდენიმე ტრილიონ დოლარს იზარალებს. ვირუსისგან გამოწვეული მსოფლიო ეკონომიკური გარდაქმნა საქართველოზე უკვე აისახა. ტურიზმის სექტორი, რომელსაც ქვეყანაში ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი შემოჰქონდა, დღეს, ფაქტობრივად, გაჩერებულია. ტურიზმის ასოციაციაში აცხადებენ, რომ ბაზარზე არსებული კომპანიების გადასარჩენად მნიშვნელოვანია, სამთავრობო სუბსიდირების პროგრამა დროულად ამოქმედდეს.

მიუხედავად გლობალური პანდემიისა მსოფლიოში არსებობს ტოპ 10 ფირმა, რომელმაც ჯერ-ჯერობით წარმატებით გაართვა თავი პანდემიით მიღებულ გამოწვევებს და ოპერაციული მენეჯმენტის დანხორციელების მხრივ სანიმუშო მაგალითები არიან:

ოპერაციული მენეჯმენტის ტოპ საუკეთესო კომპანიები[11]

კომპანია	ქვეყანა	საქმიანობის მოკლე აღწერა
SERVICETITAN	აშშ	კომპანია ახორციელებს მობილურ, ღრუბლოვან პროგრამულ უზრუნველყოფას.
ATOS	საფრანგეთი	კომპანია არის ლიდერი ციფრული სერვისების ფორმატში და მომხმარებელს სთავაზობს საკონსუ-ლტაციო და სისტემური ინტეგრაციის სერვისებს.

[11] https://www.ventureradar.com

UPTAKE NETWORKS	აშშ	პროგრამული უზრუნველოფის კომპანია.
ALTRAN TECHN	საფანგეთი	კომპანია არის ინჟინერინგის და R&D სერვისის გლობალური ლიდერი.
BRIGHTEDGE	აშშ	კომპანია ასრულებს მონაცემთა ანალიზს და შეუძლია ქსელის რეალურ დროში გახსნა, ასევე შინაარსის ჩართულობის გაზომვა და ძებნა ყველა ციფრულ არხზე.
MICROSOFT	აშშ	კომპანია ახორციელებს IT პროგრამული უზრუნველყოფას, ქმნის ლიცენზირებულ პერსონალური პროგრამებს.
TIPALTI	აშშ	კომპანია უზრუნველყოფს, გადასახდელი დავალიანების ავტომატიზაციას, გლობალური ანგარიშების გადასახდელი სამუშაო პროცესის ყველა ფაზის გამარტივების მიზნით, ერთ ჰოლისტიკურ ღრუბლოვან პლათფორმაში.
TALEND	აშშ	კომპანია უზრუნველყოფს, გლობალური მონაცემების ინტეგრაციას; მცირე პროექტებიდან დაწყებული, წარმოების განხორციელებით დამთვრებული.
GENERAL ELECTRIC	აშშ	კომპანია არის ტექნოლოგიური და ფინანასური მომსახურების, რომელიც ავითარებს და აწარმოებს პროდუქტებს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისტრიბუციის, კონტროლისა და გამოყენებისათვის
DELIVEROO	დიდი ბრიტანეთი	კომპანია არის მზა საკვების რესტორნიდან სახლში ან ოფისში მიტანის სერვისის განახორციელებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. F. W. Taylor - The Principles of Scientific Management. New York and London, Harper & brothers. 1911
2. Elliot Bendoly - he Handbook of Behavioral Operations Management: Social and Psychological Dynamies in Production and Service Settings 2017.
3. Steve Paton - Operations Management 2019.
4. https://bizfluent.com/about-6383265-purpose-management-training.html
5. https://online.kettering.edu/news/2016/10/18/what-are-5-current-challenges-operations-management
6. https://www.ventureradar.com

აგროტურიზმის განვითარების პერსპერტივები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში
Prospects for Agro-tourism Development in Samtskhe- Javakheti Region

მანანა ვასაძე - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, manavasadze@yahoo.com

Manana Vasadze - Doctor of Economics, Associate Professor of
Georgian Technical University, manavasadze@yahoo.com

აბსტრაქტი. ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრების სურვილმა, ნატურალური საკვები პროდუქტის მიღებამ, ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვამ, სოფლის მეურნეობაში მწარმოებლების მხარდაჭერამ პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, ქალაქსა და სოფელად ცხოვრების დონეს შორის დიფერენციის გათანაბრებამ განაპირობა აგროტურიზმის პოპულარობის ზრდა მთელ მსოფლიოში. აგროტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა, რომელსაც შესწევს ძალა დადებითი გავლენა მოახდინოს რეგიონის მდგრად განვითარებაზე და ეკონომიკური სარგებლის მიღებაზე. აგროტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის, სოფლის მეურნობის განვითარების, ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს შექმნის, კეთილდღეობის ამაღლების და მიგრაციის დაძლევის საუკეთესო საშუალებაა. საქართველოში სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია მრავალფეროვანი ბუნებით და ლანდშაფტით, ფლორისა და ფაუნის ენდემური ჯიშების სიუხვით, სამკურნალო მცენარეების ნაირსახეობებით. საქართველოს ამ რეგიონში მიგრაციის და უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. არსებული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად აგროტურიზმის განვითარების ხელისშეწყობა მიგვაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ უკვე არსებობს ანალოგიური პრობლემების მოგვარების ევროპული გამოცდილება. სამცხე-ჯავახეთში აგროტურიზმის განვითარების პოტენციალის გამოსაკვლევად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა აგროტურისტული სეგმენტის ჩართულობით. კვლევამ გვიჩვენა, რომ რეგიონში აგროტურიზმის განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ადგილობრივი მოსახლეობის არასაკმარისი ცოდნაა ამ მიმართულებით. თუმცა, გამოიკვეთა ორი სახის აქტივობა (ძირითადი და არჩევითი), რომელთა საშუალებით რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის აგროტურიზმში ჩართულობაა შესაძლებელი. ამ და ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით მიზანშეწონილია შემუშავდეს აგროტურიზმის რეგიონული პოლიტიკა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით და ევროპული გამოცდილების გაზიარებით.

საკვანძო სიტყვები: აგროტურიზმი, ეკოლოგიური ფაქტორი, ღვინის მარანი, განთავსების ობიექტი, სოფლის ტურიზმი.

Abstract. The desire to live in harmony with nature, the acceptance of natural food products, protection of nature and cultural heritage, support of producers in agriculture product marketing, reduction of the differentiation between urban and rural living standards have led to growing Agro-tourism worldwide. Agro-tourism is one of the promising areas of tourism, which has a positive impact on the sustainable development and the economic benefits of the region. Agro-tourism is the best way to boost the country's economic stability, develop agriculture, create an additional source of income for the local population, increase prosperity and tackle migration. Samtskhe-Javakheti region in Georgia is one of the distinctive regions with diverse nature and landscape, abundance of endemic species of flora and fauna, a variety of

medicinal plants. The level of migration and unemployment in this region of Georgia is quite high and requires special attention. One of the ways to solve the existing problems is to promote the development of Agro-tourism, the European experience in solving similar problems. Quantitative research involving the agro-tourism segment was conducted to investigate the potential of agro-tourism development in Samtskhe-Javakheti. The study showed that the main obstacle to the development of agro-tourism in the region is the lack of knowledge of the local population in this area. However, two types of activities (Basic/Classical and Optional) have been identified, which enable the involvement of the local population in Agro-tourism. Taking into account these and many other factors, it is advisable to develop a regional agro-tourism policy with strategic goals and objectives, involving the local population and sharing European experience.

Keywords: Agrotourism, Ecological Factor, Wine Cellar, Accommodation Facility, Rural Tourism

შესავალი. აგროტურიზმი - განვითარების ხანმოკლე ისტორიის მიუხედავად დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში. ამის მიზეზი მრავალი დადებითი ეკონომიკური, სოციალურ- ფსიქოლოგიური და ეკოლოგიური ფაქტორებია, რომელსაც აგროტურიზმი ახდენს იმ ადგილმდებარეობაზე, სადაც იგი განვითარებულია. ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრების სურვილი, ნატურალური საკვები პროდუქტის მიღება, ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სოფლის მეურნეობაში მწარმოებლების მხარდაჭერა პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, ქალაქსა და სოფელად ცხოვრების დონეს შორის დიფერენციის გათანაბრება და კიდევ მრავალი ფაქტორი განაპირობებს აგროტურიზმის პოპურარობის ზრდას მთელ მსოფლიოში. აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი მიმართულება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, კერძოდ, 1972 წლიდან გვევლინება. ამ მიმართულებით ლიდერი ქვეყნებია: იტალია, საფრანგეთი, ხორვატია, შვეიცარია, საბერძნეთი, კვიპროსი და სხვ.

ტურიზმის ამ დარგის ცნება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც განპირობებულია აგროტურიზმის განვითარების თითოეული ქვეყნისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, რაც, პირველ რიგში, აგროტურიზმის ტერმინის განსხვავებულ ინტერპრეტაციას გულისხმობს (Rural Tourism; Bauernhoftourismus; Agritourism ; Farm Tourism)

ტერმინის მსგავსად აგროტურიზმის დეფინიცია სხვადასხვაგვარია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. არსებობს აგროტურიზმის სხვადასხვა ექსპერტების დეფინიცია. მაგალითად:

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) ექსპერტი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ედვარდ ინსკიპიის განმარტებით „აგროტურიზმი არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით, სოფლის ან ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციების და სოფლის ცხოვრების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და

მმართველები სოფლის მცხოვრებლები არიან. ფერმერული ანუ აგროტურიზმი გულისხმობს ტურისტების განთავსებას თვით ფერმერთა სახლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაცნობის მიზნით, ან ცხოვრებას მათ პლანტაციებში ან ექაური ცხოვრების გაცნობის მიზნით, ან ცხოვრებას მეთევზეთა დასახლებებში და ოჯახებში და მათთან ერთად სათევზაოდ სიარულს.“ (Inskeep,1991)

ხშირად აგროტურიზმს სოფლის ტურიზმთან აიგივებენ, რაც ნაწილობრივ შეესაბამება სინამდვილეს, თუმცა, აგროტურიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც სოფლის ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულება. აგროტურისტების მოგზაურობის მთავარი მოტივაციაა მოწყდნენ ზედმეტად ურბანიზებულ გარემოს, გაეცნონ სოფლის ყოფას და ადგილობრივ ტრადიციებს, იცხოვრონ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ბუნებასთან დაახლოების გზით, მიიღონ ადგილობრივი და ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტი (Rohana, 2017)

დღეს აგროტურიზმი ერთ-ერთი პერსპექტიული ტურიზმის მიმართულებაა, რომელსაც შესწევს ძალა დადებითი გავლენა მოახდინოს ტერიტორიის მდგრად განვითარებაზე და ეკონომიური სარგებლის მიღებაზე. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში აგროტურიზმი მეორე ადგილს იკავებს ზღვაზე დასვენების შემდგომ. აგროტურიზმის წილი 10-12%-დნ 20-30%-მდე მერყეობს. (Слинкова, 2017).

გამომდინარე იქიდან, რომ აგროტურიზმი ფართო და მრავალფეროვანი სფეროა თითოეულ ქვეყანაში იგი განსხვავებულად არის განვითრებული. მაგალითად, არსებობს აგროტურიზმის რამოდენიმე მოდელი: ბრიტანული, გერმანული, იტალიური, ბულგარული, კვიპროსზე შემუშავებულია აგროტურიზმის განვითარების სპეციალური პროგრამა. აგროტურიზმი მოცემულ ქვეყნებში წარმოადგენს არა მხოლოდ ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას, არამედ, იგი არის რეგიონის და, შესაბამისად, ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითრების მნიშვნელოვანი ელემენტი, რადგან ამ დარგს ეკონომიკური კრიზისიც კი ვერაფერს აკლებს. მაგალითად, იტალიაში 2008 წლის კრიზისმა შეამცირა სხვადასხვა სფეროს შემოსავალი, მაგრამ აგროტურიზმში ჩართული ფერმერების შემოსავალი უცვლელი დარჩა. მსოფლიოში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის 20%-დან 40%-მდე სწორედ სოფლის ტურიზმის წილზე მოდის.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია მრვალფეროვანი ბუნებით და ლანდშაფტით, ფლორისა და ფაუნის ენდემური ჯიშების სიუხვით, სამკურნალო მცენარეების ნაირსახეობებით (დუნდუა & ხარტიშვილი, 2012). აქ მდებარეობს კავკასიის პირველი ეროვნული პარკი - ბორჯომ-ხარაგაული, მისი ფართობია 107.083 ჰა (www.apa.ge). ბევრგან მთის ტყეები ხელუხლებელი და თავდაპირველი

სახით არის შემორჩენილი. რეგიონის კულტურულ მემკვიდრეობას კულტურის აკვანს უწოდებენ. არანაკლებ საინტერესოა რეგიონი არქეოლოგიური თვალსაზრისით. დღემდე არის შემორჩენილი უძველესი ყოფის ამსახველი ტრადიციული ძეგლები: ერდოიანი დარბაზული ტიპის ან მიწური სახლები სოფლებში: საროში, თოკში, ბარალეთში, ობარეთში, ზველში, ნიჯგორში, ხიზივბარში, აფნიანში, გოგაშენში, უდეში, არალში, ვალეში. რეგიონში არსებობს ხალხური მკურნალობის მდიდარი ტრადიციები. დღემდე აღინიშნება მრავალი სახალხო, რელიგიური და საერო დღესასწაული. მაგალითად, შოთაობა, ვარძიობა, ბერიკაობა, ელიობა და სხვ. რეგიონი გამორჩეულია საინტერესო ლეგენდებით, ზღაპრებით. მაგალითად, ფარავნის ტბის ლეგენდა, ლეგენდა თამარის წყაროზე. რეგიონი გამორჩეულია ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. ძირითად მოსახლეობას სომხური მოსახლეობა, დაახლოებით 95% შეადგენს (www.geostst.ge) ნინოწმინდის რამოდენიმე სოფელში ცხოვრობს რუსული მოსახლეობა, დაახლოებით 200 ოჯახი გორელოვკაში, სადაც განთავსებულია მათი ეთნოგრაფიული მუზეუმი.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით სამცხე-ჯავახეთის მიგრაციის პროცესი ყოველწლიურად იზრდება. სოფლის მოსახლეობა ყოველწლიურად საშუალოდ 1.3%-ით იკლებს. მაგალითად, 2018 წელთნ შედარებით 2019 წელს სოფლის მოსახლეობამ 1.8%-ით იკლო. 2017 წელს სამცხე-ჯავახეთში უმუშევრთა რაოდენობა 5.9 ათასიდან 2018 წელს 6.8 ათასამდე გაიზარდა. აშკარაა, რომ რეგიონში ამ მიმართულებით მდგომარეობა საგანგაშოა. არსებული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად აგროტურიზმის განვითარების ხელისშეწყობა მიგვაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ უკვე არსებობს ანალოგიური პრობლემების მოგვარების ევროპული გამოცდილება.

ლიტერატურის ანალიზი. „აგროტურიზმი არის ბიზნესი, რომელსაც აწარმოებს ფერმერი ან რანჩოს მფლობელი პროდუქციის პოპულარიზაციისა და დამატებითი შემოსავლის წყაროს მიღების მიზნით“ (Rohana, 2017).

თუ აგროტურიზმს განვიხილავთ როგორც სოფლის ტურიზმის ერთ-ერთ მიმართულებას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აგროტურიზმი კომბინირებული სახით მოიცავს დასვენების რამოდენიმე ტიპს: სასოფლო-სამეურნეო/აგროტურიზმი, სპორტული, კულინარიული, ეთნოგრაფიული, შემეცნებითი და სათავგადასავლო ტურიზმის სახეობას. შესაბამისად:

„ნებისმიერი დანიშნულების ადგილის, მათ შორის აგროტურისტული დანიშნულების ადგილის, მიმზიდველობა დამოკიდებულია ელემენტარულ ცვლადებზე და ფაქტორებზე, როგორიცაა ტურისტული პროდუქტის განვითარებისთვის აუცილებელი ძირითადი ელემენტები: განთავსება, ტურისტული დესტინაციის მიმზიდველობა, გარემო და

სოციალურ-კულტურული ელემენტები, ინფრასტრუქტურული ობიექტები; პოლიტიკური სტაბილურობა; ადგილობრივთა მონაწილეობა ტურიზმში; რეკლამა; მარკეტინგი; ინფორმაციული სისტემა. (Zunic, 2020, გვ. 111)

„აგროტურიზმი არის სოფლის განმტკიცების, იმპროვიზაციისა და აზროვნების, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა“. (Zunic, 2020, გვ .115).

„კულინარიული ტურიზმი წარმოადგენს აგროტურიზმის ქვეჯგუფს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მომზადებული საკვებისა და სასმელის მიღებასა და სიამოვნებაზე (ვახშამი და თეატრის პაკეტი; კულინარიული სკოლები და სემინარები; კვების ფესტივალები; ადგილობრივი პროდუქტების დაგემოვნება / ყიდვა; ცნობილი ბაზრები; ტურები: ღვინის ტური,/ ტური ლუდის ქარხანაში). „(Zunic, 2020, გვ. 113)

„აგროტურიზმი განვითარებულია მეღვინეობის რეგიონებში, მაგალითად, იტალიასა და ესპანეთში. ამერიკაში აგროტურიზმი ფართოდ არის გავრცელებული და მოიცავს ნებისმიერ ფერმას, რომელიც ღიაა საზოგადოებისთვის წელიწადის განმავლობაში“. (Zunic, 2020, გვ. 111)

„ნებისმიერი ტური საქართველოში მოიცავს ტრადიციულ ღვინის დეგუსტაციას მარანში, რომელსაც თან ახლავს ქართული ტრადიციული სუფრა თამადასთან (სადღეგრძელოს ოსტატი). ამიტომ სუფრა (დღესასწაული) საქართველოში ტრადიციული ღონისძიებაა, რომელშიც სტუმრები მონაწილეობენ როგორც მაყურებლები, ასევე მონაწილეები“. (Vasadze&Baqanidze 2020, გვ. 28). შესაბამისად, სუფრა შეიძლება განისაზღვროს როგორც ადგილობრივი საზოგადოების ბაზაზე დაფუძნებული ღონისძიება (სპეციალურად შექმნილი/დაგეგმილი ვიზიტორებისთვის), რომელიც შედგება ოთხი ავთენტური კულტურული ელემენტისგან: გასტრონომია (საკვები და ღვინო), ფოლკლორი და დანიშნული/არჩეული სადღეგრძელოების ოსტატი (ღონისძიების დირიჟორი/თამადა); ღონისძიება, სადაც ტურისტები შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ მაყურებლები, არამედ ღონისძიების მონაწილეებიც. (Vasadze & Baqanidze, 2020).

ვან დერ პლოგისა და სხვ. აზრით (2000) სოფლის მეურნეობა, სხვა საქმიანობებთან ერთად, გახდა საყოველთაოდ მიღებული საარსებო სტრატეგია სოფლის ოჯახებისთვის, რაც მათ საშუალებას აძლევს, საუკეთესოდ გამოიყენონ სოფლის მეურნეობისა და შრომის ბაზრის მიერ შემოთავაზებული მრავალჯერადი შესაძლებლობები.

კვლევა და შედეგები. სამცხე-ჯავახეთში აგროტურიზმის განვითარების პოტენციალის გამოსაკვლევად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა აგროტურისტული სეგმენტების ჩართულობით: საოჯახო სასტუმროები(25),

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (39) და ღვინის მარნები (3). კვლევა მოიცავდა ელექტრონულ გამოკითხვას წინასწარ შემუშავებული კითხვარის ფორმის მიხედვით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 67 რესპონდენტმა.

კითხვარში დასმული შეკითხვები ეხებოდა რეგიონის უპირატესობებს აგროტურისტული მიმართულებით. განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა, რომელთა რიცხვი რეგიონში საკმოდ შთამბეჭდავია (185).

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ გამოკითხული 39 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივიდან 78.5% გამოხატავს მზაობას მონაწილეობა მიიღოს ტურისტებისათვის დაგეგმილ სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში. იგივე კოოპერატივების უმეტესი ნაწილი (43%) გეგმავს განთავსების საშუალებების განვითარების შესაძლებლობას.

კლევამ გვიჩვენა, რომ რეგიონში აგროტურიზმის განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია ადგილობრივი მოსახლეობის არასაკმარისი ცოდნა ამ მიმართულებით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საჭიროა:

- რეგიონის ბუნებრივი და კულტურული რესურსების გამოყენება/წარმოჩინება
- დარგის შესახებ ადგილობრივთა ცნობიერების ამაღლება
- რეგიონის უზრუნველყოფა შესაბამისი ინფრასტრუქტურით
- სამცხე-ჯავახეთის, როგორც უნიკალური აგროტურისტული რეგიონის გამოფენებზე წარდგენა
- ახალი, განსხვავებული აგროტურისტული პროდუქტის შეთავაზება
- საოჯახო სასტუმროების განვითარება

დასკვნა. ლიტერატურის ანალიზისა და კვლევის შედეგებიდან გამომდინარე რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის აგროტურიზმში ჩართულობის შესაძლებლობათა ალგორითმი გამოიხატება შემდეგ აქტივობებში:

1. ძირითადი/კლასიკური აქტივობა (AGT) = სასოფლო-სამეურნეო მეურნეობა/კოოპერატივი(F) + საოჯახო სასტუმრო (H)

AGT=F+H

2. არჩევითი/დამატებითი აქტივობა (Alt) = ღვინის მარანი/გასტრონომია (VG) / ხალხური რეწვის მასტერკლასი (LC)/ ჰობი (Hob) და სხვ. აქტივობები (N)

Alt= (VG+ LC+ Hob + N)

შესაბამისად, აგროტურიზმის აქტივობათა ნაკრებმა შესაძლოა მოიცვას როგორც კლასიკური/ძირითადი აქტივობა, ასევე დამატებითი/ არჩევითი აქტივობები:

AGT= (F+H) + (Alt)

აგროტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის, სოფლის მეურნობის განვითარების, ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს შექმნის, კეთილდღეობის ამაღლების და მიგრაციის დაძლევის საუკეთესო საშუალებაა. აგროტურიზმი „ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, რაც მისაღებია ადგილობრივი საზოგადოებისთვის“ (Rohana,2 017). ამ და ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით მიზანშეწონილია შემუშავდეს აგროტურიზმის რეგიონული პოლიტიკა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით და ევროპული გამოცდილების გაზიარებით, რადგან „ადგილობრივი თემებისათვის ინვესტიცია და სარგებელი ძალზე მნიშვნელოვანია“ (Rohana, 2017).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, თბილისი, 2015
2. დუნდუა თამაზ, ხარტიშვილი ლელა, სამცხე-ჯავახეთის გზამკვლევი, ასოციაცია „ელკანა“, თბილისი, 2012
3. Inskeep E. Tourism Planning: an Intagrated and Sustainable Development Approach, 1st Edition Willey, 1991
4. Rohana P Mahaliyanaarachchi, Agri Tourism Segment of Rural Tourism. Department of Agribusiness Management, Departmnt of Agricultural Sciences, Sabaragamuwa University of Sri Lanka Belihuloya. 70140 Sri Lanka, 2017.
5. Van Der Ploeg J.D, Renting H, Brunori G, Knickel K, Mannion J, Marsden K, Kees de Roest, Gusman E.S, &Ventura F *Rural Development: From Practices and Policies towards Theory*", Published by Blackwell Publishers,108 Cowley Road, Oxford OX4 1JF, UK350 Main Street, Malden, MA02148, USASociologia Ruralis, Vol 40, Number 4, October 2000©European Society for Rural SociologyISSN 0038–0199
6. Vasadze M.,Baqanidze T. "Georgian Supra – Traditional Approach to Tourism Social Sustainability". WEB of Scollars ISSN 2518 -167X, RS Global, 3(45) , March 2020, DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_wos/31032020/7004
7. Zunic L., *The impact of agritourism on sustainable development of Bosnia and Herzegovina.* Available from: https://www.researchgate.net/publication/268289486_THE_IMPACT_OF_AGRITOURISM_ON_SUSTAINABLE_DEVELOPMENT_OF_BOSNIA_AND_HERZEGOVINA [accessed Sep 04 2020]. pp.109-120
8. Слинкова О. К. Агротуризм в системе мирового туристского рынкаю. Научный результат Технологии бизнеса и сервиса. НИУ БелГУ, 2017. Стр. 75
9. www.apa.ge
10. www.geostat.ge

კონფლიქტური სიტუაციების მართვა სასტუმრო ინდუსტრიაში
Managing of Conflict Situations in the Hotel Industry

ნინო აქიმიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი, ninoakimishvili@yahoo.com

Nino Akimishvili - PhD student, Faculty of Business Technologies, Georgian Technical University, ninoakimishvili@yahoo.com

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია სასტუმრო ინდუსტრიაში წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაციების მართვის ტექნოლოგიები. მასთან კავშირში სასტუმროს სტუმართა პროფილების ფსიქოლოგიური კლასიფიკაციის ნიშნები. სასტუმრო ინდუსტრიაში საჩივრების რაოდენობის ზრდის ფაქტორები. სასტუმრო ბიზნესში წარმოშობილი პრეტენზიათა პირობითი კატეგორიები და წარმოშობილი საჩივრების განხილვის დადგენილი წესები.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტური სიტუაცია, სასტუმრო ინდუსტრია, სტუმარი, ფსიქოლოგიური მომსახურება, ბიზნესი, საჩივრები, პრეტენზიები, კატეგორია, ტიპები, ტიპოლოგია, ფაქტორები, პროცესები. უფლებები, პრობლემები, დაცვა, პასუხიმგებლობა, დოკუმენტაცია, განხილვა.

Abstract. The article reflects on management technologies of conflict situations occurring in hotel industry, as well as the related signs of psychological classification of hotel guests' profiles. The factors of increasing number of claims in hotel industry. Conditional categories of claims arising in the hotel business and established rules for reviewing complaints.

keywords: Conflict situation, hotel industry, guest, psychological services, business, complaints, claims, category, types, typology, factors, processes. Rights, problems, protection, responsibilities, documentation, discussion.

შესავალი. სასტუმრო ინდუსტრიაში კონფლიქტური სიტუაციების მართვა არის მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილი და გამომდინარე, ადამიანების განსხვავებული დამოკიდებულებებისა საგანთა ან ქმედებათა მიმართ იგი საკმაოდ ხშირია. ამიტომ, კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სასტუმროს ნორმალური ფუნქციონირებისათვის. სასტუმროს მომსახურების პროცესში ხშირად იჩენს თავს ,,რთული სტუმრების" კატეგორია რომლებიც სხვადასხვა ფსიქოლოგიური მოტივაციით გამოირჩევიან. ამიტომ, პირველ რიგში გასარკვევია კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობის მიზეზი რათა დროულად და ხარისხიანად აღმოფხვრილ იქნას იგი.

ძირითადი ტექსტი. დასვენების ფსიქოლოგიური პირობების შექმნა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია სასტუმროს ფუნქციონირების პროცესის ნორმალური წარმართვისათვის. დასვენების ორგანიზების ფსიქოლოგიური პირობების უგულველყოფა ქმნის წინაპირობებს ,,მტრული" ფსიქოლოგიური გავლენის დასამკვიდრებლად. აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება როდესაც სასტუმროს პერსონალი გარკვეულწილად ექვემდებარება სტუმრების აგრესიულობას და რაც ხშირად, ,,უმწეოს" ხდის მათ.

ფსიქოლოგები რომლებიც სასტუმროს სტუმართა პროფილებს იკვლევენ, განსაზღვრავენ ძირითად ,,მოთამაშეებს“ და ზოგად კლასიფიკაციის სურათს აყალიბებენ. კერძოდ, იგი შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

,,შეგზავნილი“ - მოცემული სასტუმროს კონკურენტების მიერ წარგზავნილი სტუმარი;

1. ,,დომინანტი“ - რომელიც ცდილობს საკუთარი პრეტენზიები (სამართლიანი ან უსამართლო) წარუდგინოს სასტუმროს ადმინისტრაციას და საკუთარი თავის გამოდებით, აქტიურად გააცნოს სასტუმროს სხვა სტუმრებს;
2. ,,ანტაგონისტი“ - რომელიც სასტუმროში მიმდინარე სამუშაო პროცესებს ყოველთვის აღიქვამს უარყოფითად და დემონსტრაციულად აცხადებს მას;
3. ,,აზრის განმცხადებელი“ - რომელიც წყნარად გამოთქვამს თავის აზრს (უარყოფითი ან დადებითი) სასტუმროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;
4. ,,მხიარული სტუმარი“ - რომელიც მხიარულ ნოტაზე გამოთქვამს თავის აზრს (უარყოფითი ან დადებითი) სასტუმროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;
5. ,,რელიგიური მრწამსის მატარებელი ადამიანი“ - რომლისთვისაც შესაძლოა მიუღებელი აღმოჩნდეს საკუთარ რელიგიასთან სასტუმროში არსებული გარემო.

ზემოთ ჩამოთვლილ სტუმრებს შეუძლიათ სერიოზული სკანდალის წამოწყება, რაც უამრავ პრობლემას შეუქმნის სასტუმროს.

აღნიშნული ტიპოლოგიები არის ძირითადი და იგი ხელს უწყობს სტუმართა ქცევების ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნას. ასეთი ტიპილოგიების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა დროულად ამოცნობილ იქნას აგრესიული სტუმრის ქცევის ტიპი და შესაბამისი ზომები იქნას მიღებული სასტუმროში დასვენების ნორმალური ატმოსფეროს აღსადგენად.

სასტუმრო ინდუსტრიაში საჩივრების რაოდენობის ზრდა დაკავშირებულია მრავალი ფაქტორით მაგალითად.

- სტუმრებს გააცნობიერებული აქვთ საკუთარი უფლებები და პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე, უფრო მეტად მოითხოვენ თავიანთ უფლებების დაცვას;

სასტუმროს მომსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნა იწვევს ახალ, ნაკლებად გამოცდილ და ნაკლებად რესურსული სასტუმროების ბაზარზე გასვლას რასაც მომსახურების თვალსაზრისით თან ახლავს მრავალი პრობლემის წარმოშობა; პრეტენზიების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოიშობა არასწორი რეკლამირების, კლიენტისთვის არასწორი საკონტრაქტო

დოკუმენტაციის წინასწარი გაფორმების, მომსახურების ხარისხის შეუსაბამობისა და სხვა ფაქტორების გამო;

სასტუმროს პერსონალი ვერ ან არ აყალიბებს ვალდებულებებს, უზრუნველყოს კლიენტის მიერ გადახდილი სასტუმროს მომსახურების მთელი სპექტრი.

სასტუმრო ბიზნესში არსებული ყველა პრეტენზია პირობითად შესაძლოა დაიყოს ოთხ კატეგორიად:

1) სასტუმროს მომსახურების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება (სტუმრის მოლოდინისაგან განსხვავებით, სასტუმროს მომსახურების ხარისხის დაბალი დონის შეთავაზება, დამატებითი სერვისების გაუქმება და სხვ.);

2) სტუმრების დაგვიანებით ინფორმირება მომსახურების პირობების ცვლილების შესახებ;

3) არასწორი ან არაზუსტი ინფორმაცია სტუმრისათვის სასტუმროს პროდუქტის მიწოდების შესახებ;

4) სასტუმროს მომსახურების წინასწარ შეძენისას ხელშეკრულების შედგენა და ხელმოწერა, რომელიც არღვევს მომხმარებლის უფლებებს.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სტუმრების საჩივრების განხილვას და სიმართლის დადგენის შემთხვევაში იგი აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს.

საჩივრების განხილვისას დაცული უნდა იქნას რამდენიმე წესი კერძოდ,

- სტუმარს უნდა მოუსმინონ თანაგრძნობით და განსაკუთრებული ყურადღებით;
- თუ კი შესაძლებელია, საჭიროა უკმაყოფილო სტუმრის იზოლირება, რათა
  სხვებმა არ გაიგონ მისი პრეტენზიები;
- სტუმრისათვის მიმართვა უნდა იყოს სახელით და გვარით (დასაშვებია წოდებაც თუ კი იგი აქვს). ფსიქოლოგების აზრით საკუთარი სახელი, გვარი
  ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა ადამიანისთვის;
- თუ სტუმარი გაბრაზებულია, პერსონალი მარტო არ უნდა შევიდეს მის ნომერში;
- სასტუმროს თანამშრომლებმა სტუმარს არ უნდა მისცენ ისეთი პირობა რომელიც აღემატება მათ უფლებამოსილებას;
- სტუმრიდან შენიშვნების მოსმენისას, თანამშრომელმა უნდა დააფიქსიროს ძირითადი ფაქტები. თანამშრომელმა უნდა გადაწყვიტოს კიდევ ვის შეუძლია დაუკავშირდეს პრობლემის მოსაგვარებლად. სტუმრის პრეტენზიების მოსმენისას თანამშრომელმა უნდა გამოავლინოს ყურადღებისა და სიზუსტის დემონსტრირება;

- თანამშრომლებმა უნდა დააკონკრეტონ პრეტენზიის მიღების დრო და აცნობონ სტუმარს;
- თანამშრომლებმა თვალყური უნდა ადევნონ პრობლემის მოგვარებას, თუ ის ვინმეს გადაეგზავნება;
- თუ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია, პერსონალმა უნდა აღიაროს ეს რაც შეიძლება სწრაფად;
- ყველა საჩივარი უნდა აღირიცხოს შესაბამის ჟურნალში.

აშშ – ში საერთაშორისო მომხმარებელთა მომსახურების ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, უკმაყოფილო მომხმარებელთა 91% არასდროს ისარგებლებს ამ სასტუმროს მომსახურებით და დამატებით სხვებს მიაწვდის ინფორმაციას არსებული ნაკლოვანებების შესახებ. თუ კი, მომხმარებლების პრეტენზიები დაკმაყოფილდება მაშინ, 54-70% ისევ ისარგებლებს სასტუმროს მომსახურებით. ხოლო თუ კი, პრეტენზიების მატარებელი მომხმარებლები ძალიან სწრაფად კმაყოფილდებიან, მაშინ ეს მაჩვენებელი 95% -მდე იზრდება.

ბოლო წლებში სასტუმროს სტუმართა საჩივრების რაოდენობის ზრდასთან და მათი შინაარსის ანალიზთან დაკავშირებით, სასტუმროს ბიზნესში დამკვიდრდა ახალი ,,კონცეფცია - სტუმართა მიერ სასტუმროს რეკეტირება", რომელსაც შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული მიზეზები და დამოკიდებული იყოს მომხმარებელთა უკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლების არსებობასა თუ არარსებობაზე კერძოდ,

- სასტუმროს მომსახურებაში ადგილი არ ჰქონია დარღვევებს მაგრამ, სტუმართა მოლოდინი არ გამართლდა;
- სასტუმრო პროდუქტის რელიზაციის დროს ადგილი ჰქონდა დარღვევებს; მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან ადგილი აქვს დარღვევებს მომსახურების მიწოდებაში;
- ადგილი ჰქონდა სასტუმროსა და სტუმარს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას;
- სასტუმროს მომსახურების პროცესში ფაქტობრივად წარმოიშვა სერიოზული დარღვევები, რისთვისაც იგი ვალდებულია პასუხი აგოს მომხმარებლების წინაშე. თუმცა სასტუმროს ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ მის მიმართ წარდგენილი პრეტენზიები და მოთხოვნები ძალზე გაზვიადებულია;
- დარღვევები მოხდა სტუმრის დაუდევრობის გამო;
- სტუმარმა გადაწყვიტა სასტუმროს ადმინისტრაციის ”მოტყუება” რათა თავი აარიდოს სრულად ხარჯების გაწევას ან მცირედი თანხა გადაიხადოს და სხვ.

ასეთი სიტუაციების განვითარება ყოველთვის ხდება სხვადასხვა გზით, ეს დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: თავად სასტუმროს და მისი

თანამშრომლების ქცევაზე კონფლიქტის მოგვარების პროცესში; კლიენტ-მომჩივანის სოციალურ მდგომარეობაზე; ორგანოები, რომლებიც განიხილავენ მომხმარებელთა საჩივრებს; სტუმრების მოთხოვნები სასტუმროში (მათი გონივრულობის ხარისხი, მოქმედება, დაზიანების მტკიცებულება და ა.შ.).

ნებისმიერ შემთხვევაში, სასურველია უპირველესყოვლისა გადაიჭრას გაუგებრობა, რომელიც გაჩნდა სასტუმრო მომსახურების პროცესში. სტუმარი უნდა დაუკავშირდეს სასტუმროს თანამშრომელს, რომელიც უფლებამოსილია დაუყოვნებლივ გადაჭრას პრობლემა. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ სტუმარმა უნდა დააფიქსიროს თავისი უფლებების დარღვევის ფაქტი საჩივრის შესაბამი წარდგენით სასტუმროს ადმინისტრაციასთან შესაბამისი ფორმით.

გაწეული მომსახურების ხარვეზის დადგენისთანავე, სტუმარს მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვს მოითხოვოს საკუთარი სურვილისამებრ შემდეგი: გაწეული მომსახურების ხარჯების განულება; გაწეული მომსახურების ფასის შესაბამისი შემცირება; სამუშაოს ხელახლა შესრულება; ხელშეკრულების შეწყვეტა და ზარალის ანაზღაურება; მორალური ზიანის ანაზღაურება და სხვ.

საჩივარი წარედგინება სასტუმროს ადმინისტრაციას და რეგისტრირდება შესაბამის დოკუმენტაციის ჟურნალში. თუ კი, საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციის გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებს მომჩივანს (სტუმარს), მას შეუძლია დავა განაგრძოს სასამართლოში მაგრამ, სასამართლო დავები დროში გაწელილია და გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

საერთოდ, იურიდიული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასტუმრო მომსახურების სფეროში წარმოშობილი კონფლიქტები სასამართლოს ჩარევის გარეშე დავის საკითხებთან დაკავშირებით ორმხრივი შეთახმებით მთავრდება.

დასკვნა. სასტუმრო ინდუსტრიაში კონფლიქტური სიტუაციების მართვა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, სპეციფიკური შემადგენელი ინსტრუმენტი დასვენების ფსიქოლოგიური პირობების შექმნა, მისი ფუნქციონირების ჰარმონიული განვითარებისათვის. ამ მიზნით ჩამოყალიბებულია სასტუმროს სტუმართა ფსიქოლოგიური პროფილების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ნიშნები. სასტუმრო ინდუსტრიაში საჩივრების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებული ფაქტორები. სასტუმრო ბიზნესში წარმოქმნილი პრეტენზიათა პირობითი კატეგორიები და საჩივრების განხილვის სპეციფიკა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კონსტანტინე აბულაძე. აბულაძე კ., სასტუმრო საქმის საფუძვლები. PDF ვერსია. თბილისი, 2015წ. 185გვ.

2. Туризм и гостиничное хозяйство // Под ред. А. Д. Чудновского. - М.: Юркнига, 2001. Стр.229.

3. Arlene Audergon. The War Hotel: Psychological Dynamics in Violent Conflict. Published : January 2005. 327 pages.

4. Demet Tuzunkan. Emrah Ozkul. CONFLICT MANAGEMENT IN HOTELS. A CASE STUDY ON THOMAS MODEL AROUND HOTEL MANAGERS IN ANKARA, TURKEY. October 2013. P160.

5. Baron R.A., Greenberg J., Behavior in Organizations, 3rd ed., Allyn and Bacon, Massachusetts, (1990).

6. Mckenna, S. The Business Impact of Management Attitudes Towards Dealing with Conflict: A Cross-Cultural Assessment. Journal of Managerial Psychology. 10 (7), (1995).

7. Robbins, S. P. Essentials of Organizational Behavior. (Seventh Edition). New Jersey: Prentice Hall Inc, (2003).

ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზები
The Ways to Combat Economic Violence Against Women

დალი სეხნიაშვილი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
d.sekhniashvili@gtu.ge
ლელა ბაქრაძე, დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
LLbakradze@gmail.com
Dali Sekhniashvili, Professor, Georgian Technical University,
d.sekhniashvili@gtu.ge
Lela Bakradze – PhD student, Georgian Technical University,
LLbakradze@gmail.com

აბსტრაქტი. ეკონომიკური ძალადობა გენდერული ძალადობის ერთ-ერთი მთავარი ფორმაა. რომლის ამოცნობა მეტად რთულია. მისი მსხვერპლი ძირითადად ქალები არიან. ეკონომიკური ძალადობა იწვევს ფიზიკურ შეურაცხყოფას, ხელს უწყობს სექსუალურ ექსპლუატაციას და ხშირად აქვს სერიოზული ფსიქიკური და ფიზიკური შედეგები, როგორიცაა: დაბალი თვითშეფასებ, სხვადასხვა სიმძიმის ფსიქიკური აშლილობა ან ჯანმრთელობის პრობლემები. სტატიაში განხილულია ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის საკითხები და მოცემულია რეკომენდაციები ქალთა ეკონომიკური უფლებების გაუმჯობესებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ძალადობა, გენდერი, სიღარიბე, ძალადობა, კონფლიქტი.

Abstract. Economic violence is one of the main forms of gender-based violence. This is a highly underestimated form of violence that is difficult to identify. Its victims are mainly women. Economic violence leads to physical abuse, promotes sexual exploitation, and often has serious mental and physical consequences, ranging from low self-esteem to mental disorders of varying severity or health problems. The article examines the issues of economic violence against women and provides recommendations for improving the economic rights of women.

keywords: Economic Violence, Gender, Poverty, Violence, Conflict.

შესავალი. ეკონომიკური ძალადობა არის ძალადობის ფორმა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება არ ექცეოდა ბოლო დრომდე. მიუხედავად იმისა, რომ მისი განმარტება და საზღვრები არ არის გასაგები, ეკონომიკური ძალადობა ან ეკონომიკური ზიანი გულისხმობს ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს მსხვერპლის მთლიანად ან რომელიმე მისი ეკონომიკური ან ფინანსური რესურსის აღკვეთას. დღეს კვლევების უმეტესობა ეკონომიკურ ძალადობას ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმად განიხილავს და ხაზს უსვამს მის როლს მსხვერპლის მართვაში.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია იყენებს ტერმინს „იძულებითი კონტროლი“, გადააქვს რა აქცენტი ქცევის მიზანზე. „იძულებითი კონტროლი“ მოიცავს როგორც ფსიქოლოგიურ, ისე ეკონომიკურ ძალადობას და დაკავშირებულია დომინირების ისეთ მოდელებთან, როგორიცაა: დაშინება, იზოლაცია, დეგრადაცია და ფიზიკური ძალადობა. დღეს ეს მიდგომა კანონმდებლებსა

და პოლიტიკოსებს მიმართავს ჭეშმარიტად მავნე ქცევების წინააღმდეგ ბრძოლისკენ, რომლებიც გავლენას ახდენს დაზარალებულის ავტონომიაზე, დამოუკიდებლობასა და ღირსებაზე, ისე, რომ მსხვერპლმა ვერ მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ როგორმე თავი დააღწიოს ასეთ ჩაგვრას.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმად მიიჩნევა, ჩვენი სამართლებრივი ჩარჩოები, ძირითადად, ფიზიკურ ძალადობაზეა კონცენტრირებული. მართლაც, ჯანმოს (World Health Organization) მიერ ჩატარებული თვისობრივი კვლევები აჩვენებს, რომ მსხვერპლები ფსიქოლოგიურ ძალადობას უფრო მწვავედ და საზიანოდ მიიჩნევენ.

ევროპულ კონვენციაში არ არის განმარტებული ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის ცნება, მაგრამ მის ჩართვას ქალთა მიმართ ეკონომიკურ ძალადაობის, აგრეთვე, ოჯახური ძალადობის განმარტებებში აქვს პრაქტიკული შედეგები. კონვენციის განმარტებით, ეკონომიკური ზიანი ფსიქოლოგიურ ძალადობას შეესატყვისება. ამან ძალადობის ამ კონკრეტული ფორმის განსაზღვრებამდე მიგვიყვანა კონვენციის სისხლის სამართლის ნაწილში. დანაშაული, რომელსაც ეწოდება ფიქოლოგიური ძალადობა, კრძალავს განზრახ ქცევას, რაც სერიოზულად აზიანებს და აზარალებს ადამიანის ფსიქოლოგიურ მთლიანობას.

ეკონომიკური ძალადობა არის, როდესაც მოძალადე სრულ კონტროლს ახორციელებს მსხვერპლის ფულზე, სხვა ეკონომიკურ რესურსებზე ან საქმიანობაზე. გაეროს ქალთა ფონდის განმარტებით, ეკონომიკური ძალადობაა, როდესაც მოძალადე სრულად აკონტროლებს მსხვერპლის ფინანსებს, ეკონომიკურ საქმიანობას, თუ რესურსებს. პარტნიორთან შეთანხმების გარეშე განსაზღვრავს რაში და როგორ უნდა დაიხარჯოს ან დაიზოგოს ფული. შედეგად, ქალები მაქსიმალურად დამოკიდებულები ხდებიან მამაკაცებზე და იძულებულები არიან მამაკაცს სთხოვონ ფული, ან დაკმაყოფილდნენ დახმარების სახით მათთვის გამოყოფილი თანხით.[12]

საქართველოს კანონმდებლობაში კი ეკონომიკური ძალადობა განმარტებულია როგორც ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებლით და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

ძირითადი ტექსტი. ეკონომიკური ძალადობა გენდერული ძალადობის ძირითადი, თუმცა, შეუმჩნეველი და ძნელად ამოსაცნობი ფორმაა. მისი

---

[12] გაეროს ქალთა ფონდი, 1999

მსხვერპლი, უპირატესად არის ქალი. ეკონომიკური ძალადობა იწვევს ფიზიკურ ძალადობას, ხელს უწყობს სექსუალურ ექსპლუატაციას და ინფექციის, დედების ავადობის და სიკვდილიანობის, ქალებისა და გოგონების ტრეფიკინგის რისკს, იწვევს სიღარიბის გაღრმავებას და აფერხებს ქალთა მიერ განათლების მიღებისა და განვითარების შესაძლებლობებს. მისი ამოცნობა, ფიზიკური ძალადობისგან განსხვავებით, რთულია.
ეკონომიკურ ძალადობას ხშირად მძიმე ფსიქიკური და ფიზიკური შედეგები აქვს, დაბალი თვითშეფასებიდან დაწყებული, სხვადასხვა სირთულის ფსიქიკური აშლილობების განვითარებით თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებით დამთავრებული.

ქალების მიმართ ეკონომიკური ძალადობა ხდება მაშინ, როდესაც მოძალადე კაცი ინარჩუნებს კონტროლს ოჯახის ფინანსებზე, ქალის აზრის გაუთვალისწინებლად წყვეტს თუ როგორ უნდა დახარჯოს ან დაზოგოს თანხა, რითაც ქალს ხდის სრულად დამოკიდებულს მათზე. ეს შეიძლება მოიცავდეს ქალების მკაცრ შემწეობას ან მათთვის ფულის თხოვნის იძულებას. [13]

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ქალები კომფორტში ცხოვრობდნენ, ხოლო მათი შვილები კი ფუფუნებაში იზრდებოდნენ, ისინი არ აკონტროლებენ ოჯახში არსებულ თანხებს და არც გადაწყვეტილებებს იღებენ, თუ როგორ უნდა დახარჯონ ფინანსური რესურსები. მამაკაცებმა ქალებზე დომინირებისათვის შეიძლება გამოიყენონ ის ფაქტი, რომ მათ მეტი ფული აქვთ. ეკონომიკური ძალადობა შეიძება ასევე მოიცავდეს თანხების ქალებისთვის არ მიცემას ან შეზღუდვას ისეთი საჭირო ნივთების ყიდვისთვის, როგორიცაა საკვები და ტანსაცმელი, ფულისადმი დამოუკიდებლად ხელმისაწვდომობის არ არსებობას, ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისგან ქალების გამორიცხვას.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური ძალადობის მიზეზიც და შედეგიც არის სიღარიბე.[14] ქალებში კი სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცში.[15] ამრიგად, ეკონომიკური ძალადობა არის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმა.

იმის უზრუნველყოფა, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი შემოსავლის ჰქონდეთ ერთი და იგივე სახის სამუშაოების შესრულებისას, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ქალთა უფლებების რეალიზაციისკენ და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საქმეში. ეს, ასევე, ხელს

---

[13] United Nations Fund for Women [UNIFEM], 1999
[14] Chen C. Progress of the world's women 2005: Women, work and poverty. New York: United Nations Development Fund for Women, 2005
[15] United Nations Population Fund [UNFPA], 2005

შეუწყობდა მათ განვითარებას, თვითშეფასების ამაღლებას და გაზრდიდა მათ გავლენას როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში.

ბევრ ქვეყანაში საყოფაცხოვრებო საარსებო წყარო ხშირად მდგრადია და გაუმჯობესებულია სწორედ ქალთა ეკონომიკური საქმიანობით. ქალი აქტიურია სხვადასხვა ეკონომიკურ სფეროში, ზოგიერთი სახის სამუშაოს ისინი ერთდროულად ასრულებენ. საშუალოდ, ქალები ატარებენ სამუშაო ტვირთის 51% ინდუსტრიულ ქვეყნებში და 55% განვითარებად ქვეყნებში. ქალები უფრო მეტ საათს მუშაობენ, ვიდრე მამაკაცები, მაგრამ უფრო ნაკლებს შოულობენ, ეს მოიცავს როგორც საშინაო საქმეებს, რომლებიც არ არის ანაზღაურებადი, ასევე ანაზღაურებად შრომას.

ქალთა ეკონომიკური საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს ნატურალურ მეურნეობაში, დაქირავებულ შრომას და არაფორმალურ სექტორში მუშაობას, ხოლო ქალების მხოლოდ მცირე ნაწილი მუშაობს ფორმალურ სექტორში. იურიდიული კანონები და წეს-ჩვეულებები მიწის, ბუნებრივი რესურსების, კაპიტალის, კრედიტის, ტექნოლოგიის, განათლებისა და დასაქმების წვდომის შესახებ, აგრეთვე, სახელფასო სხვაობები, გავლენას ახდენს ქალების ეკონომიკურ პროგრესზე.

მიუხედავად გენდერული უთანასწორობისა, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ქალთა ეკონომიკურ ცხოვრებაში სწრაფი ცვლილებები მოხდა. დისკრიმინაციული პრაქტიკის შესახებ ინფორმირებულობის ზრდამ ცვლილებების მოთხოვნა გამოიწვია. ამასთან, ბოლო წლების პროგრესის მიუხედავად, ძალიან ბევრი ქალი კვლავ არის ეკონომიკური ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი.

ძალადობის სხვა ფორმებთან შედარებით, ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის შესახებ მხოლოდ ძალიან მცირე ემპირიული მონაცემები არსებობს. ეკონომიკური ძალადობა არის ძალადობის ძალიან ძლიერი და ლეტალური ფორმა. სწორედ იმის გამო, რომ ეკონომიკური ძალადობა, განსხვავებით ფიზიკურისგან, არ არის მარტივად ხილვადი, მისი იდენტიფიცირება რთულია. [16]

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სიღარიბე ეკონომიკური ძალადობის მიზეზიცაა და შედეგიც. ქალთა ეკონომიკურ საქმიანობაში პროგრესის მიუხედავად, ბევრ ქალს კვლავ აწუხებს ძალადობის ეკონომიკური ფორმები, მათ შორის: სახსრებისა და კრედიტის შეზღუდული ხელმისაწვდომობა; კონტროლის არარსებობა ჯანმრთელობის დაცვის, დასაქმების, განათლებისა და სოფლის მეურნეობის რესურსების ხელმისაწვდომობაზე; ფინანსური გადაწყვეტილების მიღებიდან გამორიცხვა; არათანაბარი ანაზღაურების

[16] სხილაძე ე., ეკონომიკური ძალადობა, როგორც ოჯახში ძალადობის ფორმა, https://lesbi.ge/ka/campaigns/16-days/i997/

მიღება კაცის შრომის ღირებულების ტოლი სამუშაოსთვის; დისკრიმინაციული ტრადიციული კანონები მემკვიდრეობის, საკუთრების უფლებებისა და საერთო მიწების გამოყენების შესახებ.

ეკონომიკური ძალადობა სიღარიბის გაღრმავებას იწვევს, რაც დამოუკიდებელი საარსებო წყაროებისადმი ქალების შეზღუდული ხელმისაწვდომობით არის გამოწვეული. ეს კი საფრთხეს უქმნის ქალების მიერ უფრო უკეთესი განათლების მიღებას და მათი განვითარების შესაძლებლობებს. აღნიშნული გარემოებები იწვევს დაძაბულობას, რაც შეიძლება გადაიზარდოს ფიზიკურ ძალადობაში და უარყოფითად აისახოს ქალებისა და მათი ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც ხელს უწყობს სექსუალურ ექსპლუატაციას; ზრდის ინფექციის გავრცელების, აგრეთვე, დედების ავადობის და სიკვდილიანობის რისკს; ხელს უწყობს ქალებისა და გოგონების ტრეფიკინგს. ეკონომიკური შეურაცხყოფა შეიძლება გაგრძელდეს მას შემდეგაც, რაც ქალმა მიატოვა შეურაცხმყოფელი ურთიერთობა. ეს, ასევე, არის ემოციური და ფიზიკური სტრესის წყარო მსხვერპლის მეგობრებისა და ოჯახისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული დისკრიმინაცია ფართოდაა გავრცელებული და ის ქალების დიდ ნაწილს ხელს უშლის ეკონომიკური ავტონომიის მიღწევასა და მდგრადი საარსებო წყაროს არსებობაში. პირველი, ეკონომიკური ძალადობა სიღარიბის გაღრმავებას იწვევს, რაც გამოწვეულია დამოუკიდებელი საარსებო წყაროებისადმი ქალების შეზღუდული ხელმისაწვდომობით. სამწუხაროდ, სიღარიბე არღვევს ქალების და მათი შვილების უფლებებს, ზღუდავს განათლების მიღებაზე, საკვებზე, ჯანმრთელობაზე, საცხოვრებელზე, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილებაზე თავისუფლებას. ამასთან, კვლევები ადასტურებენ, რომ როდესაც ქალები იღებენ ეკონომიკურ საშუალებებს დასაქმების კარგი პირობებით, ისინი იმავდროულად, იღებენ გარკვეულ კონტროლს საკუთარ შემოსავალზე და მხოლოდ ზომიერ დროს ატარებენ შინამეურნეობის გარეთ მუშაობაზე, რაც ზრდის მათ შესაძლებლობებს, რომ გამოიყვანონ საკუთარი თავი და მათი შვილები სიღარიბისგან.[17]

მეორე, ეკონომიკური ძალადობა, მატერიალური პრობლემების გამო, როგორც წესი, ქმნის დაძაბულობის ატმოსფეროს, რაც შეიძლება ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდოს. ცოლის ფიზიკური შეურაცხყოფა შესაძლოა გამოიწვიოს კამათმა ალიმენტის, ან საყოფაცხოვრებო პასუხისმგებლობის

---

[17] Abor J. Female-owned businesses and access to finance: Evidence from the Ghanaian nontraditional export sector. *Gender and Behaviour,* 2006

შესახებ. ქალებს აქვთ უსამართლობის განცდა, როდესაც ბავშვებზე ზრუნვის ძირითადი პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ, ხოლო მათ ჩივილსა და არგუმენტებს პარტნიორმა მამაკაცმა შესაძლოა ცემით უპასუხოს. ცემა შეიძლება შვილებზეც კი გავრცელდეს, რაც დიდი ალბათობით, გამოიწვევს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს ქალებში.

მესამე, ეკონომიკური ძალადობა იწვევს სოციალურ უთანასწორობას და ხელს უწყობს ქალებისა და გოგონების საერთაშორისო ტრეფიკინგს. სამუშაო ადგილების სიმცირე, დამოკიდებულ ბავშვებზე ზრუნვის ეკონომიკური ზეწოლა და ქმრების მხრიდან არაადეკვატური ფინანსური დახმარება ქალებს დაუცველებს ხდის სექსუალური ზეწოლისა და ინფექციის საშიშროების მიმართაც. ქალებს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, ექვსჯერ მეტად აღენიშნებათ დეპრესია, სტრესთან დაკავშირებული სინდრომები, ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულება, ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენება და თვითმკვლელობა ვიდრე სხვა ქალებს.[18]

დაბოლოს, ეკონომიკური ძალადობა ფიტავს ეკონომიკურად პროდუქტიულ სამუშაო ძალას, ხოლო მის მიერ გამოწვეული შიშის და დაუცველობის კლიმატი ამცირებს ქვეყნის პროდუქტიულობას და აფერხებს ქვეყნის განვითარებას.[19] ის ამცირებს ქალების მიერ განათლების მიღების და განვითარების შესაძლებლობებს.

ამასთან, განათლებული ქალები, სავარაუდოდ, გვიან ქორწინდებიან და გეგმავენ და ქმნიან ჯანმრთელ ოჯახებს. ისინი უფრო მეტად იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ, რომ მათმა შვილებმა წარმატებას მიაღწიონ სკოლაში და იყვნენ უფრო პროდუქტიული, სადაც არ უნდა იმუშაონ.

სამწუხაროდ, ძალადობას აქვს უკიდურესად ხანგრძლივი შედეგები, მაშინაც კი, როდესაც ქალები აღარ ექვემდებარებიან ძალადობას. ძალადობას, მათ შორის, ეკონომიკურ ძალადობას, ასევე აქვს თაობათაშორისი გავლენა. ეს იმიტომ ხდება, რომ ძალადობა შეიძლება ისწავლონ ბავშვებმა, რომლებსაც კონფლიქტის მოგვარების საშუალებად იყენებენ, ან რომლებიც კონფლიქტის მოგვარების ასეთი გზების შემსწრენი არიან.

---

[18] Heise L, Ellsberg M. & Goheemoeller M.,Ending violence against women. *Population Report Series, 1,* . 1999

[19] UNICEF. *The state of the world's children 2007. Women and children—The double dividend of gender equal- ity.* New Yor, 2007

რეკომენდაციები. ქალთა ეკონომიკური უფლებების გაუმჯობესება მოითხოვს გრძელვადიან სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს ჩამოყალიბებული სტრუქტურების შეცვლას. ეკონომიკური ძალადობის მრავალმხრივი ხასიათი მოითხოვს მთავრობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართვას ყველა დონეზე. გამოყენებული უნდა იქნას მულტისექტორული და კოლაბორაციული მიდგომები. სხვადასხვა კულტურული კონტექსტისთვის შესაძლოა განსხვავებული სტრატეგიები გახდეს საჭირო.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ალიანსს ეკონომიკური სიტუაციის შესაფასებლად, სამოქმედო გეგმის ერთობლივად შემუშავებისთვის, გამოცდილების გაზიარებისა და პროგრესის მონიტორინგისთვის. ეროვნული გეგმის შემუშავება მნიშვნელოვანია ეფექტური მდგრადი რეაგირების უზრუნველსაყოფად. გეგმაში უნდა იყოს საკოორდინაციო მექანიზმები ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რათა შესაძლებელი გახდეს თანამშრომლობა სხვადასხვა სექტორსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის. ეს შეიძლება მოიცავდეს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: არსებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის განხილვა და მისი რეფორმა, აგრეთვე, კანონები განათლების, დასაქმების და ქალთა ანაზღაურების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და კვლევის ჩატარების შესაძლებლობების შექმნა. მსხვერპლთა მომსახურების გაძლიერება და პრევენციული რეაგირების შემუშავება და შეფასება, ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული გეგმის ეფექტურობისთვის.

ბევრ ქვეყანას აქვს ასეთი ეროვნული გეგმები, კერძოდ: პოლონეთი, გერმანია, ნიდერლანდები, რუსეთი, მონღოლეთი და სხვ. ამ ქვეყნებს აქვთ სამოქმედო გეგმა, რომელიც ეხება ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებულ ფორმებს, თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება ამ ეროვნულ გეგმებში ეკონომიკური ძალადობის პრობლემების მოგვარების უზრუნველყოფა და მისი შესრულების მონიტორინგი.

საქართველოში სამართალდამცავ უწყებებს არ აქვთ საკმარისი უნარჩვევები თუ გამოცდილება, რომ ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირება მოახდინონ. ამიტომ, ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში ძალიან იშვიათია შემთხვევა, როდესაც ოჯახში ეკონომიკური ძალადობა იქნა იდენტიფიცირებული. მთავარი პრობლემა არის შემთხვევების გამოვლენა, რაშიც ძალიან დიდი როლი ენიჭებათ სოციალურ მუშაკებს. მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებები, რათა მოქალაქეებმა იცოდნენ რა არის ეკონომიკური ძალადობა. ძალიან ბევრი ადამიანი ვერ აცნობიერებს, რომ ძალადობის მსხვერპლია, რადგან ეს არ არის ძალადობის

ის ფორმა, რომელსაც იმწუთიერად, ტკივილის სახით განვიცდით. ამას უფრო ხანგრძლივი ეფექტი აქვს და შედეგებს უფრო გვიან ვხედავთ“. [20]

უცხოეთში სამუშაოდ წასული ქალბატონები პიროვნულად ნამდვილად გააძლიერა ემიგრაციაში გადატანილმა მძიმე პირობებმა, სამწუხაროდ, ამით, რეალობა არ შეცვლილა - მათ მიერ გამომუშავებული ფინანსური რესურსების უდიდეს წილზე წვდომა და მათი განკარგვა ისევ მამაკაცების ხელშია, შესაბამისად, სწორედ, ისინი იღებენ ამ გამომუშავებული თანხით სარგებელს და ქალბატონების შრომის შედეგად მიღებული ფინანსური სარგებლით, პრივილეგირებულ პოზიციას ინარჩუნებენ.[21]

რა აქტივობების გატარებაა საჭირო ცვლილებების განხორციელებისთვის?

უნდა ჩატარდეს ეკონომიკური ძალადობის შესახებ კვლევები ქვეყანაში ამ პრობლემის გაგების გასაუმჯობესებლად. ეს საშუალებას მისცემს არსებული კულტურის შესაბამისი სპეციფიკური რეაგირების გზების შემუშავებასა და შეფასებას. ამასთან, უნდა განმტკიცდეს მთავრობის ყველა დონეზე ეკონომიკური ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის შესაძლებლობა. ეკონომიკური ძალადობის შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს პრიორიტეტების დასახვას, პროგრამის შემუშავებას და პროგრესის მონიტორინგს.

ხელი უნდა შეეწყოს პრევენციული სახის რეაგირებას, როგორიცაა: ქალების მიერ მიკროსაწარმოს დაარსება ან მცირე და საშუალო ბიზნესის წამოწყება, რათა მათ შეძლონ და დააღწიონ თავი ძალადობის ციკლს. ღარიბი და სოციალურად დაუცველი ქალები უნდა წახალისდნენ, რათა მათ კოოპერატივებისა და კრედიტორთა წრეების შექმნით, გაზარდონ საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობები. უნდა განხორციელდეს სასესხო საბრუნავი ფონდების დაფუძნება, რადგან როგორც კვლევებიდან ჩანს,[22] ისინი არამარტო ქალთა ეკონომიკურად გაძლიერებას უწყობს ხელს, არამედ ზრდის მათ გავლენას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სცენაზე. უნდა წახალისდეს და განმტკიცდეს ის ინიციატივები, რომლებიც ქალებს მიკროკრედიტისა და მიკროსაფინანსო სახსრებით უზრუნველყოფს. ამჟამად ამას ზოგიერთი არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაცია და დონორი ახორციელებს. აღმოჩნდა, რომ ეს პროგრამები სასარგებლოა ქალთა

---

[20] სხილაძე ე., ეკონომიკური ძალადობა, როგორც ოჯახში ძალადობის ფორმა, https://lesbi.ge/ka/campaigns/16-days/i997/

[21] პატარაია ბ., ეკონომიკური ძალადობა ოჯახში - ძალადობის უცნობი ფორმა, www.sapari.ge

[22] UNICEF. *The state of the world's children 2007. Women and children—The double dividend of gender equal- ity.* New Yor, 2007

ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში.

უნდა შეიქმნას ეროვნული კოალიციები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ განათლებას და საერთაშორისო ჯგუფებთან კავშირის დამყარებაში. ამ კოალიციებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ქალებს ახალი სამუშაო უნარ-ჩვევების ათვისებაში, უზრუნველყონ ლოგისტიკური მხარდაჭერა ქალთა პროგრამებისთვის, ადგილობრივი და ეროვნული დონეზე ლობირება გაუწიონ ქალთა ინტერესების ახალ სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებში ჩართვაში. ამ ჯგუფებმა უნდა მოითხოვონ, რომ მეტმა ქალმა დაიკავოს მაღალი პოზიციები ეროვნულ მთავრობასა და საერთაშორისო სავაჭრო და ეკონომიკურ ორგანოებში, ქალთა მისწრაფებებისა და უფლებების მხარდასაჭერად. ეკონომიკური ძალადობის პირველად პროფილაქტიკაში ინვესტიცია, ისევე როგორც ძალადობის სხვა ფორმებში, უფრო ეფექტური, გრძელვადიანი და სარგებელის მომტანია გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, ქალთა ჯგუფებმა უნდა ჩაატარონ ძალადობის პრევენციის ტრენინგები. ტრენინგი უნდა მოიცავდეს სოციალურ და საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით მამაკაცთა ჯგუფებისთვის, რათა მათ გავლენა მოახდინონ საკუთარ რწმენასადა დამოკიდებულებაზე.

პოლიტიკას და კანონმდებლობას, აგრეთვე, შეუძლიათ შეაჩერონ ძალადობის ციკლი უთანასწორობის აღმოფხვრით და ეროვნული ეკონომიკის განვითარებით. ამ მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ისეთი პოლიტიკის განმტკიცება, როგორიცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დისკრიმინაციის წინააღმდეგ კანონის რატიფიცირება და თანასწორობის კანონის მიღება.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის აკრძალვის შესახებ კანონების მიღებას, არსებული გეგმების შესრულების მონიტორინგს. აუცილებელია საზოგადოების სენსიბილიზაცია და მედიის საშუალებით ინფორმირებულობა კანონების არსებობის შესახებ.

ხელი უნდა შეეწყოს ისეთი ორგანიზაციების პოპულარიზაციასა და გაძლიერებას, რომლებიც ქალებს მიკროკრედიტის მიღების შესაძლებლობებს აძლევენ. ეს ორგანიზაციები შეიძლება იყოს არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები, აგრეთვე დონორი სააგენტოები. ამასთან, უნდა განხორციელდეს ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი და ფსიქოსოციალური დახმარება. ეკონომიკური ძალადობის შესახებ ემპირიული მონაცემების არარსებობა

ხაზს უსვამს ამ საკითხის დამატებითი კვლევის საჭიროებას. მთავრობებმა უნდა მოაგროვონ ინფორმაცია ქალთა ეკონომიკური საქმიანობის შესახებ.

დასკვნა. ეკონომიკური ძალადობა პროგნოზირებადი და პროფილაქტიკურია. ეკონომიკური ძალადობის დასრულება მოითხოვს გრძელვადიან ვალდებულებას და მრავალი სტრატეგიის გამოყენებას საზოგადოების ყველა სექტორის მონაწილეობით. ეკონომიკური ძალადობის აღმოსაფხვრელად აუცილებელია პოლიტიკური კომპეტენცია. გარანტირებული უნდა იყოს ქალთა უფლებები საკუთრების, მემკვიდრეობის, მიკროკრედიტზე თანაბარი ხელმისაწვდომობის, სრულად დასაქმების და კაცის ხელფასის ტოლი ანაზღაურების მისაღებად იგივე სახის სამუშაოსთვის. სასწრაფოდ მისაღებია ისეთი სახის ინტერვენციები, რომელიც ქალებს განათლების შესაძლებლობებს უქმნის, გააცნობს მათ საკუთარ უფლებებს, ცვლიან მამაკაცების რწმენებსა და დამოკიდებულებებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალებსა და მამაკაცებს შორის სამართლიანობა დამყარდება, ეკონომიკური ძალადობა აღარ იქნება ნორმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Babcock, L., Gelfand, M., Small, D., & Stayn, H. (Eds.).. Gender differences in the propensity to initiate negotiations. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum. 2006;
2. Bartol, K. M., & Martin, D. C. Women and men in task groups. In R. D. Ashmore & F. K. Del Boca (Eds.), The social psychology of female-male relations. New York, NY: Academic Pre. 1986
3. Balliet, C., Li, N. P., Macfarlan, S. J., & Van Vugt, M. Sex differences in cooperation: A meta-analytic review of social dilemmas. Psychological Bulletin, 2011. 137(6), 881-909.
4. Eagly, A. H. Sex differences in influenceability. Psychological Bulletin, 1978. 85, 86–116;
5. Eagly, A. H.. Gender and social influence: A social psychological analysis. American Psychologist, 1983. 38, 971–981
6. Eagly, A. H., & Chravala, C. Sex differences in conformity: Status and gender-role interpretations. Psychology of Women Quarterly, 1986. 10, 203–220.
7. Kray, L. J., Galinsky, A. D., & Thompson, L. Reversing the gender gap in negotiations: An exploration of stereotype regeneration. Organizational Behavior and Human Decision Processes, 2002. 87(2), 386–409
8. Stangor, Ch. Dr., Hammond, T. Dr. - Principles of Social Psychology - 1st International Edition. Charles Stangor. 2011

სოციალური სტერეოტიპები ოჯახში ძალადობის შესახებ
Social stereotypes regarding domestic violence

ლელა ბაქრაძე - დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. LLbakradze@gmail.com
ელა სხირტლაძე - ფსიქოლოგი,
ევროპის სოლიდარობის კორპუსი. E_skhirtladze@cu.edu.ge
Lela Bakradze – PhD student,
Georgian Technical University, LLbakradze@gmail.com
Ela Skhirtladze – Psychologist,
European Solidarity Corps. E_skhirtladze@cu.edu.ge

აბსტრაქტი. ოჯახში ძალადობა არის მოვლენა, რომელიც უხეშად არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. იგი არ არის ერთჯერადი აქტი, არამედ დროში გახანგრძლივებული პროცესია. ეს არის ძალადობრივი და იძულებითი ქცევების ერთობლიობა, რომელსაც ციკლურობა ახასიათებს. ნებისმიერი კრიზისი ნეგატიურ გავლენას ახდენს ოჯახურ დინამიკაზე. შესაბამისად, იქნება ეს ეკონომიკური სირთულეები, პანდემიით გამოწვეული არასახარბიელო მდგომარეობა, თუ სოციალური კატაკლიზმები, განსაკუთრებით მწვავედ აისახება იმ ოჯახებზე, სადაც ისედაც მაღალია ძალადობის რისკი, რასაც თავის მხრივ მრავალი დეტერმინანტი განსაზღვრავს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმ სოციალური წარმოდგენებისა და სტერეოტიპების, აგრეთვე პიროვნული და ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა, რომლებიც განაპირობებენ საზოგადოების არაერთგვაროვან, ხშირად გულგრილ დამოკიდებულებას აღნიშნული პრობლემისადმი, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ინდივიდის მსხვერპლად ჩამოყალიბებას, მისი იდენტობის სრულ დევალვაციას, თვითშეფასების დაქვეითებას და მეორე მხრივ, მოძალადის ამგვარი ქცევითი სტრატეგიის ფორმირებას და წახალისებას.

საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, აგრესია, ოჯახური კონფლიქტი, სოციალური სტერეოტიპი.

Abstract. Domestic violence roughly violates fundamental human rights. Domestic violence is not a one-time act, the process is prolonged over time. It is a combination of violent and coercive behaviors characterized by cyclicality. Any crisis has a negative impact on family dynamics. Consequently, economic crises, unfavorable conditions caused by pandemics or social cataclysms will have a particularly negative impact on families where there is already a risk of violence, which in turn is caused by many determinants. Therefore, it is important to study social perceptions and stereotypes, as well as personal and psychological aspects that lead to a heterogeneous, often indifferent attitude of society to the given problem. This on the one hand contributes to the victimization of the individual, the complete devaluation of identity, lowering self-esteem and, on the other hand, encourages formation of abuser's behavioral strategies.

Keywords: Domestic violence, aggression, marital conflict, social stereotypes.

შესავალი. ოჯახში ძალადობის თემატიკა საკმაოდ აქტუალურია და მნიშვნელოვანია იგი განიხილებოდეს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ტელევიზიისა თუ სოციალური მედიის მეშვეობით გავიგებთ მორიგი მძიმე ფაქტის შესახებ, არამედ მუდმივად მიმდინარეობდეს მსჯელობა, დისკუსია აღნიშნულ პრობლემასა და ფენომენზე, რათა კარგად გავიაზროთ მისი მიზეზები და შედეგები, განმსაზღვრელი და განმაპირობებელი ფაქტორები. აგრეთვე, თუ რა როლი ენიჭება პრევენციას და რა პასუხისმგებლობა

გვეკისრება ჩვენ, როგორც საზოგადოებას. აგრეთვე მნიშვნელოვანია დისკუსიები, ღონისძიებები იყოს სისტემური და არა მხოლოდ რეაქციული მორიგი ძალადობის გახმაურებული ფაქტის შემდგომ, რაც ძირითადად, ხანმოკლე აღშფოთებით გამოიხატება საინფორმაციო საშუალებებსა და სოციალურ მედიაში და შემდეგ სწრაფადვე დავიწყებას მიეცემა, გადაფარავს რა მას სხვა უფრო ახალი და მძაფრი ,, ნიუსი".

ოჯახში ძალადობა არ არის მხოლოდ თანამედროვეობის პრობლემა, არც მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. ადამიანები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ სისასტიკითა და დაუნდობლობით. თუმცა მიუხედავად ამისა, მხოლოდ გასულ საუკუნეში დაიწყო მისი, როგორც სოციალური ფენომენის, სისტემური მეცნიერული კვლევა და შესწავლა. აგრეთვე, შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ფორმირება. მიუხედავად ჩატარებული უამრავი კვლევისა და თეორიისა, დღემდე კითხვები გაცილებით მეტია ვიდრე პასუხები. ვინაიდან, არ არსებობს თეორია, რომელიც სრულად ახსნის აგრესიის წარმოშობასა და გამოხატვასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუ რატომ ირჩევს ერთი ადამიანი კონკრეტულ სიტუაციაში ქცევის ძალადობრივ სტრატეგიას, მეორე კი არა. ანალოგიური ვითარებაა, მსხვერპლის შემთხვევაშიც. შესაბამისად, აგრესია, პიროვნული და სოციალურ-კულტურული მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია და სწორედ ეს ურთიერთქმედება განაპირობებს გარკვეულ გარემოში მის წახალისებას ან პირიქით შემცირებას.

ძირითადი ნაწილი. საქართველოში ოჯახში ძალადობის ზუსტი სტატისტიკური მონაცემები, სამწუხაროდ, არ არსებობს, ვინაიდან მხოლოდ უკიდურეს ვითარებაში ხდება შესაბამისი უწყებებისთვის მიმართვა, თუმცა ამ არსებული არასრული მონაცემებითაც მარტივად დგინდება რომ ტენდენცია არის მზარდი და ძალიან სავალალო.[23]

როდესაც ვსაუბრობთ ოჯახში ძალადობაზე, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავმიჯნოთ ოჯახური კონფლიქტისა და ოჯახში ძალადობის ცნება. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, არაერთი კონვენცია და ნორმატიული აქტი ძალადობას საკმაოდ კონკრეტულად განმარტავს. მათ შორის საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ".[24] აღნიშნული კანონის მიხედვით გამიჯნულია ხუთი სახის ძალადობა და განმარტებულია თითოეული მათგანი: ,,ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური,

[23] ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, შსს. https://info.police.ge/page?id=102
[24] https://matsne.gov.ge/ka/document/download/26422/3/ge/pdf

ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“ (მუხლი 3). რაც შეეხება კონფლიქტს, როგორც წესი, ის ნორმალური და ბუნებრივი პროცესია, თუმცა ხშირად პრობლემას ოჯახური კონფლიქტისადმი მიდგომა, აგრეთვე, მისი გადაჭრისა და დაძლევის გზები წარმოადგენს. თუ რამდენად იქნება შესაძლებელი პრობლემის პოზიტიურად გადაჭრა, დამოკიდებულია, როგორც ოჯახის წევრების, აგრეთვე არსებული სოციუმის მიერ ამ პრობლემისადმი დამოკიდებულებასა და გააზრებაზე.[25] შესაბამისად, ოჯახური კონფლიქტები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა სახის კონფლიქტებისგან და ბევრად უფრო რთულია, შედეგები კი სავალალო.

ოჯახში ძალადობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრავალჯერადი და განგრძობითი ხასიათი აქვს. მას ახასიათებს ციკლურობა, მისი სუბიექტები ურთიერთდამოკიდებულები არიან და იგი ხშირ შემთხვევაში დაფარულია გარშემომყოფებისა და საზოგადოებისთვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლენორ უოლკერის ე.წ. „ძალადობის ციკლის“ თეორია,[26] რომელიც განსაზღვრავს ოჯახში ძალადობრივი ურთიერთობების განვითარებას და დინამიკას. ამ თეორიის მიხედვით ოჯახში ძალადობას გარკვეული კანონზომიერებები ახასიათებს და იგი რამდენიმე ციკლისა და ფაზისგან შედგება: პირველი ფაზა - მუქარა, დაძაბულობის ზრდა. ამ დროს ადგილი აქვს სიტყვიერ შეურაცხყოფას, მცირე ფიზიკურ დაპირისპირებას და ოჯახში დაძაბულობის ესკალაციას. უოლკერის მიხედვით, ეს ფაზა შესაძლებელია რამდენიმე თვე და წელიც კი გაგრძელდეს, სანამ დაძაბულობა პიკს არ მიაღწევს და არ მოხდება გაცილებით მძიმე, ძალადობის ინციდენტი. მეორე ფაზაა ძალადობის აქტი, ინციდენტი. იგი რამდენიმე საათი გრძელდება და დიდია ალბათობა სავალალო შედეგით დასრულდეს, თუმცა ხშირად ამ მძიმე ინციდენტის შემდეგ მოძალადე, სხვადასხვა მიზეზის გამო, ითხოვს პატიებას, მსხვერპლიც ჰპატიობს და აქ იწყება მესამე ფაზა - ე.წ.,,თაფლობის თვე“. ამ დროს მსხვერპლს უჩნდება განცდა, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდება და მოძალადე უკეთესობისკენ შეიცვლება, რაც მხოლოდ ილუზიაა. დროთა განმავლობაში დაძაბულობა კვლავ მატულობს და ძალადობის ციკლიც მეორდება. ძალადობის ფორმები კი, როგორც წესი, უფრო და უფრო მძიმდება. უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი ფაზები თანმიმდევრულად და ამ სიზუსტით შესაძლოა არ განხორციელდეს და განსხვავებული იყოს თავად პროცესიც, თუმცა, როგორც წესი, ეს ციკლი

---

[25] Николаева Е. Психология семьи. изд. Питер. 2013, С. 300-308.

[26] Walker L E. Terrifying Love: Why Battered Women Kill and How Society Responds. New York, 1989

მუდმივად მეორდება და ჩაკეტილ წრეს ვიღებთ, საიდანაც თავის დაღწევა ძალიან რთულია.[27]

ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორებში განსაკუთრებული ადგილი სოციალურ რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება, მათ შორისაა მაგ. ოჯახური ძალადობისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება, ბავშვის სტატუსის დაკნინება მშობლისა და შვილის ურთიერთობაში, რაც ბავშვის აღზრდის სასურველ მეთოდად მკაცრ აღზრდას გულისხმობს და ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვანის მიმართ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის მეთოდებისადმი მიმღებლობას ნიშნავს.[28] აგრეთვე, მკაცრი გენდერული როლები კაცებისა და ქალებისათვის საოჯახო ურთიერთობებში და ა.შ. სწორედ ამგვარი შეხედულებები და სოციალური წარმოდგენები აყალიბებენ შესაბამის სტერეოტიპებს, ქცევებსა და განწყობებს. ზოგადად, სოციალიზაციის პროცესში, ცხადია, ადამიანი ცდილობს აირჩიოს ქცევის მეტად წარმატებული მოდელი და თუ ძალადობრივი ქცევა არის წარმატებული და ხშირ შემთხვევაში დაუსჯელი, ალბათობა იმისა რომ იგი ქცევის სწორედ ამგვარ სტრატეგიას მიანიჭებს უპირატესობას - საკმაოდ დიდია.[29]

სოციალური და კულტურული წარმოდგენებისა თუ სტერეოტიპების ფორმირება ყოველთვის კონკრეტულ მოცემულობასა და ისტორიულ კონტექსტში ხდება. შესაბამისად, ჩვენს თანამედროვეობაზე გავლენას ახდენს, როგორც პატრიარქალური ტრადიციები, ასევე საბჭოთა ტოტალიტარული წარსული, ქვეყნის დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგი პერიოდის მასობრივი ძალადობა, სოციალური და ეკონომიკური კრიზისები და სხვა. სტერეოტიპი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი ცნება არ არის. უფრო მეტიც, იგი ფსიქიკის ფუნქციაა ადაპტირება მოახდინოს გარემოში და სქემატური აზროვნების ერთ-ერთი გამოხატულებაა. აღნიშნული ტერმინი ბერძნული წარმოშობისაა. ,,στερεός“ ნიშნავს მყარს, ხოლო ,,τύπος“ - ანაბეჭდს, შთაბეჭდილებას. ამ სახელწოდებით აღინიშნებოდა სტამბაში მძიმე საბეჭდი ფირფიტა, გალვანური კლიშე, ლითონის საბეჭდი ასოების ყალიბები, რომლებიც ერთი და იგივე ტექსტის მრავალჯერ დასაბეჭდად გამოიყენებოდა. სოციალურ მეცნიერებებში ტერმინი ,,სტერეოტიპი“ 1922 წ. ამერიკელი ჟურნალისტის უოლტერ

---

[27] https://ru.psychologyinstructor.com/cikl-nasiliya-lenor-uolker

[28] სოციალური ნორმების ანალიზი ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში. 2016 (UNICEF) https://www.unicef.org/georgia

[29] არონსონი ე. სოციალური ცხოველი. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014, გვ. 264-265

ლიპმანის ნაშრომის ,,საზოგადოებრივი აზრი“ გამოსვლის შემდეგ დამკვიდრდა.[30]

სტერეოტიპი ადამიანს საშუალებას აძლევს აღიქვას ირგვლივ არსებული რეალობა ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, ვინაიდან, სტერეოტიპები მოიცავენ სტანდარტიზებულ კოლექტიურ გამოცდილებას და მოვლენების ერთგვარ სქემას, საერთო ფორმულას გთავაზობენ - ასეთი სტერეოტიპული აღქმა ავტომატურად ხორციელდება. თუმცა, ხშირად სოციალური სტერეოტიპები რეალობის აღქმას ამახინჯებენ, მოიაზრებენ რა ობიექტსა თუ სიტუაციას ინდივიდუალური დეტერმინანტების გარეშე, მასობრივი თვალსაზრისით, რაც ხშირად ნეგატიური დამოკიდებულებისა და დისკრიმინაციის მიზეზი შეიძლება გახდეს.[31]

ოჯახში ძალადობა არის მოვლენა, რომელიც უხეშად არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. მსხვერპლად არავინ იბადება, არამედ ყალიბდება, ოჯახის, გარემოს, სოციალური სტერეოტიპებისა და კულტურული ნორმების გავლენითა და ძალისხმევით. მსხვერპლისთვის ძალიან რთულია ხმამაღლა ისაუბროს ამ პრობლემაზე, აგრეთვე იმ დამცირებაზე, რასაც განიცდის. ხშირად ის პირისპირ რჩება არა მხოლოდ მოძალადესთან, არამედ სისტემასთანაც, თუ არ ჰყავს მეგობრები და ოჯახი, რომელიც მხარში უდგას. ვინაიდან, სოციალური გარემოცვა ხშირად არის არა მსხვერპლის, არამედ მოძალადის მხარეს.[32] განსაკუთრებით თუ მოხდა მიმართვა პოლიციისათვის, რასაც მოძალადის დაკავება და თავისუფლების აღკვეთა მოჰყვა. ასეთ დროს სანათესაო ურჩევს მსხვერპლს არ მოიქცეს ასე და ,,არ გაიმეტოს ციხისთვის“. ასევე პრობლემაა მოწმეები, ვინაიდან მათი ჩვენება და პოზიცია ოჯახში ძალადობის დროს ხშირად გადამწყვეტია. მოწმეებს არ სურთ ამხილონ მეგობარი თუ მეზობელი და ამით ,,დამატებითი თავსატეხი გაიჩინონ“, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს დაუსჯელობის სინდრომს და მოძალადის ერთგვარ წახალისებასაც კი ახდენს კვლავ ჩაიდინოს ძალადობრივი ქმედებები.[33] მსხვერპლი კი დამატებით შეიძლება გახდეს საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის, კრიტიკის ობიექტი და ემპათიის ნაცვლად, მისი სტიგმატიზებაც კი მოხდეს. სტიგმა კი უარყოფითი სტერეოტიპების ერთობლიობას წარმოადგენს და მკვეთრად გამოხატული სოციალური იარლიყია, რომელსაც შეუძლია პიროვნების

---

[30] https://archive.org/details/publicopinion00l ippgoog/page/n440

[31] Майерс Д. Социальная психология. Изд. Питер, 2003. С. 475-480

[32] Сандо В. Виктимблейминг: почему мы виним жертву?
https://psy.systems/post/viktimblejming-pochemu-my-vinim-zhert

[33] Capaldi, Deborah; et al. (April 2012). "A Systematic Review of Risk Factors for Intimate Partner Violence". https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3384540

სრული დევალვაცია მოახდინოს, რის გამოც მსხვერპლს უმძაფრდება ბრალეულობის, უმწეობის განცდა და კიდევ უფრო მიჯაჭვული, დამოკიდებული ხდება იმ ძალადობრივ გარემოზე, რომელშიც უწევს არსებობა.

დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, არაერთი აქტივობა განხორციელდა ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის, მათ შორის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით, საჭიროა კიდევ უფრო მეტი აქტივობა ამ მიმართულებით. რაც გულისხმობს, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და სათანადო საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე დაცვის გარანტიების და მექანიზმების თაობაზე. აგრეთვე, მნიშვნელოვანია არსებული მავნე სტერეოტიპების დაძლევა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ჩვენ საზოგადოებაში ჯერაც მყარად დამკვიდრებული სხვის საქმეში ჩაურევლობის პრინციპი, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ ამ ოჯახის საქმეა,[34] რასაც სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი უნდობლობაც ემატება. ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა და ინსტიტუციებმა უნდა იზრუნონ როგორც ძალადობის მსხვერპლთა დახმარებასა და რეაბილიტაციაზე, აგრეთვე მოძალადეთათვის სარეაბილიტაციო ცენტრების არსებობასა და მათთან ფსიქო-სოციალურ მუშაობაზე. რაც სამწუხაროდ, დღემდე სერიოზულ პრობლემად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არონსონი ე. სოციალური ცხოველი. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014, გვ. 264-265.
2. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა. შსს. https://info.police.ge/page?id=102. გადამოწმდა 01.12.2020.
3. სოციალური ნორმების ანალიზი ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში, 2016 (UNICEF) https://www.unicef.org/georgia. გადამოწმდა 01.12.2020.
4. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2010 (ast/CSS, კვლევის ანგარიში).

[34] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017 (UN Women). https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2018/03/the-national-study-on-violence-against-women-in-georgia.

https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/GBV%20DV%20Survey_Geo.pdf გადამოწმდა 01.12.2020.

5. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2017 (UN Women). https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2018/03/the-national-study-on-violence-against-women-in-georgia. გადამოწმდა 01.12.2020.

6. Capaldi, Deborah; et al. (April 2012). "A Systematic Review of Risk Factors for Intimate Partner Violence". https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3384540. გადამოწმდა 01.12.2020.

7. Walker L E. Terrifying Love: Why Battered Women Kill and How Society Responds.
New York, 1989.

8. Дружинин, В.Н. Психология семьи. Екатеринбург, Изд.: Деловая книга, 2000.

9. Захарова Г.И. Психология семейных отношений. Чел. Изд-во ЮУРГУ, 2009.

10. Карабанова, О.А. Психология семейных отношений и основы семейного консультирования: учебное пособие, М.: Владос-Пресс, 2004.

11. Майерс Д. Социальная психология. Изд. Питер, 2003. С. 475-480.

12. Николаева Е. Психология семьи. изд. Питер, 2013. С. 300-308.

13. Сандо В. Виктимблейминг: почему мы виним жертву?
https://psy.systems/post/viktimblejming-pochemu-my-vinim-zhert.
გადამოწმდა 01.12.2020.

14. https://ru.psychologyinstructor.com/cikl-nasiliya-lenor-uolker.
გადამოწმდა 01.12.2020.

15. https://archive.org/details/publicopinion00l ippgoog/page/n440.
გადამოწმდა 01.12.2020.

16. https://matsne.gov.ge/ka/document/download/26422/3/ge/pdf.
გადამოწმდა 01.12.2020.

ეროუ კენეტ
Arrow Kenneth

ეროუ (Arrow) კენეტ (23. VIII. 1921, ნიუ- იორკი, აშშ). ამერიკელი ეკონომისტი ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში (ჯონ ჰიკსთან ერთად, 1972). კენეტ ჯოზეფ ეროუ დაიბადა ნიუ-იორკში Гарри და ლილიან (ქალიშვილობის გვარი გრანბერგი) ეროუების ოჯახში. სწავლობდა ნიუ-იორკ-სიტი კოლეჯში. 1940 დაამთავრა სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხით და სპეციალიზდებოდა უმთავრესად მათემატიკაში. მოგვიანებით მეცნიერი აღნიშნავდა, რომ კოლეჯში მიღებულ განათლებას მთლიანად უმადლის „ამ შესანიშნავი, თავისუფალი დაწესებულების არსებობას და ასევე მშობლების ფინანსურ მსხვერპლს“.

1940 შევიდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, იწყებს მეცადინეობას მათემატიკის სფეროში და მომდევნო წელს იღებს მაგისტრის ხარისხ. სტატისტიკისა და მათემატიკური ეკონომიკის სპეციალისტის ჰაროლდ ჰოტელნგი რჩევით გადადის ეკონომიკის განყოფილებაში. 1941-46 ეროუ მსახურობდა მეტეოსამსახურში ოფიცრად ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებშ.

1947 დაქორწინდა სელმე შვეიცერზე. ჰყავთ ორი ვაჟიშვილი.

1946-49 სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში და იმავდროულად იყო უმცროსი მკვლევარი და ასისტენტ-პროფესორად თანამშრომლობდა ეკონომიკურ გამოკვლევათა კოლოუზის კომისიაში. აქ (და მრავალი წელი „რენდ კორპორეიშენში) ტ. კუპმანსთან, ქ. მარშაკთან და მათემატიკური განხრების ბევრ სხვა ეკონომისტთან ერთად, ეროუ იკვლევს მისთვის საინტერესო სფეროს - წონასწორობის ზოგადი თეორია, მათემატიკური პროგრამირება და კეთილდღეობის ეკონომიკა (თეორია).

1949 ასრულებს ეკონომიკის ასისტენტ პროფესორის მოვალეობას სტენფირდის უნივერსიტეტში, სადაც ხდება სტატისტიკისა და ოპერაციულ გამოკვლევათა პროფესორი.

ეროუს ყველაზე მეტად გაუთქვა სახელი წიგნად გამოქვეყნებულმა სადოქტორო დისერტაციამ „საზოგადოებრივი არჩევანი და ინდივიდუალური ფასეულობანი“ (1951). პოლ სამუელსონისა და აბრამ ბერგსონის წინა შრომებძე დაყრდნობით, ეროუ შეეცადა დაედგინა პირობები (თუ ასეთი არსებობდა), როცა ჯგუფური გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღო ინდივიდუალური უპირატესობებიდან რაციონალური ან დემოკრატიული გზით. ეროუ თვლიდა, რომ „კეთილდღეობის დემოკრატიული ფუნქცია“, რომელიც ასახავს კავშირს ინდივიდუალურ უპირატესობებსა და სოციალურ არჩევანს შორის, უნდა შეესაბამებოდეს ოთხ

მოთხოვნას: გარდამავლობას, პარეტოს ეფექტიანობას (ალტერნატიულ გადაწყვეტილებას ვერ ავირჩევთ, თუ ამასთან არსებობს მეორე რეალიზებადი ალტერნატივა, რომელიც აუმჯობესებს საზოგადოების ზოგიერთი წევრის ცხოვრებას და არავის არ უუარესებს), დიქტატურის არსებობას. სხვა ალტერნატივების დამოუკიდებლობა. ეროუმ დაამტკიცა, რომ ოთხივე პირობა წინააღმდეგობაშია, ამრიგად კეთილდღეობის არც ერთ სქემას არ შეუძლია ერთდროულად შეესაბამებოდეს ყველა მოთხოვნას.

ეროუს „შეუძლებლობის თეორემის“ უმარტივესი მაგალითი ცნობილია, როგორც „კონდორესეს პარადოსი“ , რომელსაც დაერქვა ცნობილი ფრანგი მათემატიკოსის სახელი. იგი დაკავშირებულია არჩევნებთან უმრავლესობის პრინციპით - რომელიც ფართოდ გამოიყენება, როგორც სოციალური არჩევანის მეთოდი დემოკრატიულ საზოგადოებასა და მცირე ჯგუფებში. ვთქვათ ასარჩევ თანამდებობაზე არის სამი კანდიდატი - ადამსი (ა), სმითი (ს) და ჯონსი (ჯ). ამომრჩეველთა ერთმა მესამედმა ისინი განალაგა შემდეგნაირად: ა. ს. ჯ; მეორე მესამედმა - ს. ჯ. ა; დანარჩენმა ამომრჩეველმა - ჯ. ა. ს. მაშინ ამოცანას არა აქვს მოხსნა, ვინაიდან უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ა-ს ს- თან, ს-ს ჯ-თან და თითქოს ირაციონალურია ჯ. ს. ა -თან. მაგრამ ეს არკვევს გარდამავობას - ეროუს პირველ პირობას. ამით ეროუმ თითქოს დაამტკიცა, რომ ტრადიციული გაგებით (
ხმის მიცემით) დემოკრატიულ გადაწყვეტილების მიღება პრინციპში შეუძებელია.

XX ს- ის 50იანი წლების დასაწყისში ეროუმ არსებითი წვლილი შეიტანა ეკონომიკური თეორიის სხვა მიმართულებებში. მისმა შრომამ „კეთილდღეობის კლასიკური ეკონომიკის საბაზო თეორემების გაფათოება“ (1951) გვიჩვენა არა მარტო ის, რომ კონკრეტულ ბაზარზე წონასწორობა არის პარეტო-ეფექტიანი. არამედ ისიც, რომ ნებისმიერი პარეტო-ეფექტიანი გადანაწილება შეიძლება განახორციელოს საბაზრო ძალებმა. ცხადია ხდებოდა გართულებები, რომლებიც უკავშირდებოდა პოლიტიკის გატარება: მთავრობები, რომლებიც ისწრაფიან შემოსავლის გადანაწილებას, პირდაპირ არ უნდა ჩაერიონ (მაგ., ფასებზე კონტროლით) საბაზრო მექანიზმის ფუნქციებში. მათ უფრო სხვა საშუალებები (სახელდობრ, საერთო ხასიათის გადასახადები, ტრანსფერატები) უნდა გამოიყენონ და ამით საშუალება მისცენ საბაზრო ძალებს იმოქმედონ თავისუფლად.

ეროუმ ეს სამუშაო გააგრძელა ჟერარ დებრესთან ერთად ცნობილ მტკიცებულებაზე, რომ არსებობს კონკურენტული წონასწორობა ეკონომიკის აბსტრაქტულ მრავალბაზრიან მოდელში მათმა შრომამ არა მარტო შეავსო წონასწორობის ზოგად თეორიაში არსებული ხარვეზები, არამედ პირველად ეკონომიკურ ანალიზში გამოყენული იყო განზოგადებული თეორია და ტოპოლოგია. მათ აჩვენეს, როგორ შეიძლება მათი მოდელი გამოიყენონ

„განუსაზღვრეი საზოგაოდების“ მიმართ მომავალი ბაზრებისა და დაზღვევების შემოღების გზით. ეროუს სხვა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ოპტიმალური მარაგების თეორიაში, საბაზრო მოდელების სტაბილურობის ანალიზში, მათემატიკურ პროგრამირებასა და სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა თეორიაში.

ნაშრომში „პრაქტიკის მეშვეობით სწავლების ეკონომიკური აზრი“ (1962), ეროუმ ეკონომიკური ზრდის თეორიაში შემოიტანა ჰიპოთეზა - გამოცდილებით სწავლება, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის წყარო. მან მიუთითა საბაზრო ეკონომიკის არსებით ნაკლოვანებებზე, როცა ცალკეული მეწარმეები და ფირმები ამჯობინებენ არ გასწიონ ხარჯები სწავლებასა და კვლევით სამუშაოებზე იმის გამო, რომ ამ ხარჯებს არა აქვს კომერციული ხასიათი და რეკომენდაციას იძლეოდა ამ პროცესის კორექტირება მთავრობას ეკისრა.

ეროუს წიგნში „სახელმწიფო ინვესტიციები, მოგების ნორმა და ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკა“ (1970), რომელიც დაწერა ეკონომისტ მ. კურცთან ერთად, შემუშავებულია შესაბამისი კრიტერიუმები სახელმწიფო ინვესტიციებისათვის. გარდა ამისა, მეცნიერის ძალისხმევა მოხმარდა კვლევებს სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა, ეკონომიკური განაწილება და ურბანიზაციის კრიზისი, მართვის მეცნიერების პრობლემები და დისკრიმინაციის ეკონომიკა.

ზოგადი წონასწორობის პრობლემებზე მუშაობის შედეგები შეაჯამა ფრენკ ჰანკთან ერთად დაწერილ ნაშრომში „კონკურენციის საერთო ანალიზი“ (1971). ეროუს ნაშრომი „რისკის თეორიის ნარკვევები“ (1971) დღემდე არის ერთ-ერთი საუკეთესო შესავალი განუსაზღვრელობის ეკონომიკაში. ეროუს ამ ნაშრომმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი გაგება საბაზრო მექანიზმის როგორც შესაძლებლობების, ისე შეზღუდვების შესახებ.

ეროუს გამოკვლევებში ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო განუსაზღვრელობის ეკონომიკა, რომელიც მნიშვნელოვანწილად მისი შრომების წყალობით გახდა თანამედროვე ეკონომიკური თეორიისა და გამოყენებითი ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

ჯ. ჰიკსთან ერთად მიიღო ნობელის პრემია (1972) „ნოვატორული წვლილისათვის წონასწორობის ზოგად თეორიაში და კეთილდღეობის თეორიაში“.

ეროუ გამოკვლევების ტექნიკური გაფორმება თვით ეკონომისტებსაც კი უძნელებს მათ აღქმას. ბევრმა, მათ შორის, ს. კუზნეცმა, ვ. ლეონტიევმა, გ. მიურდალმა, აშკარად დაგმეს მათემატიკური სირთულე რომელიც ახასიათებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკის თეორიტიკოსებს ეროუს ჟ. დებრეს, პ. სამუელსონისა და სხვათა შრომებს.

ეროუს ნობელის პრემიის გარდა მინიჭებული აქვს მრავალი წოდება და ჯილდო, მათ შორის, ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის ჯონ ბეითს კლარკის მედალი, არის ქცევის შესახებ მეცნიერებათა დარგში ფუნდამენტური კვლევებიის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს, სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრისა და გუგენგეიმის ფონდის წვრი. არის ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების წევრი. იყო ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტი. არის ფინეთისა და ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აგრეთვე ეკონომეტრიკული საზოგადოების, ამერიკის სტატისტიკის ასოციაციის, მათემატიკური სტატისტიკის ინსტიტუტის წევრი, არის ამერიკის რიგი უნივერსიტეტებისა და კოლეჯების საპატიო დოქტორი.

ლეონტიევი ვასილი
Wassily Leontief

ლეონტიევი (Leontief) ვასილი (5. VIII. 1906, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი - 1999, ნიუ-ირკი, აშშ), რუსი წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში (1973). დაიბადა სანკტ-პეტერბურგში ვასილი და ევგენია (ქალიშვილობის გვარი ბეიკერი) ლეონტიევების ოჯახში. ლეონტიევის ბავშვობის წლები დაემთხვა ძლიერ სოციალურ და პოლიტიკურ ძვრებს, იგი რვა წლის იყო როდესაც დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ლეონტიევი იყო რუსეთის რევოლუციის პერიოდის უშუალო მოწმე და მეხსიერებაში დარჩა ლენინის გამოსვლა მასობრივ მიტინგზე პეტერბურგში ზამთრის სასახლის ეზოში, რომელშიც თვითონაც მონაწილეობდა.

1921 შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა ფილოსოფიას და სოციოლოგიას, შემდეგ ეკონომიკურ მეცნიერებებს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1925) სწავლა გააგრძელა ბერლინის უნივერსიტეტში. 1927-28 ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყო პროფესიული კარიერა კილის უნივერსიტეტში, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 22 წლის ასაკში მიიღო დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში.

1929 ლეონტიევი გაემგზავრა ქ. ნანკინში, როგორც რკინიგზის სამინისტროს ეკონომიკური მრჩეველი ჩინეთის მთავრობაში. 1931 ემიგრაციაში მიდის აშშ-ში და მუშაობას იწყებს ეკონომიკურ კვლევათა ეროვნულ ბიუროში. 1932 დაქორწინდა პოეტ ესტელა ხელენ მარქსზე. მათ

ჰყავდათ ქალიშვილი სვეტლანა, რომელიც გახდა ხელოვნების ისტორიის პროფესორი კალიფორნიის უნივერსიტეტში ბერკლიში.

1938 ლეონტიევი აქვეყნებს შრომებს „კ. მარქსის ეკონომიკური თეორიის თანამედროვე მნიშვნელობა, რომელშიც გაკეთებული იყო ცდა მარქსის თეორიის ობიექტური ანალიზისა XX ს. 30-იანი წლების ეკონომიკური მეცნიერების პოზიციიდან. ლეონტიევი აღიარებდა, რომ მარქსმა, რომელმაც დიდებულად იცოდა კაპიტალისტური სისტემის ბუნება და ჰქონდა საკუთარი ნაციონალური თეორიები, ასკვნიდა, რომ მარქსის თეორიის შინაგანი სისუსტე „მაშინვე ვლინდება, როგორც კი სხვა ეკონომისტები, რომლებიც დაჯილდოებული არ არიან მარქსის საღი აზრით, ცდილობენ მიდი პროექტების საფუძველზე განავითარონ მარქსისტული თეორია“. „ჰეკშერ-ოლინის“ თეორია, გაანალიზა აშშ-ის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა და მივიდა, ერთი შეხედვით პარადოქსულ შედეგამდე, რომ ნეოკლასიკური თეორიის სრულიად საწინააღმდეგოდ კაპიტალით ისეთი მდიდარი ქვეყანა, როგორიც აშშ-ია, ახდენს შრომატევადი პროდუქციის ექსპორტს, ხოლო კაპიტალტევადი პროდუქციის იმპორტს. ე.ი. თუმცა აშშ-ში ძალიან ძლიერია ინვესტიციური სფერო და მაღალია ხელფასი, იგი ახდენს კაპიტალის იმპორტს და შრომის ექსპორტს. ამ მოჩვენებით პარადოქსს ლეონტიევმა მოუძებნა სულ ცოტა ორი ახსნა. პირველი ემყარება „კაპიტალის“ ცნების ფართო გაგებას, რაც შეიცავს ამერიკელი მუშების მაღალკვალიფიციურ შრომას. მეორე განმარტება ითვალისწინებს, რომ წარმოების პროცესში კაპიტალი შეიძლება შეიცვალოს სხვა ფაქტორებით - ნაყოფიერი მიწით, წყლის რესურსებით და სხვ.

ლეონტიევი 1959 პირველად ჩამოვიდა ყოფილ სსრკ-ში, შეხვდა წამყვანი აკადემიური ინსტიტუტების კოლექტივებს. 1973 იგი თავის ახლობლებთან ერთად ჩამოვიდა მშობლიურ ქალაქში - სანკტ-პეტერბურგში (მაშინდელი ლენინგრადი). ლეონტიევმა მონაწილეობა მიიღო ლეონტიევის ფონდის შექმნაში, რომელიც ხელს უწყობს რუსეთის ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას.

ლეონტიევს ნობელის პრემია მიენიჭა (1973 „დანახარჯები-გამოშვების“ მეთოდის განვითარებისა და მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებში მისი გამოყენებისთვის. ლეონტიევი ერთ-ერთი პირველი ეკონომისტი იყო ვინც ყურადღება გაამახვილა ეკონომიკური აქტივობის ზეგავლენაზე გარემოს ხარისხზე, ნობელის ლექციაში მოიყვანა „დანახარჯები-გამოშვების“ მარტივი მოდელი, რომელიც ეხებოდა მსოფლიო ეკოლოგიას, რომელშიც გარემოს გაჭუჭყიანება ნათლად ფიგურირებდა, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი.

ლეონტიევის კარგი მათემატიკური მომზადება და კვლევითი ტალანტი ბრწყინვალედ განსახიერდა მის მთავარ მიღწევაში - „დანახარჯები-

გამოშვება“ მეთოდის დამუშავებაში. ლეონტიევის წინამორბედად ამ სფეროში შეიძლება ჩაითვალოს XIX ს. შვეიცარიელი ეკონომისტი მარი ესპრი ვალრასი, რომელმაც ჩამოაყალიბა ეკონომიკური წონასწორობის ზოგადი პრინციპები. ეკონომიკური წონასწორობის თეორია ემყარება ეკონომიკური ურთიერთობების ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც წარმოდგენილია განტოლებათა სისტემით და ეკონომიკას აღწერს როგორც ერთიან მოდელს.

„დანახარჯები-გამოშვება“-ს ანალიზის ლეონტიევის მიერ შემოთავაზებული ალგებრული თეორია დაიყვანება წრფივი განტოლებების სისტემაზე, რომელშიც პარამეტრები წარმოადგენენ დანახარჯების კოეფიციენტებს პროდუქტის წარმოებაზე.

1946 ლეონტიევი ხდება ჰარვარდის უნივერსიტეტის სრული (ნამდვილი) პროფესორი. ორი წლის შემდეგ მან დააარსა ეკონომიკური გამოკვლევების ჰარვარდის პროექტი - „დანახარჯები-გამოშვების“ მეთოდის გამოყენებისა და გავრცელების ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1973 წლამდე. ლეონტიევი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა „დანახარჯები-გამოშვების“ რეგიონული ანალიზის განვითარებას და ინვესტიციური კოეფიციენტების მატრიცების შედგენას, რომელთა დახმარებით შეიძლება გვემსჯელა ინვესტიციების საბოლოო მოთხოვნის ცვლილებების შედეგებამდე. გამოკვლევების შედეგები გამოქვეყნდა წიგნებში: „ამერიკის ეკონომიკის სტრუქტურა 1919-1930 წწ. წონასწორობის ანალიზის ამპირიული გამოყენება“. (1951) ლა „ამერიკის ეკონომიკის სტრუქტურის გამოკვლევა“ (1953).

ამ გამოკვლევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი გახდა ე.წ „პარადოქსი“, ანუ „ლეონტიევის ეფექტი“. ლეონტიევმა, რომელსაც სურდა ემპირიულად შეემოწმებინა ლეონტიევის კვლევები გარემოზე სხვადასხვა ეკონომიკური სტრატეგიების გავლენაზე და მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე გაგრძელდა შემდგომშიც. კვლევის შუალედური შედეგები აღნიშნულ სფეროში გამოქვეყნებული იყო წიგნის სახით „მსოფლიო ეკონომიკის მომავალი“ (1977).

მისი სამუშაო მსოფლიო ეკონომიკის პრობლემებზე, განსაკუთრებით დარგთშორის ურთიერთობებზე, გრძელლდება გაეროსა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტის ეგიდით. „დანახარჯები-გამოშვების“ მეთოდით ანალიზი აღიარებულია კლასიკურ ინტრუმენტად ეკონომიკაში, და ლეონტიევი კეინზთან ერთად ითვლება სწავლულად, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა XX ს-ის ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ნობელის პრემიის გარდა ლეონტიევს ჰქონდა ბევრი ჯილდო და საპატიო წოდება, მათ შორის პიზას უნივერსიტეტის ხერივუმის ორდენი (იაპონია), იყო ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ამერიკის მეცნიერებათა

და ხელოვნებათა აკადემიის, ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის, სამეფო სტატისტიკის საზოგადოების (დიდი ბრიტანეთი) წევრი. მას ეკავა ეკონომეტრიკული საზოგადოების (1954) და ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის (1970) პრეზიდენტის თანამდებობა. ლეონტიევი იყო ათზე მეტი უნივერსიტეტის, მათ შორის პარიზის (სორბონა), პენსილვანიის, ბრიუსელის, ლანკასტერის, იორკის, ტულუზის, ბუდაპეშტის საპატიო დოქტორი.